

რეტროსპექტივა



№ 4-5 2000

ღმერთო, ღმერთო, შენ შეგვმატე,
იყვრიას სიმაღლეო.

ერთგულების დროშა!

საქართველოს პრეზიდენტს – ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

უფალმა უწყის მართალთა გზა...

ქართველმა ხალხმა უარყო გულისწყრომა და აირჩია გზა ღვთით ბოძებული – გზა შერიგებისა და გამთლიანებისა.

ერთგულების დროშა გაშალა საქართველომ და ხმა მოგცათ თქვენ, საქვეყნოდ აღიარებულ პოლიტიკოსს, საქართველოს დიდ ჭირისუფალს.

დავით აღმაშენებლის დროშით ევლოს საქართველოს, ხოლო დავით აღმაშენებლის დროშაზე ამოქარგულია დიდი ილიას სიტყვები:

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით,
დამედაგოს მტკიცე გული“...

125 წლის ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო საბჭო:

ჯანსულ ჩარკვიანი (თავმჯდომარე), გულნარა ბახტაძე, ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია, ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.

№ 4– 5 2000 (708)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

დროშა

შინაარსი

მარინე ბულეიშვილი.
თამარ ქალო, ქვეყნის თვალო...
გულნარა ბახტაძე, ნუნუ კუპრეიშვილი.
ისე აღზარდე შენ შვილის სული.
ნუნუ მაღრაძე. ერთი შვილი, არა შვილი?!
ემზარ კვიტაიშვილი. ლექსები.
ლამარა გაგუა. თაობა მოდის.
ვასილ გვეტაძე. ახალი ლექსები.
გურამ ბედოშვილი.
კალმახმეფის ამბავი (მოთხრობა).
თაკო ჩარკვიანი.
საქართველოს უმშვენიერესი ქალბატონები ჰყავს.
მაკა ფაცურია. ლექსები.
მანანა სტვილია. „ღალატი“ კ. გამსახურდიას სახელობის თეატრში.
ელგუჯა ლებანიძე. ოკოლოვიჩი (მოთხრობა)
დავით ჭელიძე. მწვრთნელის ოპტიმიზმი.
ნაპოლეონ ქარქაშაძე. აღსასრული.
შარლ ვილდრაკი.
ძაღლების ხროვა (მოთხრობა).
ნინო დგებუაძე.
დაუღალავი მკვლევარი.
ამბები, ამბები, ამბები...
კროსვორდი

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსულ ჩარკვიანი – თავმჯდომარე,

გულნარა ბახტაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი,

ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.

მეფე თვალთა
მფლობი ჯავართა,
სოფლისა წყალთა
დამამშვენელი.
ხალხური

თამარ ქალო, ქვეყნის თვალო...

ისტორიამ არა ერთი ფურცელი შემოგვინახა წმინდა მეფის ცხოვრებისა.

თამარ მეფე დაიბადა 1159 წელს. მისი დედა იყო მეტად ჭკვიანი და ღირსეული მანდილოსანი, ოსეთის მეფის ასული ბურდუხანი. იგი ადრე გარდაიცვალა და თამარი გაზარდა დიდად განათლებულმა, მეტად გონიერმა და ზნეკეთილმა მამიდა რუსუდანმა.

თამარის მამა, საქართველოს მეფე გიორგი III შესანიშნავი მხედართმთავარი და განმგებელი იყო. გიორგი მეფეს ვაჟი არ ჰყავდა , ამიტომ მან თავის სიცოცხლეშივე თანამესაყდრედ ერთადერთი ქალიშვილი თამარი აირჩია. მამის გარდაცვალების შემდეგ 1184 წელს თამარი მეფედ აკურთხეს.

თავისი სამოქმედო პროგრამა თამარმა სეფე სიტყვაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „შიშველი მოველ და შიშველივე მეგულის განსვლად ამიერ სოფლით, ყოველივე ამქვეყნიური აქვე დარჩება და არაფერია ჩემი სასაკუთრო. ჩემი სამეფოც თქვენს კუთვნილებას წარმოადგენს. მე ამამაღლა განგებამ იმისთვის, რათა თქვენდა საკეთილდღეოდ ავამაღლო ჩემი სამეფო. და განა შევძლებ მე ამას, უძლური დედაკაცი, თუ არა თქვენი დახმარებით და თანამშრომლობით? პირველად თქვენ მოგმართავთ მამაჩემის გაწვრთნილნო, მხედართმთავარნო და მეომარნო. მომეცით შეძლება, რომ პირველ ყოვლისა გავიმაგრო სამეფოს საზღვრები და თქვენ უნდა მიწინამძღვროთ, წმინდა მამებო, რადგან თქვენ, როგორც სასულიერო წოდებას, გაწევთ ორგვარი მოვალეობა, ხორციელი და სულიერი, რისთვისაც ორმაგი მადლობა მოგელით, აქ მეფისა და იქ ზეციური კურთხევა, ხოლო თქვენ დიდებულნო და ერისთავნო, შემიწყვეთ ხელი, რომ მივცეთ გზა და განი სწავლას, შრომას და ნიჭს, რომელთა ქვაკუთხედათ უნდა დაიდვას საერო სიყვარული“.

თამარ მეფემ ორჯერ იქორწინა. მისი პირველი მეუღლე გახლდათ რუსეთის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი გიორგი, რომელსაც მალე გაეყარა მისი უზნეობის გამო. მეორე მეუღლე იყო ოსეთის მეფის ძე დავით სოსლანი, ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, საქართველოს ჯარის სარდალი და თამარის პოლიტიკის ერთგული გამტარებელი. მასთან თამარს ქალ-ვაჟი შეეძინა – ლაშა-გიორგი და რუსუდანი.

არც ერთ მეფეს ქართველი ერი ისე არ ეთაყვანება, როგორც თამარს. არც ერთ მონარქს არ დაუტოვებია ერის ისტორიაში ისეთი ღრმა კვალი, როგორიც თამარმა დატოვა. ხალხის მეხსიერებაში იგი შემორჩა, როგორც ჭკვიანი, ღვთისნიერი, გულკეთილი და ძლიერი მეფე. მან უდიდეს წარმატებას მიაღწია სახელმწიფო მმართველობის ყველა სფეროში. იგი ძლევამოსილ ომებს აწარმოებდა. მისი მხედრობა შიშის ზარს სცემდა მაჰმადიანურ გარემოცვას. ლაშქარს ხშირად თვით თამარი მიუძღოდა. მიიყვანდა რა დანიშნულ ადგილზე, ლიტანიას გადაიხდიდა, დალოცავდა მეომრებს, თავის მარჯვენა ხელსა და ჯვარზე აამბორებინებდა და ასე უშვებდა სალაშქროდ. მას 4000 მუდმივი მეომარი ჰყავდა და თითოეულს თავის შვილს უწოდებდა. პირადად ზრუნავდა მათი ტანსაცმლით და საკვებით უზრუნველყოფაზე.

თამარის ჯარმა ბიზანტიაც დალაშქრა. ერთხელ თამართან ბერძენი ბერები ჩამოვიდნენ. სამშობლოში დაბრუნების წინ თამარმა ისინი უხვად დაასაჩუქრა და ისე გაისტუმრა. ბერებმა კონსტანტინოპოლზე გაიარეს. ბიზანტიის კეისარს ალექსი ანგარს შეშურდა მათი, მიიწვია თავისთან და თამარის ბოძებული სიმდიდრე წაართვა. თამარმა ბიზანტიის კეისრის უღირსი საქციელის პასუხად ბერებს კიდევ უფრო მეტი საჩუქრები გაუგზავნა, ხოლო ბიზანტიის იმ სანაპიროს, რომე-

ლიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და სადაც ქართველი ტომები, ლაზები ანუ ჭანები ცხოვრობდნენ, თავისი ჯარი შეუსია. საქართველოს ჯარმა დაიპყრო მთელი ლაზისტანი – ტრაპიზუნი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, აიღო კოტიორა და ერაკლიამდე მიაღწია. მთელი ეს სანაპირო თამარ მეფემ ბიზანტიას ჩამოართვა და დაარსა ტრაპიზუნის იმპერია. აქ თამარმა თავისი ნათესავი, საქართველოში გაზრდილი ალექსი კომნიანოსი გაამეფა და თავის გავლენას დაუმორჩილა. ამ იმპერიის დაარსებით მან ერთგვარი ჯებირი შექმნა ქვეყნის დასავლეთ საზღვრებთან. ტრაპიზონის იმპერიამ მეთხუთმეტე საუკუნემდე იარსება.

არანაკლებ ბრძნული იყო მისი საშინაო პოლიტიკაც. გამეფებისთანავე თამარი შეუდგა ერის ზნეობის ამაღლებას. მისი გონიერი პოლიტიკის წყალობით ქართველი თუ არაქართველი ეროვნების საქართველოს მკვიდრნი ერთნაირად ეთაყვანებოდნენ მას და თავს ქართული სახელმწიფოს ნამდვილ შვილებად გრძნობდნენ.

თამარი მიუმხრობელი მოსამართლე იყო. სამართალი ყველასათვის ერთი ჰქონდა: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა". მის დროს არ იყო სიკვდილით დასჯა. არავის შეეძლო ნაცნობობით, ქრთამით თავის გამართლება. მისი ბრძანებით არავის სჯიდნენ ფიზიკურად. მან მრავალჯერ მიუტევა დანაშაული ორგულებსა და მძარცველებს.

თამარმა მეგობრული ზავი დადო დამასკოელ სულთანებთან, რომელნიც მანამდე საშინლად სტანჯავდნენ იერუსალიმში სალოცავად მიმავალ ქრისტიანებს. ამ ზავის ძალით მაჰმადიანთ ეკრძალებოდათ ქრისტიანების დევნა-შევიწროება და პატივისცემით ეპყრობოდნენ მათ. ქართველებს კი უფლება ჰქონდათ ყოველგვარი გადასახდელის გადაუხდელად, გაშლილი დროშებით, ცხენებზე ამხედრებულები, შესულიყვნენ იერუსალიმში და წმინდა ადგილებში. თამარისავე თხოვნით სულთანმა სალადინმა ქრისტიანებს დაუბრუნა ის ჯვარი, რომელზედაც ქრისტე იყო გაკრული. ამ ჯვრის დასახსნელად თამარმა 200 000 დინარი გადაიხადა.

XII ს. ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში საქართველომ თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მის დროს მრავალი ეკლესია-მონასტრები აშენდა არა მარტო საქართველოში, არამედ უცხო ქვეყნებშიც: საბერძნეთში, პალესტინაში, შავ-მთაზე, სინაზე და სხვა. ყველა ეს ეკლესიები გაამდიდრა, გაამშვენიერა და გააძლიერა. მის დროსაა აგებული ბერთუბნის, ბეთანიის მონასტრები, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და სხვა. იგი მფარველობდა და დახმარებას უწევდა ქართული კულტურის ცენტრებს ქვეყნის შიგნითაც და საზღვარგარეთაც.

მის პიროვნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიაში.

სად არ შეხვდებით თამარის კოშკს, ხიდს, ეკლესიას, წყაროს, ციხეს, მრავალი ლეგენდა არსებობს თამარის ქოშზე, ყელსაბამზე, სარტყელზე. პოეტები და ისტორიკოსები ხოტბას ასხამდნენ მას, ფუნჯის ოსტატები ხატავდნენ, კალმის ოსტატები კი ლექსებსა და პოემებს უძღვნიდნენ საქართველოს სწორუპოვარ მეფე ქალს. თამარისადმია მიძღვნილი მე-12 საუკუნის უკვდავი პოემა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ჩახრუხაძისა და შავთელის ოდები...

თამარი ყველას ხიბლავდა თავისი უმშვენიერესი გარეგნობით და ქცევით. პოეტი ჩახრუხაძე შემდეგნაირად ასხამს ხოტბას მის სილამაზეს:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი რა არს? – ქნარი
არსით მთქნარი, უჩინარი.
ვარდ -შამბნარი, შამბ-მაღნარი,
ღაწვ- მწყაზარი, შუქ-მფინარი.

სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან მყოფმა თამარმა უხმო თავის ერს, დალოცა, მშვიდობა უსურვა და თავისი შვილები გიორგი და რუსუდანი ჩააბარა. უკანასკნელად გადაიწერა პირჯვარი, უფალს შეავედრა თავისი სამეფო, შვილები და სული თვისი.

თამარ მეფე გარდაიცვალა 1212 წლის 18 იანვარს, უკანასკნელად მან ამ სიტყვებით მიმართა უფალს: „ქრისტე და ღმერთო ჩემო! შენ შეგავედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსას".

ეკლესიამ თამარი წმინდანად შერაცხა.

უამრავი ლეგენდა და თქმულება არსებობს მისი დაკრძალვის ადგილის შესახებ. ზოგი მათგანი თამარის საძვალედ გელათს მიიჩნევს, ზოგის მიხედვით თამარი იერუსალიმის მონასტერშია დაკრძალული. ზოგი კი სად და სად...

თამარ მეფის ოთხი გამოსახულება შემორჩა საქართველოს. ეს ფრესკები გამოსახულნი არიან ბერთუბნის, ბეთანიის, ყინწვისის და ვარძიის მონასტრებში.

თამარი სიმბოლოა ქართველთა ერთიანობისა. სწორედ ამით აიხსნება მის მიმართ თაყვანისცემა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემდგომი პოლიტიკური დაქსაქსულობის დროს, ქართველებს ყოველთვის ახსოვდათ ის ბრწყინვალე ხანა, როდესაც დიდი თამარის სკიპტრის ქვეშ პოლიტიკურად ერთ სამეფოდ იყვნენ გაერთიანებულნი და მისტიროდნენ იმ ბედნიერ ხანას.

ძველი სტილით პირველი მაისი და ახალი სტილით 14 მაისი – გაზაფხულის ეს უმშვენიერესი დღე წმინდა თამარ მეფის ხსენების დღეა.

მარინე ბულეიშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რემა ჟვანია

ისე აღზარდე შენ შვილის სული!

აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა.

ცნობილის გერმანელი ფილოსოფოსის ლაიბნიცის ეს უკვდავი სტრიქონები წარუმძღვარა ეპიგრაფად თავისივე უკვდავ ქმნილებას – „ქართვლის დედას“ ჩვენი ერის სულიერმა მოძღვარმა, დიდმა ერისკაცმა და მამულიშვილმა ილია ჭავჭავაძემ. ილიასეული „ქართვლის დედის“ ხატება წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანი ზოგადი სიმბოლოა დედის ცნებაში თავმოყრილი და გათავისებული.

ამ ლექსში პოეტი წარსულის ნოსტალგიისა და „ჩვენივე მყოობადის შობის“ ერთგვარ მოწოდებასთან ერთად მშობლის – დედის მაღალზნეობრივ დანიშნულებასა და საღმრთო ვალზე ღაღადებს:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, – შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას!“ და იქვე რწმენას გამოთქვამს და აიმედებს დედას:

– მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.

და ბუმბერაზი ღმერთკაცი „ქართვლის“ – მთელი საქართველოს ნატვრასა და სურვილს დედის სახების ჰიმნად გაჟღერებულ ოთხტაეპიან სტრიქონში მოაქცევს:

დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული!

სწორედ ეს წინწამძღვარებული ჭეშმარიტება და უკან შთენილი ნათელი კვალი არის ის სულიერი საზრდო და საგზალი, რომელიც დედას შვილის სწორად აღზრდაში ეხმარება. შვილის სწორად აღზრდა კი იოლი საქმე როდია. ეს გმირობის ტოლფასია.

„ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“-ო. ასე შეაფასა დედის ამაგი სწორუპოვარმა ვაჟა-ფშაველამ. ან თუნდაც ხალხური სიბრძნე გავიხსენოთ: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“-ო.

ასეც მოხდა:

მშობლის მიერ დარგულმა ნერგმა ნაყოფი გამოიღო, კაცური ნაყოფი, ისეთი, როგორზეც დიდი ილია წინასწარმეტყველებდა.

გამოჩნდნენ შვილები, გამოჩნდნენ ღირსეულად, თავიანთი აღზრდით, განათლებით, ერუდიციით, ინტელექტით. ზოგმა მათგანმა უკვე დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი, ზოგიც თანდათან იმკვიდრებს.

ეს შვილები ჩვენი ხვალინდელი დღეა, ნათელი მომავალია, აწმყოა „შობილი წარსულისაგან“ და „მშობელი მომავალისა“.

ასეთი შვილების აღმზრდელი დედები ედგა თვალწინ, ასეთ დედას ხედავდა წარმოსახვაში „ქართვლის დედის“ უკვდავი შემოქმედი.

ასეთი დედები დღესაც მრავლად არიან, ისინი ჩვენს გვერდით დგანან, ჩუმად, უპრეტენზიოდ, ზოგჯერ სხვებისთვის შეუმჩნევლადაც იხდიან თავიანთ დედობრივ ვალს შვილებისა და ქვეყნის წინაშე, ქმნიან სასურველ გარემოს გარშემომყოფთათვისაც და თავიანთი სრულქმნილებით მაგალითს აძლევენ ახალგაზრდა დედებს კვლავაც მათებრ აღზარდონ ლამაზი და ჯანსაღი მომავალი თაობა.

ჩვენს რუბრიკაში – „დედები“ მრავალ ასეთ ღირსეულ დედას გავეცნობით. ამჟამად კი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი თავკაცის ზურაბ ჟვანიასა და მისი ძმის გიორგის დედას – ქალბატონ მარიამ (რემა) ანტონოვა-ჟვანიას წარმოგიდგენთ.

მცირე დოსიე:

დაამთავრა თბილისის ქალთა 42-ე სკოლა: 1957 წელს კი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, იმავე წელს ჩაბარა ასპირანტურაში (ხელმძღვანელი აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი). მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. ბოლო ოცი წელია, აბასთუმნის ასტროფიზიკის ობსერვატორიის ლაბორატორიაში მუშაობს უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

* * *

არ ვიცი, რატომ, წერას რომ ვიწყებდით, ჩემდაუნებურად ერთი არასასიამოვნო შემთხვევა მომაგონდა. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ დღევანდელივით მახსოვს ახალბედა ჟურნალისტი საკმაოდ ცნობილი და პოპულარული ქალბატონის სახლში გამაგზავნეს ინტერვიუს ასაღებად.

საოცრად ლამაზი ზამთრის საღამო იყო. დიდრონი ფიფქებით ბარდნიდა და ჩემს ამაღლებულ განწყობილებას ესალმუნებოდა.

სადარბაზოში შევედი, ფიფქები დანანებით ჩამოვიფერთხე, რამდენიმე სართული ავიარე და ზარი დავრეკე.

კარი ცნობილი ქალბატონის ქალიშვილმა გამიღო.

– თქვენ ალბათ ნუნუ კუპრეიშვილი ბრძანდებით, ქალბატონმა გულნარამ უკვე დაგვირეკა თქვენი სტუმრობის შესახებ. ერთი ამათვალიერა (ეტყობა თოვლის კვალი სადღაც კიდევ მქონდა შემორჩენილი), – მოითმინეთო, – მომაძახა, თვითონ კი ოთახში შეტრიალდა და ორი, საკმაოდ მოზრდილი „ქეჩა“ მომისრიალა.

– აი, ფეხი ამაზე დაადგით და ისე შემობრძანდით, – „ზრდილობიანად“ შემიპატიჟა.

ის ამაღლებული განწყობილება, რომელიც თან მიმყვებოდა, თოვლის ფიფქივით უცებ გადნა.

ბესარიონ ჟვანია პატარა ზურაბთან ერთად.

უგულოდ და უხალისოდ შევასრულე ჩემი ჟურნალისტური მოვალეობა, ჭიქა ყავაზეც უარი ვთქვი და აჩქარებით დავტოვე მასპინძლების ბინა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ, ვერ იქნა და ვერ დავივიწყე ის უსიამოვნო განცდა, რომელიც მაშინ დამეუფლა...

ჟვანიების ოჯახში სტუმრობისას კი სრულიად საპირისპირო რამ ვიგრძენით.

აქ არა მარტო ოჯახის წევრები, გარეთ, სადარბაზოს შესასვლელთან, მდგარ ჯიხურში მორიგე დაცვის ბიჭებიც თავაზიანად და მოწიწებით შეგვხვდნენ, კარამდე მიგვაცილეს და ოჯახის ახლობლებივით თავად მიგვიპატიჟეს.

ჩვენი მასპინძელი, ქალბატონი რემა, დიდი სითბოთი და პატივისცემით შემოგვეგება. იატაკზე ჩაცუცქულმა პატარებმა იქვე გამწკრივებულ სათამაშო მანქანებს თავი ანებეს და ცნობისმოყვარე თვალებით შემოგვაცქერდნენ.

– ესენი ჩემი ზურას შვილები არიან, – გაგვაცნო შვილიშვილები ქალბატონმა რემამ, ბესარიონი (ბუსა) და ლიზიკო. ბაღიდან ხშირად მოდიან ჩემთან, ზოგჯერ ღამეც რჩებიან. ასე იყო გუშინაც. მესამეს, პატარა ანას, უფრო დანატრებული ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნიდან: გიორგი ახვლედიანი და-ძმებთან.

ნათელა გამყრელიძე

ვერა შუხაევა

გიორგის კი ერთი ვაჟი ჰყავს, ბექა – ის ხან აქაა, ხან მეორე ბებიასთან. გოგას მეუღლე – ნინო დედისერთაა და ცდილობენ, არც ერთ დედას არ აგრძნობინონ მარტოობა.

სანამ ბებია შვილიშვილებს კარამდე მიაცილებდა, ოთახს თვალი მიმოვავლეთ და ერთმანეთს გაოცებით გადავხედეთ. ის სისადავე და უბრალოება რაც აქ სუფევდა, კარგა ხანია, არსად გვენახა.

– ეს გამოჩენილი მხატვრის ვასილ შუხაევის ნახატებია. აგვიხსნა ქალბატონმა რემამ სურათებისკენ მიპყრობილი ჩვენი მზერა რომ შენიშნა. შუხაევი დიდი ხნის განმავლობაში პარიზში ცხოვრობდა. საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ გადაასახლეს. გადასახლების შემდეგ კი ქალბატონ ელენე ახვლედიანს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ვ. შუხაევისთვის ნება დაერთოთ, თბილისში ეცხოვრა. თბილისში შუხაევის გარდა იმ დროს საუკეთესო რუსი მხატვრები მოღვაწეობდნენ: ლანსერე, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი იყო, სომოვი, და ბევრი სხვა.

ზურა შვიდი წლის ასაკიდან დადიოდა ვასილ შუხაევის მეუღლესთან ქალბატონ ვერასთან ინგლისური ენის გაკვეთილზე და ჩვენ დავმეგობრდით.

მალე უმცროსი ვაჟი გიორგი და რძალი ნინოც შემოგვიერთდა. ჩვენს შორის გულთბილი და მეგობრული საუბარი გაიბა.

– გიორგი მამის კვალს გაჰყვა, პროფესიით ფიზიკოსია, მუშაობდა ერთხანს კიდეც პროფილით, მაგრამ შემდეგ, როცა ცხოვრება გაჭირდა, ფიზიკოსობა სხვა მიმართულებით გამოიყენა. ანტენებს ამონტაჟებდა, ახლა კი მცირე ბიზნესითაა დაკავებული. იმედი მაქვს, დრო შეიცვლება და ისიც მიაღწევს, ალბათ თავის სანადელს.

ეს რომ თქვა, ქალბატონმა რემამ ღიმილით გადახედა უმცროს ვაჟიშვილს, ხომ არ მიბრაზდება, მისი პირადი ცხოვრების ნიუანსები რომ გავთქვიო, თუმცა ეს მშვენიერი გარეგნობის, წარმოსადეგი ვაჟკაცი გულუბრყვილო მორჩილი ბავშვივით ისმენდა დედის საუბარს და სულაც არ აპირებდა მისი ნათქვამის „გაპროტესტებას“.

ნინომ ამასობაში ყავა შემოგვიტანა და თვითონაც მეუღლის გვერდით ჩამოჯდა. თვალის ერთი შევლებითაც საოცარი მოკრძალება და სითბო იგრძნობოდა ერთურთისა და დედის მიმართ.

თქვენი ურთიერთობა თვალნათლივ ჩანს, რაც შეეხება ზურას (უნებურად ბატონი ზურაბი ისე ვახსენეთ, როგორც მას მოფერებით მიმართავენ ოჯახის წევრები) მაღალმა თანამდებობამ და მოუცლელობამ ხომ არ გაგიუცხოვათ შვილი, ძმა და მაზლი? – მოუთმენლად ველოდით ამ კითხვის პასუხს.

– არა, რას ბრძანებთ, – პირველობა არავის დაუთმო რძალმა, – ზურა ძალიან ყურადღებიანია. მართალია, ახლა ისე ვერ იცლის, როგორც ადრე, მაგრამ ყურადღებას მაინც არ გვაკლებს. როცა გავთხოვდი და გოგას ოჯახში გადმოვედი საცხოვრებლად, ზურა განსაკუთრებულ ყურადღებას და სითბოს იჩენდა ჩემდამი.

– ძალიან დაკავებულია, ზოგჯერ დარეკვასაც ვერ ახერხებს, ეს ტელევიზორი გვშველის. მისი მეშვეობით მაინც ვხედავთ ხშირად, ამიტომაც ხუმრობენ ზურაზე – „сын приглядку“ – ღიმილით ამბობს ქალბატონი რემა, – რაც შეეხება „დიდების ზღაპარს“ – იშვიათად ან საერთოდ არ ვუყურებ, რა ვქნა, ჩემთვის ძნელია შვილზე ისეთი კარიკატურის ყურება, რომელიც არ ასახავს ჩემი შვილის ბუნებას და სხვა ადამიანი მგონია.

– ვერ შეგედავებით, ქალბატონო რემა, ეტყობა, მართლაც ასეა, ისე კი „დიდების ზღაპარში“ ზურაბი ყველაზე საყვარელი პერსონაჟია, ამას ყველა ერთხმად აღიარებს – დიდიც და პატარაც, „მტერიც“ და მოყვარეც. იმასაც ამბობენ, „დიდების ზღაპარმა“ ზურაბ ჟვანიასკენ ყველაზე პირუთვნელი ოპოზიციონერებიც კი მოაბრუნაო.

ისე კი, ალბათ, რთულია პოლიტიკოსის ხვედრი, და მაინც, ქალბატონო რემა, საიდან იღებს სათავეს ბატონი ზურაბის, როგორც პოლიტიკოსის გზის დასაწყისი?

– თქვენ ფიქრობთ რომ მშობლებისაგან? – კითხვაზე კითხვითვე გვიპასუხა. – ვერც კი წარმოვიდგენდით, ჩვენი შვილი ოდესმე პოლიტიკოსი რომ გახდებოდა. ერთი კი ცხადია, ყოველთვის ვცდილობდით, მხედველობიდან არ გამოგვპაროდა ის, რისი ნიჭიც და მიზახსნრაფვაც ჩვენს შვილებს გააჩნდათ.

ჩემი მეუღლე – ბესარიონ ჟვანია დიდ დროს უთმობდა მათ აღზრდას. იგი შვილებისთვის არა მხოლოდ მამა, არამედ უფროსი მეგობარიც იყო და თანატოლიც. უზომოდ უყვარდა საქართველო და შვილებსაც ამ სულისკვეთებით ზრდიდა. მათთან ერთად ფეხით, ზურგჩანთითა და კარვებით შემოვლილი გვქონდა მთელი საქართველოს კუთხე-კუნჭული (მეუღლე მთამსვლელიც იყო).

ეს რომ თქვა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოდგა, ოთახი გაიარა და ჩვენც გვთხოვა, ლოჯიისკენ გავყოლოდით. იქ, წიგნების თაროების ქვემოთ, კუთხეში მიდებულ მოზრდილ ქვაზე მიგვითითა.

– ეს ქვა, ჩემმა მეუღლემ მხრებით ჩამოიტანა ხევსურეთიდან.

გაოცებით შევყურებდით ბუნების ამ ლამაზ ქმნილებას და გულში გალაკტიონის სიტყვებს ვიმეორებდი: – „ნეტა, ვინ აზიდა, ან როგორ აზიდა, რა ხელმა აზიდა მაღლა ნიკორწმინდა!“.

– განსაკუთრებით ხშირად ლეჩხუმს ვსტუმრობდით და თითქმის მთელ ზაფხულს იქ ვატარებდით, სოფელ დერჩში – განაგრძო დაწყებული საუბარი, როცა კვლავ ჩამოვსხედით.

– ზურას და გიორგის ბებია თამარ ახვლედიანი აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის და იყო. მათ გარდა ახვლედიანების დიდი შტო კიდევ ხუთი დედ-მამის შვილს ითვლიდა: ეკატერინე, სერგო, ანასტასია (პასიკო), ვალერიანი და ქუჩუკი. მათი თავშეყრის ადგილი, წინაპართა ძირძველი კუთხე, ლეჩხუმი იყო. მათთან გატარებული ყოველი დღე და საათი კი ცხოვრების დიდი გაკვეთილი და მატიანის წარუშლელი ფურცელი იყო ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის.

– ლეჩხუმი დღესაც სათაყვანო ადგილია ჩვენთვის, – განაგრძო ქალბატონმა რემამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, – იქაურობასთან ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების მოგონება და მონატრება გვაკავშირებს.

– ეს კი, – ახლა ალბომი გადაგვიშალა ქალბატონმა რემამ, – ჩვენი ოჯახის მატიანეა. ამ სურათებს ძალიან ვუფრთხილდები, ისინი ჩემი შვილების ბავშვობას მაგონებენ, მათი ზრდისა და დავაჟკაცების წლებს. მშობლებისა და განსაკუთრებით მეუღლის გახსენება ერთის მხრივ გულსა მტკენს, მეორეს მხრივ კი ენერგიასა და ძალას მმატებს. ეს ძალა და ენერგია კი, ასე მგონია, ჩემს შვილებზე და შვილიშვილებზე გადადის.

თავს ბედნიერ დედად ვთვლი, შვილებს ნამდვილად არ ვემდური, – პათეტიკის გარეშე წარმოთქვა ქალბატონმა რემამ.

– უფრო დაწვრილებით ხომ არ გვიამბობდით, როგორი იყო ზურაბი ბავშვობაში?

– ჩვეულებრივი ცოცხალი და ალერსიანი ბავშვი იყო და ძალიან ცნობისმოყვარე, როგორც თითქმის ყველა ბავშვი. უყვარდა კითხვა, წერაც ეხერხებოდა. კარგი შედეგები ჰქონდა ცურვაში, ზურას პიროვნების ჩამოყალიბებაში ქალბატონ ვერა შუხაევას გარდა გამოვყოფდი ზურაბის ბიძას, ერლომ ახვლედიანს, რომელმაც აზიარა თეოლოგიას. რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა სკოლამ, მისმა მეგობრებმა და მასწავლებლებმა. დღესაც დიდი მადლიერებით ვიხსენებ ზურას და გოგლას მასწავლებლებს პირველი ექსპერიმენტული სკოლიდან. განსაკუთრებით ზურას კლასის დამრიგებელს ნათელა გამყრელიძეს, საოცარ პედაგოგსა და პიროვნებას. ზურას კლასელები სექტემბრის პირველ შაბათს ახლაც იკრიბებიან მასთან.

ინგლისური ენის მასწავლებელი კი, როგორც უკვე გითხარით, ვერა შუ-

ზურაბ ჟვანია მეუღლესთან.

ხავა იყო. და თუ დღეს ზურაბი ინგლისურს მშვენივრად ფლობს, უთუოდ მისი დამსახურებაცაა.

– როგორც ვიცით, ზურაბი ბიოლოგია, როდიდან გაუჩნდა ეგზოტიკური სამყაროსადმი ლტოლვა?

– პატარაობიდანვე უყვარდა ცხოველები. მეოთხე კლასში იყო, სახლში მამის დახმარებით ვივარიუმი რომ მოაშენა, აკვირდებოდა ჭიანჭველების ცხოვრებას, ზაზუნების, თეთრი ვირთხების ქცევებს, ბიორითმებს. რა ცხოველი არ ბინადრობდა ჩვენთან. ერთხელ ფრთამოტეხილი არწივი მოიყვანა. ვუმკურნალეთ, მოვარჩინეთ მაგრამ ფრენა ვეღარ ისწავლა და ზოოპარკში ჩავაბარეთ.

მეორე კურსზე იყო, უნივერსიტეტში ზურას მონაწილეობით სტუდენტთა სამეცნიერო- კვლევითი ლაბორატორია რომ ჩამოყალიბდა, სადაც ცხოველთა ქცევას, მექვიშეებს და მღრღნელებს აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ მომავალი ბიოლოგები.

– რამ განაპირობა მისი მოწოდების ასე რადიკალურად შეცვლა? – თხრობა გავაწყვეტინეთ ქალბატონ რემას.

– მე მგონია, საწყისი, რამაც ეს მარცვალი გაუღვივა, თარხან-მოურავის სტატია იყო ტრანს-კავკასიის მაგისტრალზე. დაინტერესდა ამ პრობლემით და თანდათან აქტიურად ჩაება მისი გადაწყვეტის გზების ძიებაში. პირველი, ვინც ზურას ნიჭი და უნარი შეამჩნია ამ მიმართულებით, ჩვენი ოჯახის ახლობელი, აკადემიკოსი გივი თუმანიშვილი იყო. სწორედ მან მიიყვანა ზურაბი ეკოლოგიის სექციაში, შემდეგ გახდა რუსთაველის საზოგადოების წევრი. ეს იყო 1988 წელი. ამ დროისათვის უკვე დაწერილი ჰქონდა საკანდიდატო ნაშრომი, დანიშნული იყო აპრობაცია. დაიწყო ცნობილი მოვლენები და ისიც მთლიანად ჩაეფლო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

– და თქვენ კმაყოფილი ხართ შვილის ამ არჩევანით?

– როგორ გითხრათ, რადგან მას თვითონ მოსწონს...

– თქვენი ერთი რძალი უკვე გავიცანით – ნინო შარაშიძე, ადრეც გვსმენია თქვენსა და რძლებს შორის კარგ ურთიერთობაზე, ზურაბის მეუღლეზე რას გვეტყვით, როგორი დედაა, ან როგორი მეუღლე?

– მეორე რძალსაც ნინო ჰქვია, ნინო ქადაგიძე. კარგი დედა რომაა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სამ შვილს ზრდის, რაც დღეს, ცოტა არ იყოს, იშვიათობაა. სამსახურსაც არ ღალატობს, საქველმოქმედო პროგრამებითაა დაკავებული, ზურაბს მუდამ გვერდში უდგას. ჩვენს შორისაც კეთილი ურთიერთობაა.

– ეს ბინა, სადაც ამჟამად ცხოვრობთ, ჟიული შარტავას, ყოფილი ანაგის ქუჩაზე, თქვენთან ერთად რომელ შვილს ეკუთვნის?

– ამ ბინაში 1935 წლიდან ვცხოვრობ, მაშინ ჯერ კიდევ სულ პატარა ვიყავი და ამავე სახლში ბაღში დავყავდი ჩემს დედას. გულისაშვილების, ზაიცევების, მარგველანების, წულუკიძეების და შემდგომ კეცხოველების არაჩვეულებრივ სამეზობლოში თავს კარგად ვგრძნობდით. ასეა დღემდე. საჭიროებამ მოითხოვა და ჯერ კიდევ ადრე დედამთილის ბინა მცხეთის ქუჩაზე გაიყიდა. ეს ბინა კი ჩემი შვილებისაა.

– ნუთუ ზურაბს სხვა სახლი არა აქვს? – გავიკვირვეთ.

– ზურაბი ამჟამად, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, წყნეთში სამთავრობო კოტეჯში ცხოვრობს. სოფელ ვეძისში საკარმიდამო ნაკვეთიც გვაქს. სხვა ბინა კი ზურას არა აქვს. მაგრამ სანამ საქართველოში 300000 ლტოლვილია, ბინის მიღებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

* * *

ჟვანიების სახლში მეორედაც მოგვიხვდა მისვლა სურათების დასაბრუნებლად.

სადარბაზოს შესასვლელში ზურაბის ძმა, გიორგი წამოგვენია. ხელში გედივით ყელყარყატა, საოცარი სიმაღლის მინდვრის თეთრგულას შეკვრა ეჭირა.

ოთახში რომ შემოგვყვა, მეუღლეს აკოცა და ყვავილები გაუწოდა.

– დღეს ჩემი ნინოს დაბადების დღეა, – აგვიხსნა ქალბატონმა რემამ და სახელდახელოდ განყობილ ტკბილეულის სუფრასთან მიგვიწვია.

– ეს ჩემი მულია, ანტუანეტა ზურას და გოგას საყვარელი მამიდა, – გაგვაცნო სიმპატიური ქალბატონი.

– სასიამოვნოა, მითუმეტეს, თქვენსა და თქვენი ოჯახის შესახებ წინა შეხვედრისას ქალბატონი რემა ძალიან ბევრს გვესაუბრა, – სიტყვა მივაგებეთ ახალგაცნობილს.

– რძალ-მულიცა ვართ და უახლოესი მეგობრებიც – გვიყვებოდა მასპინძელი, – ასევე იყვნენ ჩვენი დედებიც. მათ შორის არანაირი ბარიერი არ არსებობდა. ორივე მეხმარებოდა შვილების გაზრდაში.

ნინოსთან ნელ-ნელა იკრიბებოდნენ მეგობრები და ახლობლები.

ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილის აღება იუბილარმა ყველას დაასწრო. როცა საუბარი დაამთავრა, ჩვენთან შემოვიდა და სახეგაბრწყინებულმა გვითხრა: – ზურა იყო, მომილოცა და მითხრა – ნინო და ბავშვები მალე მოვლენ, მე კი, როგორც კი დროს მოვიხელთებ, აუცილებლად შემოგივლითო.

გიორგი ჟვანია ოჯახთან.

შვილიშვილებთან

უნებურად დედისკენ და მამიდისკენ გაგვექცა თვალი და ჩვენ შევნიშნეთ, რომ ისინიც გახარებულები იყვნენ.

ავჩქარდით. ქალბატონმა რემამ მანამ არ გამოგვიშვა, სანამ საკუთარი ხელით მოდუღებული ყავა არ გაგვასინჯა.

შემდეგ, როცა ქუჩაში გამოვედით, ერთმანეთს ვუმტკიცებდით, რომ ასეთი გემრიელი ყავა არასოდეს დაგველია.

მოვდიოდით და ის არაჩვეულებრივი სითბო მოგვყვებოდა, რომელიც ჟვანიების ფუძეძლიერ ჭერქვეშ სუფევდა.

ასეა, როცა ოჯახი მტკიცე და ერთსულოვანია. როცა შვილებს ისეთი მზრუნველი და სათნო დედა ჰყავთ, როგორიც ამ დიდი ოჯახის წინამძღოლი და დიასახლისი, ქალბატონი რემა ჟვანიაა.

გულნარა ბახტაძე,
ნუნუ კუპრეიშვილი

ეს ვინ ვინ?!

● კაბინეტის კარი ფრთხილად შეაღე.

– გაიცანი, ჩემი კლასელია,– შესვლისთანავე წარმომიდგინა სანდომიანი, ნათელი პირისახის მანდილოსანი ქალბატონმა გულიკომ.

– ნაზი ბახტაძე, თუმცა მაშინ ვაშაკიძე ვიყავი, ერთად რომ ვსწავლობდით, ბახტაძე მერე გავხდი, ჩემი ბედი მურმან ბახტაძეს რომ დავუკავშირე. ძალიან მეამაყებოდა გულიკოს მეუღლეც ბახტაძე რომ იყო, ამან უფრო დაგვაახლოვა. და კიდევ ხონმა. ჩემი მეუღლე წარმოშობით ხონელია, გულიკოს კი ბებია ყავდა ხონში და იქაც ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს,– გულახდილობით ამიხსნა ახალგაცნობილმა ქალბატონმა.

– დღესაც მშვენიერები ხართ, წარმომიდგენია, მაშინ, ათეული წლების წინ, როგორი იქნებოდით,– შთაბეჭდილება ვერ დავფარე.

– ჩემზე რა გითხრათ,– ლოყები შეეფაკლა ჩვენს სტუმარს,– გულიკო კი მართლა გამორჩეული იყო.

– გამორჩეული რომ იყო, ამიტომაც მოხიბლა მშვენიერი ვაჟკაცი მურმან ბახტაძე, თითქოს ამათზე იყო ნათქვამი: ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო,– ახლა ქალბატონმა გულიკომ „დაასმინა“ თანაკლასელი.

საუბარს შეყვნენ, რა არ გაიხსენეს, ვის არ გადაწვდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. ზოგჯერ ნაღველიც გამოერეოდა მათ მოგონებებს, მაგრამ ეს შეხვედრა მაინც ბავშვობის გაუხუნარი წლების არდავიწყების საოცარი განცდა და გახსენება იყო.

უნებურად თვალი მაგიდისკენ გამექცა, სადაც ღია ფერის ჩარჩოში ჩასმული სურათი შევნიშნე. ცნობისმოყვარეობამ მძლია და სურათს უფრო ახლოდან დავაკვირდი. მრავალრიცხოვანი სახეების ცენტრში ჩვენი სტუმარი შევიცანი.

– თუ არ ვცდები, ეს თქვენ უნდა იყოთ, ეს კი, ალბათ, თქვენი მეუღლეა, ხომ? – შევეკითხე.

– სწორად გამოიცანით, მაგრამ უნდა გითხრათ, ჩემი მეუღლე ამ სურათში რომ გამოიყურება ასეთი კი არა, ბევრად უკეთესი იყო ახალგაზრდობაში. ეეხ! წლებს მაინც თავისი მიაქვს, ხუმრობა ხომ არ არის, შვიდი ათეული წელი მოვლიეთ. ბედს მაინც არ ვემდურით, შვილებითა და შვილიშვილებით დავიხუნძლეთ. ამ სურათში ყველა ჩვენი შვილები, რძლები და შვილიშვილები არიან,– სიამაყით წარმოთქვა და დასძინა,– სამი ვაჟი გვყავს, სამივე დაოჯახებულია. უფროსები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, უმცროსი ჩვენთანაა. ცხრა შვილიშვილსა და ერთ შვილთაშვილს დავფოფინებთ.

– ღმერთმა სულ ასე გამრავლოთ, ეს არის ჩვენი ოჯახის, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და ძლიერება!

– ჩემი მეუღლე,– განაგრძო ქალბატონმა ნაზიმ, დედისერთა იყო, ნებიერა, და-ძმას დანატრებული. მათ მეზობლად ათშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა. მურმანი თითქმის მათთან იზრდებოდა ბავშვობაში. ომიანობის დრო იყო და მრავალშვილიან ოჯახს ძალიან უჭირდა. ჩემს დედამთილსა და მამამთილს შემლებული ოჯახი ჰქონდათ და მეზობელთან გადაჰქონდათ საჭმელ-სასმელი, ოღონდ ბავშვებს ერთად ეჭამათ, ერთად ყოფილიყვნენ და მათ შვილს მარტოობა არ ეგრძნო.

„ერთი შვილი, არა შვილი, ორი შვილი, ვითომ შვილი, სამი შვილი, მართლა შვილიო“,– თავი შემახსენა ხალხურმა სიბრძნემ, მაგრამ თურმე ყოველთვის ასე როდი ყოფილა,– გავიფიქრე გონებაში. აი, როგორ შეიძლება გამრავლდეს ერთი ოცად და უფრო ბევრადაც. მრავალი შვილი კი საქართველოს უკვდავებაა,– ესეც ხომ ყავლგაუსვლელი გამონათქვამია.

წუთით ჩამოწოლილი სიჩუმე ისევ ქალბატონმა გულიკომ დაარღვია:

– ერთი ის გვიამბე, შენი მეუღ-

ლე მარჯანიშვილის თეატრში მსახიობად რომ მუშაობდა, ჭადრაკსაც გვარიანად თამაშობდა და თეატრისა და ხელოვნების მუშაკთა შეჯიბრებების ტურნირებზე პრიზების კოლექციასაც რომ აგროვებდა,– ხუმრობით შეახსენა მერხის მეგობარს.

– მურმანმა მარჯანიშვილის თეატრში ჩვიდმეტი წელი იმუშავა. ის ხანა თეატრისა და იმჟამინდელი დასის ცხოვრებაში ოქროს ხანა იყო. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ნიკო გოცირიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, სესილია წუწუნავა, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე, გიორგი შავგულიძე, შალვა ღამბაშიძე, აკაკი კვანტალიანი, სანდრო ჟორჟოლიანი, ალექსანდრე ომიაძე და ბევრი სხვა. აი, ამ ბუმბერაზი მსახიობების გვერდით უხდებოდა ყოფნა. არ შემიძლია ერთი ეპიზოდიც არ მოვიგონო:

– როცა მურმანი თეატრალურ სტუდიაში აბარებდა, იმ ხანად სტუდიის ხელმძღვანელად უშანგი ჩხეიძე დაუნიშნავთ. გამოცდების დროს შეუძლოდ გამხდარა და მომავალი მსახიობები შინ მიუღია გამოსაცდელად. როცა მისულან, იგი ტახტზე ყოფილა წამოწოლილი. წამსვე წამომდგარა, მოწესრიგებულა და ყურადღებით მოუსმენია მათთვის. ყმაწვილები შეუქია და გაუმხნევებია. ამ შემთხვევას მურმანი დღესაც დიდი კრძალვითა და მოწიწებით იგონებს.

ისიც შევიტყვე, რომ ბატონ მურმანს თეატრალური სტუდიის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიც დაუმთავრებია აგრონომის სპეციალობით, ქალბატონი ნაზი კი პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგია და როცა მათ ერთმანეთი გაიცნეს, ხონის ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა განაწილებით ტიტესტერად.

1957 წელს შეუღლებულან და აგერ უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია შეხმატკბილებულად ეწევიან ცხოვრების ტკბილ-მწარე ჭაპანს. აღზარდეს შრომისმოყვარე, პატიოსანი, გულალალი შვილები, დააოჯახეს და ახლა მათი ნამრავლით ხარობენ.

სამოცდაათი წლის ოჯახის უფროსი დღესაც ძველებური შემართებით მუშაობს დიდუბის რაიონის მწვანე მეურნეობის საექსპლოატაციო სამსახურის აგროუბნის უფროსად. ოცდათხუთმეტი წელია მისი შრომითა და თაოსნობით გაშენებულია ბევრი სკვერი და გაზონი, მწვანე საფარი, დარგულია და გახარებულია ათასობით ხე და ბუჩქი, მაგრამ მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო მაინც რუსთაველის მოედანზე გადმორგული, მის მიერ ხელდასმული ჭადარია, რომელიც თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც ეგუება თავის ახალ „სამფლობელოს“.

ქალბატონი ნაზი კი ცხრა შვილიშვილისა და პატარა შვილთაშვილის ანას ბებია და ხუთი ოჯახის დიდი დიასახლისია.

– ადრე, როცა უფრო გვიჭირდა, – განაგრძობს იგი,– სამსახურისა და დიასახლისობის გარდა ოჯახში მკერავიც მე ვიყავი, პარიკმახერიც, ექთანიც და ფეხსაცმლის შემკეთებელიც. ამით ოჯახს დანაზოგს ვუკეთებდი. შვილები ხომ თავისას მოითხოვდნენ. ხან მუსიკაზე მივარბენინებდი, ხან ჩოგბურთის კორტებისაკენ მივიჩქაროდით. ხონსა და ჟინვალს შორის მეტეორივით დავქროდი, მიტოვებულ სახლ-კარს უქალობა რომ არ დატყობოდა. რა თქმა უნდა, მარტო არ ვიყავი, მეუღლე ყოველთვის გვერდში მედგა, მერე ბიჭებიც წამოგვეშველენ...

ბარისახოს გზაზე, ჟინვალის ულამაზეს კუთხეში, ბახტაძეების კარ-მიდამო მართლაც ავ თვალს არ ენახვება. საკუთარი შრომითა და ჯაფით მოწეულ ბოსტნეულსა და ბაღჩეულს არა მარტო მათი ოჯახის წევრები, ახლობელ-ნათესავებიც ხშირად დაიგემოვნებენ ხოლმე.

– ვერც ხონს ვივიწყებთ, მამაპაპისეულ ფუძეზე დიდებსაც და პატარებსაც ბავშვივით მიგვიხარია ასწლოვანი კაკლისა და ოქროსფრად აელვარებულ კარალიოკების დაბურულ ტოტებქვეშ შემოდგომის სურნელით ტკბობას არაფერი სჯობს. იქ მაინც სხვა ძალა გვიზიდავს, სხვა ანდამატი. ფეხის ყოველ ალაგზე თითქოს წინაპართა სული ტრიალებს და გვესალბუნება – ბზარი გაერია ხმაში ქალბატონ ნაზის.

– უფრო ხშირად სად იყრით ხოლმე თავს ერთად დღეობებზე, ან თუნდაც დასვენების დღეებში?– მძლია ცნობისმოყვარეობამ.

– იქ, სადაც მოგვიხდება ყოფნა, უფრო ხშირად კი ჟინვალში ავდივართ. ახლოსაა, თანაც წლის ყოველ დროს შეუდარებელია, ჰაერიც მთის წყაროსავით სუფთა და მარგებელია; მდინარეც ეზოს წინ ჩამოედინება და ზაფხულობით ბავშვები მთელი დღე მდინარეში ბანაობენ, წყლისა და მზის აბაზანებს ღებულობენ და ორგანიზმს იკაჟებენ. უნდა ნახოთ, როგორ ხარობენ ჩემი შვილიშვილები, მარტო სახლს კი არა, თითქოს ცასაც ეხდება ჭერი მათი ჟრიამულისაგან,– სახეგაბადრული მიამბობს ნაზი ბებია და განაგრძობს:

– შაბათ-კვირაობით კი ყველანი ერთად ვართ, ჩვენი შვილები: მამუკა, ვაჟა და არჩილი, რძლები: მარინა, ხათუნა, ბელა და მარიკა; შვილიშვილები: ილია, ბექარი, კახაბერი, თორნიკე, რატი, ნინო, გიორგი, თეა, ლევანი და პატარა ანა. მათ შემხედვარეს, ასე მგონია, ვერაფერი მოგვერევა...

საოცარი ძალით დავიმუხტე. როგორც ჟურნალისტს, არ შემეძლო, ეს შემთხვევა ხელიდან გამეშვა.

– გაიხარეთ და გამრავლდით. მრავალ ბედნიერ წელს დაგასწროთ ღმერთმა, ბახტაძეების დიდო ოჯახო!

ნუნუ მაღრაძე

ემზარ კვიტაიშვილი

დროთა ცვლა

მიყვარს ცქერა ცის ხავერდზე
„დიდი დათვის“, „მცირე დათვის...“
ჩამოდგომა, ჩათავება:
ხან – თიბათვის, ხან – მკათათვის.

გაბმული ვარ ვარსკვლავებზე,
ზრახვას, ჩემსას, ვანდობ მათვე,
ვატყობ ხეს და ვატყობ მიწას –
მოსულია, სტუმრობს რა თვე.

ავი წინათგრძნობა

სიზმარში ვხედავ: პირწმინდად იწვის
ჩემი წიგნები, ხელნაწერები,
გადამრჩენელი ფურცლის და
ფიცრის
არა ვარ, მწარე ხვედრს ვეწირები.

ასე იბნევა პატარა ბავშვი,
რის სიმყუდროვე, რა იდილია...
მხრებჩამოყრილმა ვიფიქრე მაშინ:
ეს სამარეა, ეს სიკვდილია.

ჭმუნვა

ეს სოფელი – მოლანდება –
კარგიც არი, ავიც არი.
თვალი რას არ ხედავს, მაგრამ
აქედან ვერ დავიძარი.

არად უღირს, რაც ვაძლიე,
მაგიერად მომეცა რა?
რაზეც მივდექ, ყველაფერზე,
ბეჩავს, ხელი მომეცარა.

ჩემზე უარესები

აღსარება: რა მინახავს
თახსირების მეტი,
მესმის, კაცზე რომ იტყვიან –
ჯიშად გასაწყვეტი.

სხვებმა ცოდვა, თავიანთი,
როგორც უნდათ, ზიდონ,
ვიცი, დიდი ანგელოზი
მეც არა ვარ თვითონ.

შუა ზღვაში ჩასაყრელნი –
უკანა თუ წინა;
მე ჩემი მჭირს, ისინი რა
თესლმა გააჩინა?!

ისევ შემოდგომას ვეფერები

იზაბელავ, შავ-შავო,
ხიდან რომ დამცქერი,
ოქროდ ქცეულს, მზემ მოგცა და
მიწამ მოგცა ფერი.

ჩათვლემილი ფოთლები
გვირგვინად რომ გერტყმის,
მიყვარს შენი ჭვრეტა და
კაკლის, დასაბერტყის.

სულს მიგუბებს შენი სუნთქვა,
ღელედ დასაწურო...
ჯერ შენ მეფობ, შენს მერე
გაშავდება სურო.

გადასვლა

სატირელი ვტირი ვის თავს,
ისევ ისე ელავს მარსი,
ისევ ვდგავარ ზაფხულის და
შემოდგომის გასაყარზე.

ჯერჯერობით, ისევ ისე
ცოტა თუა გასახარი,
წამლად არ ჩანს სიხალისე,
ფართოვდება გულში ბზარი.

***

დაგნათიან ვარსკვლავები...
შენ, გონებავ ბასრო,
გიჭირს, ცათა შემხედვარემ,
ღმერთი მოიაზრო.

წარმოდგენაც გიძნელდება
(თვალებს ხუჭავ ნატკენს),
წამი – მარადისობასთან,
ცად, პირისპირ დადგე.

ლექსები

სხვა დროსაც მითქვამს

მითხარ, ჩემს დანახულთან
დანახული სხვათა
როგორ მოვა, ალვისხის
ურჟოლას თვალი ხატავს.

ცამ წყალობა მათოვოს,
სანამ დავეცემი,
მინდა გწამდეს, წაქცევაც
სხვა იქნება ჩემი.

გამოდარება საღამოს პირზე

ნაწვიმარზე ქარმა ღრუბელი
მოკუმშა, მოაგუნდავა,
აწ აღარ აწევს მთას შიშველს –
შავ გველეშაპად, მგუდავად.

ოქროსაც ირევს აქა-იქ
ნაპენტი, რუხი ლაქები,
გამხარებელი თვალისა,
მზის გულზე ნაქიაქები.

გაუნელებელი

მხრავს, ქინქლასავით მასევია,
ჩემთვის არც დღეა და არც ღამე,
ველარ გავიგე რა სენია,
ასე რომ გამასავათა მე.

სატკივარს, უზღვავს, ყელში მაჩრის,
გამახელა და გამაცოფა,
მათთან არ გაჭრის ცრემლი ლაჩრის
და ვერც მიშველის მამაცობა.

ორ ცეცხლშუა

გული დაფლითეს სიზმრებმა,
დამღალა სინამდვილემაც,
როგორც თავდება აგვისტო,
ცხოვრებაც ისე ილევა,
მაფეთებს წლების მოწოლა,
არ ვიცი, რის მოწილე ვარ,
სული წუხილმა დალამა,
აღარ თავდება დილემა.

თარეგა ეროსის

● მთაწმინდის რაიონი – თბილისის გულია. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი ქალაქის ცენტრია და აქ ძირითადად თავმოყრილია ისტორიული, კულტურული, ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებები, ფაქტობრივად, აქ იშვა თვით თბილის-ქალაქი, მის მთავარ არტერიასთან, ამჟამად რუსთაველის პროსპექტთან, მის მთავარ მოედანთან – ახლა თავისუფლების სახელს რომ ატარებს, დაკავშირებულია ქართველი ერის ისტორიის მრავალი ამაღელვებელი, კარგი თუ ავადმოსაგონარი მოვლენა.

ალბათ, შემთხვევითი როდი იყო, რომ საუბარი მთაწმინდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარესთან, ბატონ დავით ღვინიაშვილთან რუსთაველის პროსპექტის პრობლემებით დაიწყო.

– ეს პრობლემები, აღნიშნა მან, „თბილისის ომის“ შემდეგ წარმოიშვა. დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით დადგა რუსთაველის პროსპექტის აღდგენის და, ამავე დროს, მისი ჩვეული იერსახის შენარჩუნების საკითხი.

– ეს, ალბათ, ძალზე რთული პროცესია!

– დიახ. შემოთავაზებულია მრავალი პროექტი, ინვესტორებიც გამოჩნდნენ, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია.ეს უნდა გადაწყდეს ჯერ მთავრობის დონეზე, შემდეგ, და მიმაჩნია, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი.

– ფაქტობრივად, რუსთაველის პროსპექტის რეკონსტრუქცია დაწყებულია. სახლმა, რომელიც თავისუფლების მოედანზე, ლეონიძის ქუჩის დასაწყისში აიგო 1991-92 წლებში განვითარებული მოვლენების დროს დაზარალებული ოჯახებისათვის, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. იგი ზოგს მოსწონს, ზოგს კი მიაჩნია, რომ არ მიესადაგება საერთო ანსამბლს.

– ძნელია ლაპარაკი ამ სახლზე. შეიძლებოდა უფრო კარგიც ყოფილიყო. ეს ჩემი პირადი აზრია. სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ საჭიროა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება-მეთქი. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკი იყო სახლზე, რომელსაც ჭერის გარეშე დარჩენილი ხალხი ელოდებოდა...

– რუსთაველის პროსპექტზე თუ არის ავარიული სახლები?

– მრავლად. საერთოდ რაიონში 147 მწვავე ავარიული სახლია, რომელშიც, ფაქტობრივად, ცხოვრება არ შეიძლება. მთლიანად მთაწმინდის რაიონში 645 ავარიული შენობაა. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ სიტუაციის გამოსასწორებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში, მოგეხსენებათ, ეს იოლი საქმე არ არის.

– და, მაინც, როგორც ვიცით, შესძელით ზოგიერთი ნაგებობის გამაგრება და რეკონსტრუქცია.

– დიახ. წელსაც იმ მწირი სახსრებით, ამისათვის რომ არის გამოყოფილი, 20-25 სახლს შევაკეთებთ, რა თქმა უნდა, იმ კატეგორიების მიხედვით, რომლებზეც დაყოფილია ავარიული ნაგებობები. მაგრამ არის ისეთებიც, რომელთა შეკეთებას აზრი არა აქვს. ბოლო დროს შეიქმნა კერძო ფირმები, რომლებიც ყიდულობენ ასეთ ნაგებობებს მოსახლეობასთან ურთიერთშეთანხმებით და ბინებით აკმაყოფილებენ ამ ოჯახებს.

– რაში გამოიხატება თქვენი მისია ამ შემთხვევაში?

– უწინარეს ყოვლისა, პროექტი არქიტექტურის სამსახურთან და ჩვენთან უნდა შეთანხმდეს. მთავარია, ნაგებობა შეეფარდოს არსებულ გარემოს. ჩვენი რაიონი ამ მხრივ სპეციფიკურია, იგი ვერ აიტანს მრავალსართულიან სახლებს...

– მსოფლიოს დიდ ქალაქებში ხომ სწორედ ცენტრშია თავმოყრილი ადმინისტრაციული მრავალსართულიანი შენობები...

– ეს, უმეტესად, ახალ ქალაქებშია, ძველ ქალაქებში, ისევე როგორც თბილისში, როგორც წესი, ინარჩუნებენ ცენტრის იერსახეს და ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს.

– ავარიული სახლების გარდა რაიონს რა პრობლემები აქვს?

– ძირითადად ეს პრობლემები ისეთივეა, როგორც ქალაქის სხვა რაიონებში, მაგრამ არის ერთი რამ, რაც განასხვავებს მას და ეს პრობლემა მოუგვარებელია, უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ მიწისქვეშა წყლების „დამორჩილება“.

– მსმენია. ერთხელ ისიც კი მითხრეს, თუ მიწისქვეშა წყლები არ მოაქციეს კალაპოტში, არ შეაკეთეს კოლექტორები, ერთ მშვენიერ დღეს მთაწმინდა თავისუფლების მოედანზე ჩამოწვებაო.

– არა, ეს საშიშროება აღარ არსებობს. ბოლო 2-3 წლის მანძილზე შევაკეთეთ რამდენიმე კოლექტორი ბესიკის ქუჩაზე, რითაც კალაპოტში მოვაქციეთ გამდინარე წყლები, გაიწმინდა და შეკეთდა სანიაღვრეები, მიწისქვეშა კომუნიკაციები. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო „თბილკანალტრესტის“ ხელმძღვანელობას, მთელ კოლექტივს, პირადად ბატონ იუზა ცარციძეს, რომლებმაც დიდი სამუშაოები განახორციელეს. მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

ფარჯა ერეკლის

● მთაწმინდის რაიონი – თბილისის გულია. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი ქალაქის ცენტრია და აქ ძირითადად თავმოყრილია ისტორიული, კულტურული, ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებები, ფაქტობრივად, აქ იშვა თვით თბილის-ქალაქი, მის მთავარ არტერიასთან, ამჟამად რუსთაველის პროსპექტთან, მის მთავარ მოედანთან – ახლა თავისუფლების სახელს რომ ატარებს, დაკავშირებულია ქართველი ერის ისტორიის მრავალი ამაღელვებელი, კარგი თუ ავადმოსაგონარი მოვლენა.

ალბათ, შემთხვევითი როდი იყო, რომ საუბარი მთაწმინდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარესთან, ბატონ დავით ღვინიაშვილთან რუსთაველის პროსპექტის პრობლემებით დაიწყო.

– ეს პრობლემები, აღნიშნა მან, „თბილისის ომის“ შემდეგ წარმოიშვა. დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით დადგა რუსთაველის პროსპექტის აღდგენის და, ამავე დროს, მისი ჩვეული იერსახის შენარჩუნების საკითხი.

– ეს, ალბათ, ძალზე რთული პროცესია!

– დიახ. შემოთავაზებულია მრავალი პროექტი, ინვესტორებიც გამოჩნდნენ, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია.ეს უნდა გადაწყდეს ჯერ მთავრობის დონეზე, შემდეგ, და მიმაჩნია, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი.

– ფაქტობრივად, რუსთაველის პროსპექტის რეკონსტრუქცია დაწყებულია. სახლმა, რომელიც თავისუფლების მოედანზე, ლეონიძის ქუჩის დასაწყისში აიგო 1991-92 წლებში განვითარებული მოვლენების დროს დაზარალებული ოჯახებისათვის, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. იგი ზოგს მოსწონს, ზოგს კი მიაჩნია, რომ არ მიესადაგება საერთო ანსამბლს.

– ძნელია ლაპარაკი ამ სახლზე. შეიძლებოდა უფრო კარგიც ყოფილიყო. ეს ჩემი პირადი აზრია. სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ საჭიროა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება-მეთქი. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკი იყო სახლზე, რომელსაც ჭერის გარეშე დარჩენილი ხალხი ელოდებოდა...

– რუსთაველის პროსპექტზე თუ არის ავარიული სახლები?

– მრავლად. საერთოდ რაიონში 147 მწვავე ავარიული სახლია, რომელშიც, ფაქტობრივად, ცხოვრება არ შეიძლება. მთლიანად მთაწმინდის რაიონში 645 ავარიული შენობაა. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ სიტუაციის გამოსასწორებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში, მოგეხსენებათ, ეს იოლი საქმე არ არის.

– და, მაინც, როგორც ვიცით, შესძელით ზოგიერთი ნაგებობის გამაგრება და რეკონსტრუქცია.

– დიახ. წელსაც იმ მწირი სახსრებით, ამისათვის რომ არის გამოყოფილი, 20-25 სახლს შევაკეთებთ, რა თქმა უნდა, იმ კატეგორიების მიხედვით, რომლებზეც დაყოფილია ავარიული ნაგებობები. მაგრამ არის ისეთებიც, რომელთა შეკეთებას აზრი არა აქვს. ბოლო დროს შეიქმნა კერძო ფირმები, რომლებიც ყიდულობენ ასეთ ნაგებობებს მოსახლეობასთან ურთიერთშეთანხმებით და ბინებით აკმაყოფილებენ ამ ოჯახებს.

– რაში გამოიხატება თქვენი მისია ამ შემთხვევაში?

– უწინარეს ყოვლისა, პროექტი არქიტექტურის სამსახურთან და ჩვენთან უნდა შეთანხმდეს. მთავარია, ნაგებობა შეეფარდოს არსებულ გარემოს. ჩვენი რაიონი ამ მხრივ სპეციფიკურია, იგი ვერ აიტანს მრავალსართულიან სახლებს...

– მსოფლიოს დიდ ქალაქებში ხომ სწორედ ცენტრშია თავმოყრილი ადმინისტრაციული მრავალსართულიანი შენობები...

– ეს, უმეტესად, ახალ ქალაქებშია, ძველ ქალაქებში, ისევე როგორც თბილისში, როგორც წესი, ინარჩუნებენ ცენტრის იერსახეს და ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს.

– ავარიული სახლების გარდა რაიონს რა პრობლემები აქვს?

– ძირითადად ეს პრობლემები ისეთივეა, როგორც ქალაქის სხვა რაიონებში, მაგრამ არის ერთი რამ, რაც განასხვავებს მას და ეს პრობლემა მოუგვარებელია, უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ მიწისქვეშა წყლების „დამორჩილება“.

– მსმენია. ერთხელ ისიც კი მითხრეს, თუ მიწისქვეშა წყლები არ მოაქციეს კალაპოტში, არ შეაკეთეს კოლექტორები, ერთ მშვენიერ დღეს მთაწმინდა თავისუფლების მოედანზე ჩამოწვებაო.

– არა, ეს საშიშროება აღარ არსებობს. ბოლო 2-3 წლის მანძილზე შევაკეთეთ რამდენიმე კოლექტორი ბესიკის ქუჩაზე, რითაც კალაპოტში მოვაქციეთ გამდინარე წყლები, გაიწმინდა და შეკეთდა სანიაღვრეები, მიწისქვეშა კომუნიკაციები. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო „თბილკანალტრესტის“ ხელმძღვანელობას, მთელ კოლექტივს, პირადად ბატონ იუზა ცარციძეს, რომლებმაც დიდი სამუშაოები განახორციელეს. მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

– ალბათ, რაიონის სკოლებიც, ბაგა-ბაღებიც არიან განლაგებული ავარიულ სახლებში?

– სამწუხაროდ, ეს ასეა, მხოლოდ გასული წლის ზაფხულის თვეებში ჩვენ კაპიტალურად გავარემონტეთ 16 საშუალო სკოლა და ბაგა-ბაღი, ზოგიერთ სკოლაში და ბაღში დავამონტაჟეთ გათბობის ინდივიდუალური სისტემები, სკოლები და ბაგა-ბაღები ზამთრის პერიოდში მოვამარაგეთ 60 ტონა დიზელის საწვავით, 5 ტონა ნავთით, 300 კუბური მეტრი შეშით, ოქროყანის სკოლასა და საბავშვო ბაღში გავიყვანეთ ბუნებრივი აირი. სკოლების და ბაგა-ბაღების შენობების რეკონსტრუქციის და გამაგრების საკითხი ერთ-ერთი შთავარია მთელს ჩვენს საქმიანობაში.

– პედაგოგები ხელფასებს დროზე იღებენ?

– გვქონდა შეფერხებები, მაგრამ ბოლო დროს შევძელით ყოველი თვის პირველიდან ხუთ რიცხვამდე გავცეთ ხელფასები. წელიწადზე მეტია პედაგოგებისათვის ხელფასების დაგვიანება არ გვქონია.

– პენსიებიც დროზე გაიცემა?

– ეს საკითხი ჩვენთვისაც ისეთივე მტკივნეულია, როგორც სხვა რაიონებისათვის. გვიანდება პენსიები, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჩვენი მიზეზით არ არის გამოწვეული და ყოველი ასეთი ფაქტი არ რჩება ჩვენი რეაგირების გარეშე.

– პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეებში დიდი მნიშვნელობის ფაქტი მოხდა – საბოლოოდ გადაწყდა დაზარალებული ოჯახების პრობლემა, ისინი შესანიშნავ ბინებში შესახლდნენ შევჩენკოსა და ყიფშიძის ქუჩებზე.

– ეს მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რომელმაც რეალობად აქცია რაიონის მწვავე ავარიული სახლების და მათი ბინადრების პრობლემების გადაჭრა. ახლა მთავარია დავაკმაყოფილოთ მოქალაქეები და იქ, სადაც ახალი ნაგებობა უნდა აიგოს, არ დავუშვათ არავითარი კომპრომისი მათ მიმართ, ვინც შეეცდება პირადული ქალაქის ინტერესებზე მაღლა დააყენოს.

– ამისათვის რა ბერკეტები გაქვთ?

– საკმაოდ ბევრი. თუნდაც ახლახან შექმნილი არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექცია. დროის შედარებით მცირე მონაკვეთში მან გამოავლინა და აღკვეთა ზოგიერთი ფირმების თვითნებურად წამოწყებული მშენებლობები და მიშენებები, რომლებსაც დისონანსი შეაქვთ რაიონის არქიტექტურულ ანსამბლში.

– გაზაფხულზე, როცა ყველაფერი ყვავის, რუსთაველის პროსპექტი განსაკუთრებით ლამაზია. რაიმე სიახლე ხომ არ მოგველის პროსპექტის გამწვანებაში?

– ალბათ, შეამჩნევდით ზამთარში საგულდაგულოდ შეფუთულ ბუჩქებსა და ხეებს, როგორ „შემოეცალათ სამოსი“, როგორ „გაკეკლუცდნენ“ ეგზოტიკური მცენარეები, რომლებიც ჰოლანდიაშია გამოყვანილი და გაზრდილი და ახლა ასე შეერწყნენ რუსთაველის პროსპექტს. ჩვენი მიზანია, ბაღნარად ვაქციოთ პროსპექტის კლუმბები, მიმდებარე ბაღები და სკვერები.

ბატონი დავითი გატაცებით საუბრობს რაიონის სამომავლო პერსპექტივებზე, მისი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების გზებზე, დაუცველი ფენის მატერიალურ დახმარებაზე, მათთვის გახსნილ სასადილოზე, რომელიც მეოთხე წელია ფუნქციონირებს ხორავას სახელობის მსახიობის სახლის შენობაში, ამერიკელი ქველმოქმედი ქალბატონის რებეკა ბრაიენის მიერ გაწეულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე. მაგრამ ყველაზე აღელვებით ლაპარაკობს რაიონის იერსახეზე. ეს არც არის გასაკვირი, იგი ხომ მშვენიერების მსახურია – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ზურაბ წერეთლის სახელოსნოში, არის მშობლიური აკადემიის დოცენტი, კითხულობს ლექციებს. იგი ბავშვობიდან იზრდებოდა ხელოვანის ოჯახში – მამა, თენგიზ ღვინიაშვილი ცნობილი ქართველი მოქანდაკე გახლავთ, რომლის სკულპტურები ამშვენებს ქალაქის მრავალ რაიონს, მათ შორის მთაწმინდასაც. ამის გათვალისწინებით ბატონ დავითს ვეკითხები: რაიმე ქანდაკება ხომ არ დაიდგმება რაიონში უახლოეს დროს?



– აუცილებლად, გეგმაშიც გვაქვს ეს საკითხი და მუშაობენ კიდევაც საკმაოდ ცნობილი მოქანდაკეები, მაგრამ ჯერ რაიონის უფრო მიწიერი, ყოფითი საკითხები უნდა გადავწყვიტოთ!

მესმის ბატონი დავითის. ახლა ყოფითი საკითხები მართლაც უფრო მნიშვნელოვანია. აკი ქვეყნის პრეზიდენტმა სწორედ ეს საკითხები წამოსწია წინა პლანზე თავის წინასაარჩევნო პროგრამაში.

ვუყურებ ამ ახალგაზრდა, ენერგიით და იდეებით სავსე ხელოვანს და მჯერა, რომ მას ხელეწიფება მრავალი კარგი საქმის გაკეთება...

ლამარა გაგუა

ახალი ლექსები

ჩემი დროც დადგა

ჩემი დროც დადგა და ალბათ მალე
დაჰკრავს საათი აქედან წასვლის,
ოღონდ არ მინდა, ჩემს დაღლილ თვალებს
წაჰყვეს, რაც ვიყავ, იმისი ასლი.
მხოლოდ დედანი!.. სიტკბოდ რომ დარჩა
და დაბზუიან თავზე ფუტკრები...
წაიღო ყველამ და ყველა ჩარჩმა
ისიც, რაც მწამდა განსაკუთრებით.
მე შემრჩა, როგორც სიმდიდრე, დავლა,
ხსოვნა, რომელიც დრომ არ დაფანტა:
ფეხებარევით ქუჩაში გავლა
და აბნეული დგომა ყაფანთან.
შუაღამეში არღანი ტირის –
ჩაყვება ქუჩას და გადამურავს...
ოქროს ჩარდახთან ტივტივი ტივის,
ტალღის ტლაშუნით და საამურად.
ვიღაც ჩერდება თეთრ ხიდზე, ზემოთ,
ვიღაც წყლის ჩქაფანს მოაყურადებს.
სხვაა ტყემლის და ალუჩის გემო,
ჯაჭვის ხიდიდან ოლასკურამდე.
მე სულ პატარა რაღაცა მყოფნის
და სხვანაირი დღე-ღამე მძალავს.
ჩემგან ორმოცი წლის უარყოფილს,
მსურს, დავუჩოქო ჩემს გამზრდელ ქალაქს.
ვუთხრა, რომ ვერ ვთმობ მის სათნო იერს,
რომ მისკენ მქონდა თვალი ყოველთვის,
ყველა ტკივილს და შეცდომას ვძლიე
და სიბერეში მაინც მოვედი.
ახლა შენ გინდა, რომ დამავიწყო
ის, რასაც ბედთან თამაში ჰქვია.
ჩემი თამაში ადრე დაიწყო,
მაგრამ მთავრდება ძალიან გვიან.
და აგრძელებენ თვალები ციმციმს,
დიდია ურვა და გულისტკენა.
... დღეს ვითამაშებ უთუოდ, ვიცი,
ამ თამაშიდან გამოსვლის სცენას.

მძიმე ტვირთს ტოვებს

წინ წყალია და არაა ხიდი
და ჩანს მდინარის იქით ტყე-ველი.
... მძიმე ტვირთს ტოვებს და ცისკენ მიდის
სული სხეულში დაუტეველი.

სხვა სინათლეა საღმრთო ბარძიმთან,
თვლემს გრილ ჭალაში მომცრო ველობი,
ოღონდ ის ახლა უფრო დამძიმდა
თავის ცოდვით და უცოდველობით.

ეს ყველაფერი

სულ შეცდომებზე რომაა დავა
და შენს ფუძეზე სხვა უკეთ სახლობს,

რომ მოგიღერა ვიღაცამ დანა
და შეგიძლია არ დაინახო;

თვალში თავისით რომ ჩნდება ნამი,
ფრთები რომ ტყდება ცაში საფრენი,
შენ საცოდავი კაცი ხარ ამით
და გაბეჩავებს ეს ყველაფერი...

გზაჯვარედინთან

აქეთ თუ იქით? აქეთ, აქეთ, ჩემო ვასო, აქეთ ხომ წუთისოფელია, წუთისოფელი საუკუნისა, დიახ, საუკუნისა და არა უკუნისა.

აქეთ — სინათლეა, აქეთ — სიყვარულია, აქეთ — ერთგულებაა, აქეთ — კეთილმა სძლია ბოროტსა... იქეთ, მარადიულია, იქეთ აქაური სინათლე მიგყვება, თუ ასეა, გვაცალე ცოტაც, უფრო დაიხუნძლე სიყვარულით, უფრო მეტი სიტყვა მოიმკე თვალ შეუდგამი სინათლიდან, ოთხმოცს ოთხმოცი მიუმატე, ვინ დაგამადლის? ყველას თავისი აქვს ამ წუთისოფელში:

„რა ჩურჩულია ამ ჩრდილებში
ჯვარედინ გზასთან,
იქეთ, თუ აქეთ, თუ ჩემი გზაც
იმ დიდ გზას ასცდა?“

შენი ლექსი ყოველთვის ცხრიანში ურტყამს, ვერც იმ გზას ვერ ავცდებით, მაგრამ ჯერ აქეთ, ამ საქართველოსკენ, ამ საძმოსკენ, შენს „დროშელებთან“, შენს მონაგარში.

„ვიღაც ჩერდება თეთრ ხიდზე, ზემოთ,
ვიღაც წყლის ჩქაფანს მოაყურადებს,
სხვაა ტყემლის და ალუჩის გემო,
ჯაჭვის ხიდიდან ოლასკურამდე.“

ჩვენო ვასო, 80 წლის გავლას გილოცავთ და გახსოვდეს ჩვენგან, „დროშელებისგან“:

შენ საჭირო ხარ, საჭირო, გესმის?

ჯანსუღ ჩარკვიანი
2000 წ. 25 აპრილი

ნაქცეული

რომ არ ჩვეოდა, შეცბა ისე და გაეღიმა –
დაინახეს და, დანახვამაც კი შეაშინათ...
უნდოდათ ხელი რომ შეეშვა, მაგრამ მაშინაც
ხელში ეჭირა სადავე იმას.

და ის ნაიქცა, ოღონდ მძიმედ, შებარბაცებით
ძირს ღირსეულად დაასვენა ტანი მდევური.
მერე, თავზე რომ წამოადგნენ
ქონდრის კაცები,
ასე ფიქრობდა ის... ნაქცეული...

გულში ფიქრობდა, და თვალებში გაჩნდა სისველე:
... ვინ უღალატა მას ამათგან? იცის! არც იცის!
იმან უთუოდ, რომ უკოცნის ხელებს ლაციცით,
როგორც ნაცემი ლეკვი, ისევე...

სანამ საეჭვოდ სათვალედან სხივი გაკვესდა,
გაქრა სინათლე, ბოლო სხივის გამომკვესელი.
... სიპატარავე რომ ახლოა სიდიადესთან,
თურმე ამნაირ ნაქცევისას გრძნობენ ესენიც...

ღვთისმშობლის ხატთან

ღვთისმშობლის ხატთან დავდგები საყდრის
კუთხეში მარტო:
– ცოდვილი ვარ და მომხედე ცოდვილს,
ღვთისმშობლის ხატო!

ცოტა კი შემაგვიანდა წმინდა საყდარში
მოსვლა,
თაფლის სანთელი აგინთე და ბერის კაბა
მმოსავს,
ორივე მუხლზე დაჩოქილს მნახავ ამ
საღამოსაც.

შემოხედვითაც მიხვდები, გულზე ამეხსნა
ლოდი,
თუ რამე ცოდვა მქონია, თვალიდან
ცრემლად მოდის.
მთელი სიცოცხლე ეტყობა, მე ამ დღეს
მოველოდი.

მაგრამ ეს წუთი, უფალო, მე მაშინ მომანიჭეს,
აკანკალებულ თითებში სანთელს რომ
ველარ ვიჭერ...

რისი ბრალია?

წინ გზა რომ არ ჩანს შუქით მწვანეთი,
რისი ბრალია?
რად შევიძულეთ ჩვენ ერთმანეთი
ასე ძალიან...

ჯვარედინ გზასთან

რა ჩურჩულია ამ ჩრდილებში, ჯვარედინ
გზასთან,
რა თქვეს სულებმა, ცოტა გვიან როცა
მივედი.
იქით? აქეთკენ? თუ ჩემი გზაც იმ დიდ გზას
ასცდა,
დიდ გზას, მცირე გზით მასთან მისვლას რომ
ვაპირებდი.

რა საცოდავად, რა უმწეოდ პატარა ვჩანვარ
მე აქ, სწორედ აქ, ამ ჯვარედინ გზის
გასაყართან.
... შეშრიალდება შავი ნისლი და იქით ჩავა,
ხეზე ობობა მბზინვარ მტვერში
ძაფებს რომ ართავს.

სალამი ამ ნისლს, ამ ბინდისფერ
ჭალა-მიდამოს,
ზეთისხილის ბაღს, სიოს მძაფრ სუნს
და ამოსუნთქვას,
რომ შეუყარა თავი ერთად და სათითაოდ
აქ, ყველას, ჩემზე გაცილებით ადრე
მოსულთა...

სასჯელი

თურმე ასეთი სასჯელია ჩემზე მოსჯილი:
უნდა ვიცოცხლო, მაგრამ ვიყო ყველას

ვასილ გვეტაძე

ზოგჯერ ქარის შტო თვალწინ დაყრილ
ჩრდილებს მიმოშლის
და დავინახავ თავს ყოფაში სასაცილოში.

სასაცილოა, აბა, რაა, ვის ვევედრები
მე, ალიკვალი, ჩაფხუტიან ძველი მხედრების.

ხმელ აყალოზე დამჩნეული ცხენის
ფლოქვივით
რას ვიმანჭები, ვის წინაშე ვარ დაჩოქილი.

რომ ყოველდღიურ საზრუნავში ფიქრი
განივლტო,
ნუთუ ცხოვრებამ მე დამსაჯა სწორედ
ამიტომ.
რომ ყველა ხეპრე და უღირსი თავზე
დავისვი,
მითხარ, ძვირფასო, მე ვისჯები მართლა
ამისთვის?

მართლა ასეთი სასჯელია ჩემზე მოსჯილი:
უნდა ვიცოცხლო, მაგრამ ვიყო ყველას
მორჩილი?!

დედა

ძილში, მღვრიე ცის გამოხედვაში,
ჩაცხრა, საწოლზე დარჩა გულაღმა.
... ისე დაშორდნენ რომ აქ, დედა-შვილს
ერთიმეორე არ დაუნახავთ.
მერე ძნელდება ბედთან მორევა,
მერე თანდათან წლები დათოვენ...
და რა მწარეა ეს დაშორება,
ეს უდედობა, ეს სიმარტოვე.
თუნდ გადამევლო ცათა განედი,
სად შევხვდებოდი სანთლის სახიანს,
და ყველა ლამაზ ქალს ვამგვანებდი
დედას, თვალით რომ არ მინახია.
სული ივსება სხვანაირ შფოთით,
ძველ ტკივილებზე გულს თუ მინებდი.
... შემოდიოდა და დაფნის შტოთი,
ოფლით დაცვარულ შუბლს ვუგრილებდი.
ამფარებია თავზე ხატადა,
თეთრ სასთუმალთან ფრთამინაბული.
დედის უნახავ სახეს ხატავდა
ჩემი სიობლე და სინანული.
ბასრმა დანებმა გული დასერა,
ვიღაც მჩქეფარ ჩქერს ჩემკენ მოდენის.
მე ჯერ აქ ვარ და იქ წასასვლელად
ჩემთვის დანიშნულ დღეს ველოდები.
და დედაჩემი – სათნო ოლინკა,
რაკი ყველაფერს ფარდა ეხდება,
თუ აქ, შემთხვევით თავს არ მოვიკლავ,
იმ ქვეყანაში მაინც შემხვდება.

არა, ნუ გეშინია

არა, ნუ გეშინია,
შენ არ ხარ უბედური,
და თუ იღბალს ემდური,
იგი მხოლოდ ჟინია
და მეტი არაფერი.
არა კენტად, ზიარად,
თან მიგყვება იარა,
მარტო შენი კი არა,
გაუშლელი აფრების.

ცაში შენ ვერ ახვედი –
ბრუნავს მრუდე ბორბალი,
თვალში... ვერცხლი მომბალი,
როგორც სანთლის ნაღვენთი,
ან ვით ჩიტის ნისკარტი...
და ცდუნება დიდია:
წინ რომ ბეწვის ხიდია,
ზედ ლანდები მიდიან
გაუგონარ სისხარტით.

არა, ნუ გეშინია,
შენს საშველად მოდიან...
ეს სიკვდილი როდია,
იგი მხოლოდ ჟინია
და ბედია კვიმატი.
არა კენტად, ზიარად,
გახსნილია იარა,
მარტო შენი კი არა,
რომ წავიდნენ, იმათიც...

შეგუებია ფერები ფერებს

მიდიან ქროლვით და ქანაობით
და სიცხადეში სხვაა ზმანება.
მთელი სინაზე ჩემი თაობის
თან გაიყოლეს დასანანებლად.

მათთან გული კვლავ შეიფართქალებს,
მაგრამ დღეს ყველამ ასე ინება.
... ჩუმ ჩეროებში, ჩვენს ძვირფას ქალებს,
აღარ შეშვენით გასეირნება.

შეგუებია ფერები ფერებს
და დღე ღამეზე მეტია ერთობ.
მითხარი, ასე რომ დამაბერე,
რისთვის დამსაჯე, ნეტავი, ღმერთო!

მთვარეა ისე, თითქოს ტანს ბანდნენ,
მოჰყვება ჩქერში ამ რიონს თავად,
და აფრთხობთ მთვარის დანაჯვა ლანდებს,
თავმისადებად ბაღში რომ ჩავა.

ლანდები, ჩემი ლანდები, ღამე
დაწრიალებენ ბაღებში ცალად,
პირით კი არა, თვალებით სჭამენ
ჩაის ვარდებში დაგეშილ ქალაქს.

გადათეთრებულ ტყემლების თოვა
და ეს ფუსფუსი ყველაფერს ავლენს.
დაპირებული აპრილი მოვა
და ქარიანი დღეები წავლენ.

და ვერაფერი უშველის იმათ –
აყალო მიწის ძირს მიეგლისენ.
რა საჭიროა თვალებში წვიმა,
თუ თავისთავად ვიტირებთ ისეც.

... მიდიან ქროლვით და ქანაობით
და სიცხადეში სხვაა ზმანება.
მთელი სინაზე ჩემი თაობის
თან გაიყოლეს დასანანებლად.

რა ეშველება

არ დამიკლია ტაში და ვაშა,
რომ ეღაღანა ვარდიან ბექობს.
ღირდა სიცოცხლე და გულის გაშლა
მარტო იმისთვის, რომ ვინმე მექო?

შეუძლებელი შეძლეს ხელებმა
და ვიმკი იმას, რაც ადრე ვთესე.
ახლა, მითხარი, რა ეშველება
ლუკმა პურისთვის დაწერილ ლექსებს.

ეს მეოთხმოცე

გუშინ რა იყო, ხვალ რაღას ველი,
მკრთალ შუქს პატრუქი იფერებს, უკლებს.
აჰა, მოვიდა ოთხმოცი წელი –
ბარაქიანი სიბერე უკვე.

გზას მივუყვები და იქით მივალ
და ეს გზა მაინც თუ დამანებეს...
დღეს სხვანაირად მე გული მტკივა,
რადგან ტკივილში ღვიძავთ ზმანებებს.

ო, ეს მწველი და ძველი თამაში,
ეს უსაშველოდ გრძელი ზმანება...
ხომ უსათუოდ მეტი ამაშიც
არის ტკივილი და დანანება.

წლები ისედაც მწეწავდნენ, მდევდნენ,
და შემპარავი ავი სულები
დასაბამიდან აქამდე, დღემდე,
ჩემშიაც სხედან გასუსულები.

ხომ ტკივილია ტკივილი ყველა
და ასე ტკბილი და უსიზმრებო,
ის კი, რაც ჩაქრა გულდასაწველად,
იმის ანთება სხვამ ნუ ინებოს.

ამოვათავე გზა არაერთი
და ახლა, რაკი ბედმა დამინდო,
გამოიმეტებს ამ წელსაც ჩემთვის,
ეს მეოთხმოცე წელი ამიტომ?..

გურამ ბედოშვილი

კალმახმეფის ამბავი

– სოფელი კაციათაო, – უთქვამთ და, ღმერთმანი, ბრძნულადაც უთქვამთ. მაგრამ ვინაც ეს ოქროს სიტყვა პირველად წარმოთქვა, ის კი არ უგულისხმია, ამოდენა მირიადი ხალხი ერთმა ორმა კაცმა არჩინოსო! მე ჩემს გარჯას, უფლის ყური ისმენს, არავის ვამადლი, არავის ვამუნათებ, მაგრამ, დალოცვილიშვილო, ხელს იმიტომ კი არ გაშველებ, გვერდით იმიტომ კი არ გიდგები, მკლავები გულზე დაიტუტო და სათავისოდ თითიც აღარ გასძრა! მე თუ შენ გეფერები და გეჭრელები, მარტო იმიტომ, რომ ჩემი შემხედვარე შენც მისდგე-მოსდგე, ამოძრავდე, ხელი გამოიღო. სხვა კი არაფერი! – ნახვით თუ არ გინახავს, გაგონილი მაინც გექნება, რომ ყოველ გიორგობა დღეს მთელი ახალგაზრდობა ანანურის ეკლესიაში ვიკრიბებით, თან პურ-მარილს მივიყოლებთ; ვისაც რისი ძალა და შემწეობა გვაქვს, იმით მივდივართ. მე, როგორც სოფლის პირველ მებადურს, საგიორგობო სუფრის ახალი, არაგვული თევზით გალაზათება მევალება.

ხატობის წინა დღეს დილაადრიან წამოვდექი, ჩემი მამაპაპური აბრეშუმის ბადე გავამზადე და უმძრახ-უნაწილომ არაგვს მივაშურე.

გვიანი შემოდგომაა. ამ დროს მდინარე ისეა დაწმენდილ-გასპეტაკებული, შუა ღურღულშიც კი ხორბლის მარცვლისხელა კენჭებს სათითაოდ დაითვლი. არაგვის ნაპირებს მივყვები და მოვყვები, საბადურ ადგილებს ვეძებ. ვიპოვი და იმწამსვე გავშლი, ჩქერზე დავაფენ, ჩემებურად მოვაკალოებ! გაგიხარია, ბადის გაშლაში ტოლი არ მყავდეს, მაგრამ მალე რამდენიც გენებოს, – ბადეს თევზი არ მოსდევს! არადა, სოფელში ხელცარიელ დაბრუნებას სიკვდილი მირჩევნია. ხომ ვიცი, სუფრა მე მიმელის, ჩემით იმედიანობს! ვიარე და ვიარე, ლამის არის, სული ზეცას შევავედრო. შუადღე ჩამოთავდა, თოფრაში კი ორი-სამი ფიჩხულის მეტი თევზი არ მიფართხალებს. დანა კრიჭას არ მიხსნის, ხან ისეთი ფიქრი წამომივლის, მოდი, ამათაც ცოცხლებს გავუშვებო, – ვამბობ. თევზის ქარავანს თუ არ გადავეყარე, ეს ერთი კბილის გაღვიძება ფიჩხული რა მკვდარს გამოცოცხლებს? ჩემი მეზობლების ყბაში მტერიმც ჩავარდნილა!..

გავხედე კვირიკეწმინდის ტყიან მთას, – ჩვენი საავდრო ქედი ეგ არის, – მაგრამ რას ეძებ, რა დაგიკარგავს, ცაზე ღრუბლის ფარატინა ნაგლეჯიც არსად მოჩანს! რა ავდარი, რის ავდარი, საავდრო ღრუბელს ახლა რომელი ღმერთი გამიცოცხლებს? ვუყურებ ახლა ცაში გედივით ყელაღერილ ანანურის ღვთისმშობელს და, გეფიცები, ვერც ვაზრობ, მუხლისჩოქზე ისე დავმდგარვარ...

– ღმერთო! შენ მაინც ხარ გაჭირვებული კაცის შემწე და მფარველი! ოღონდ ამ მოულოდნელ სირცხვილს დამხსენი, სოფელში ხელმოცარულს ნუ მიმიყვან და, დედის გაჩენილი არ ვიყო, ღვთიშობლობა დღეს ცვილის წმინდა სანთლითა და რქადაგრეხილი საკლავით თუ არ მოგივიდე!

არც დამიჯერებ, სიტყვა არ დამესრულებინა, კვირიკე წმინდის მხარეს, იმ დამარმარებულ ცაზე, უცებ საავდრო ღრუბელი ამოიშალა, ამოიფაფრა! ცოტაც და, – ატყდა ჭექა-ქუხილი. მერე ერთი გაიელვა და ისეთმა თავსხმამ დასცხო, წუთში მშრალი ძაფის ნასახიც აღარსად დამიტოვა! გადაირივნენ, გახელდნენ ამ ჩვენი აუზისა და კვირიკის დაყაფრული ხევები. ეს არყალა ხომ მთლად გადაირია, გაფოთდა! თითო ისეთ ლოდს მოაგორებს, ცხრაუღელი ხარ-კამეჩი ძვრას ვერ უზამს!.. სახლისოდენა ტალღები პირიდან ცოფს ყრიან, იტყვი, მეორედმოსვლა დამდგარაო! ამრეშდა არაგვი, ღვიძლისფერი გაირია; მოდის, მოიგრაგნება და ქვიშიან ნაპირებს ხან აქ, ხან იქ ხრამავს, შლის. როდის, როდის ცამ პირი შეიტეხა, ღრუბლებიდან მზემ გამოიხედა, მაგრამ ჯერ ისევ საკმაოდ გრილა. ბადე მხარზე გადავიგდე და არაგვს თავქვე დავუყევი, სათევზაო ადგილებს ვირჩევ.

ვუყურებ: კვირიკისხევისა და არაგვის შესართავში, ერთ მოგრძო თავთხელზე, ხის შავი მორივით რაღაც გაწოლილა. თვალს ველარ ვაშორებ. ნეტავ რა არის, რა უნდა იყოს? თითქოს თევზია, თითქოს – არა! თავთხელში ისე მივდივარ, ძირსაც აღარ ვიყურები, არ მინდა თვალი მოვაშორო, ვაი თუ აფართხალდეს და სადმე გამექცეს, გადამიძევდეს... მივედი, მივედი და, რას ვხედავ: ცოცხალ-მკვდარი ორაგული მდინარის მონატან ქვიშაზე აგდია და საცრისხელა ლაყუჩებს ძლივს ამოძრავებს. გახსნის და ერთი ცოდვისხილებით დახურავს, გახსნის და დახურავს!.. ეტყობა, არაქათი წართმევია, მაგრამ გაბრძოლებას და ღურღულ წყალში შესვლას ისევ ლამობს. აშკარად ჩანს, დასისხლიანებულ, ნაბრძოლ ტანს ველარობით ველარ მორევია, მარტო საყვარლად თიმთიმებს, ოდნავ შესამჩნევად ძიგძიგებს. ორ-სამ ნაბიჯზე რომ მივუახლოვდი, არც მაშინ განძრეულა. რას გაინძრევა, ძალ-ღონე აქვს წართმეული. რა ომში ნაბრძოლი ვაჟკაცი და რა – ეს ორაგული! არადა, მართლა კარგად მოსული ვაჟკაცივით გაწოლილა სველ ქვიშრობზე. ბადე რომ მოვიხსენი, მაშინღა შეშფოთდა, ლაყუჩების ფარფალს უმატა, წითლად აფოროჯებული ტანი და ბოლო ერთი-ორჯერ გამეტებით მიიქნ-მოიქნია. მეტი არაფერი. ბადე თევზს ზემოდან გადავაფინე, შიგ გავახვიე.

– ჰოო, – ვეუბნები, – ეხლა კი ჩემი ხარ, ჩემო კალმახმეფევ! ველარსად წამიხვალ!..

ბადეში საგულდაგულოდ შეგრაგნილი ჩემკენ გამოვქაჩე და, როგორც იქნა, თავთხელში შემოვაბრუნე. დიდია, მართლა ერთი ვეება რამეა! თევზია, მეთევზის თავმოსაწონებელი! ერთი ეგ არის, ტყვიასავით მძიმეა!.. რაიმე რომ იყოს, აწევა არ გინდა? სოფლამდე მე ამის წამღები ვარ?..

ჩემმა კალმახმეფემ, რაკი თავი წყალში დაიგულა, დგაფუნს უმატა. მეშინია, თავი არ გამტაცოს. კიდევ კარგი, მოვისაზრე და ბადე წყლის დინებას მივაყოლე. ისიც მომდევს, მომყვება, აღარც მიძალიანდება. ბოლოს ერთ ჩადაბლებულ ნაპირს მივადექი და იმედმოცემულმა ჩემკენ დავქაჩე. ახლა კი გამიურჩდა, აფართხალდა, ლამის ბადე ხელიდან წამგლიჯოს. ძალს მე, ძალს ჩემი კალმახმეფე!.. ჩემია და არკი მნებდება, არ სურს უწყლო რიყეზე ამობრძანება...

ვფიქრობ: ვაი თუ დაღლა შემატყო! ვინ იცის, ფიქრობს, რაკი ვერ ვძრავ, ხელს ჩავიქნევ, ბადიდან გამოვხსნი და გავუშვებ, გავათავისუფლებ!.. ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვი! რა უნდა მოხდეს, სოფელში ხელცარიელი დავბრუნდე! ძლივს სადმე გამომიჩნდი, სირცხვილს და ქილიკს ვინც და რაც დამხსნი, სახელს მომიმატებ.

ახლა ავდგე და შენს ნებაზე გაგიშვა? არც იფიქრო! თავზე რომ დამათენდეს, აქედან ფეხს არ მოვიცვლი! ან შენ როდემდე გასძლებ ასე ბადეში შეხვეული? სული რომ ამოგძვრება, მერე ამოგათრევ და შინ მიგიტანს!..

დავყურებ კალმახმეფეს და თვალს არ ვუჯერებ: არა, ნამდვილად მეჩვენება, აზრი მატყუებს! კაცი თევზაობა-ნადირობაში დავბერებულვარ და, თქვენი არ ვიცი, მე კი ამბადაც არა მსმენია, თევზი თვალებს აფახულებდეს! ეს ჩემი კალმახმეფე კი იმ თავის საცრისხელა ლაყუჩებს როგორც გახსნის და დახურავს, თვალის ქუთუთოებსაც ისე აყოლებს! თანაც, პირი გამიშავდეს, ტყუილს თუ ვამბობდე, ორივე თვალი ცრემლით გავსებია! აღებს დრუნჩს, აფახულებს თავის დიდრონ ცრემლიან თვალებს და სახეში შემომყურებს!.. იმ წუთშივე ვიაზრე (ალბათ განგებამ მიმახვედრა), რაღაცის თქმას აპირებს! დავხედავ, ისიც შემომყურებს, აღებს პირს და თევზების ენაზე უხმოდ მელაპარაკება. ღმერთო მაღალო! ნეტავ ენა მაინც ამოიდგას, იქნებ რამე გამაგებინოს თორემ ასე ან მე რა გავაწყო, ან – იმან?.. ვერ გეტყვი, რამდენ ხანს ვიყავით



ასე მუნჯებივით. ბოლოს, იმედი რომ გადაეწურა, ერთი გაიბრძოლა და თვალიდან ცრემლი ჩამოუგორდა. არის გამტკნარებული, აღარც პირს აღებს, აღარც თვალებს აფახულებს, წევს გაუნძრევლად. როდის, როდის, თითქოს უმოძრაობა მობეზრდაო, კვლავ შეფართხალდა, თავდახსნა სცადა.

– რა ვქნა, თევზო, რა გიყო, – ჩაველაპარაკები, – განა არ მეცოდები, განა ერთი აბუეტი და ქვისგულა ვინმე ვარ, მაგრამ რა ვქნა, როცა სოფელში ხატობის სუფრაზე უთევზოდ ცოცხალი თავით არ მიმესვლება!.. ჩემი თავმოჭრა და სირცხვილში ჩავარდნა შენ რას შეგმატებს, რა მკვდარს გაგიცოცხლებს?.. შენი ბადიდან გაშვების ამბავს კი, რომც მოვუყვე, არ დამიჯერებენ. დამიჯერებენ კი არა, ახალ მთვარეზე შეშლილად ჩამთვლიან! მითხარი, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?

– „წყალში ჩავარდნა“ რომ გაიგონა, კალმახმეფემ საწყალობლად შემომხედა, პირი გააღო და რაღაც ამოთქვა, ალბათ დახსნას შემემუდარა. როცა ორივე თვალში მბრწყინავი ცრემლი დავუნახე, მაშინ კი გული ამიკვნესდა. ბევრი აღარ მიფიქრია, ავდექი და ბადე ნელ-ნელა შემოვხსენი.

– წადი, თევზო, წადი, – ვეუბნები, – მე ჩემი ღმერთი არ გამწირავს, ცოტაოდენს რასმე დამაჭერინებს, წვრილი თევზითაც ხელს მოვინაცვლებ, შენ კი გამიშვიხარ, გამითავისუფლებიხარ! წადი და იცურე შენს წილ წყალ-ქვეყანაში!..

კალმახმეფე ერთი შეთამაშდა, შეფართხალდა და მდინარეში ხალისიანად ჩადგაფუნდა.

და, რომ მეგონა, გაჰკრავდა, გასრიალდებოდა, იქვე, ნაპირთან ახლო წყნარი რხევა-რხევით მოცურდა და მონუსხულივით მომაჩერდა.

– წადი-მეთქი, კალმახმეფევ, ქართულად გითხარი და გაიგონე, შეისმინე! წადი, თავისუფალი ხარ! ალბათ, ეგ გწერია! ეტყობა, მეც უფალი მცდის, სიხარბემ ხომ არა მძლია!..

– შენც არ მომიკვდე, ადგილიდან არ იძვრის, მარტო წყლის ჭავლის მოძრაობას აყოლებს იმ ტყვიისფერ, უცხოდ მოხატულ მოწინწკლულ ტანს. შემომხედავს, გააღებს პირს და მშვიდად, უშფოთველად აფახულებს ლამაზად მომრგვალებულ თვალებს!

– წადი-მეთქი, თევზო, გამშორდი! წადი, გზას ბარაქა დააყარე! დამილოცნიხარ, ხომ ვიცი, ოჯახში მიგელიან, ცოლშვილს შენი გზისკენ ექნება თვალი დარჩენილი!..

არც განძრეულა, ერთი არ შექანებულა. ავდექი და მე თვითონ გავერიდე. წავალ დავყვები მდინარის ნაპირს, ისიც თან მომდევს, ოღონდ ფრთხილად, სვენებ-სვენებით. წამოვალ ზემოთ, ისიც იცვლის მხარს და დაბარებულივით თან მომყვება. რაღა ვქნა, როგორ დავიშორო ეს დალოცვილი?

ვუყურებ: შეთამაშდება, გაცურავს სამიოდ მეტრს, მერე შეჩერდება და მიცდის, ალბათ გუმანს ყრის, რას ვიზამ. წავალ, წამომეწევა, ერთს შეფართხალდება და წინ ლაღად გაცურდება.

– ის მაინც გამაგებინე, რა გინდა, რატომ შენი გზით არ წახვალ, რატომ არ დამეხსნები? ან სად მიმიძღვები, სად გინდა, წამიყვანო, ამოთქვი, შე მადლიანო!

ვითომ აქაც არაფერი! შევბრუნდები, ზურგს შევაქცევ, ნაპირს ქვემოთ ჩავუყვები. მოვიხედავ და ისიც იქვეა, ტყუპის ცალივით გაჩერებული. გავერიდები თუ არა, ისიც ცურვას იწყებს, თან ისე გამოზომილად დაცურავს, იტყვი შიშობს, თვალიდან არსად დავეკარგო...

ასე ცურვა-ცურვით იმდენი მატარა, სანამ ბებრის ციხის ახლოს, ჯოთირების კლდეს ვეძახით, იქ არ მიმიყვანა.

ვუყურებ და თვალს არ ვუჯერებ: მთელი მორევი, ბოლოში ფიცრებითა და ჩელტებით ჩახოლილი, ცოცხალ-მკვდარი თევზით არის გადათეთრებული! ვიღაც გარეწრებს და არაკაცებს ამ საგიორგობოდ, (აგრემც გაუწყრებათ იმათ წმინდა გიორგის მადლი!) დინამიტი აუფეთქებიათ და უამრავი თევზი ამოუჟუჟიათ, წვრილი, მსხვილი ერთიმეორეშია ალუფხული. რასაც მორეოდნენ, წაელოთ, წაშავებულიყვნენ, რაც სიწვრილით დაეწუნებინათ, ფიჩხის ხერგილთან ჭერეხივით იყო მიყრილი. საწყლები, თეთრი მუცლებით ამობრუნებულები, წყლის ჭავლზე ირწეოდნენ, გულსაკლავად ტივტივებდნენ. იმდენი დახოცილი სად იყო, რამდენიც აფეთქების ხმით დაყრუებულ-დაბნედილი!

... ჩემი კალმახმეფე აღარსად ჩანდა, გაუჩინარებულიყო. ის, ვგონებ, სწორედ მაშინ დამეკარგა, თევზით მოკალოებულ ხერგილს ზედ რომ წამაყენა!..

– დაგელოცა, ღმერთო სამართალი!..

მოზრდილი ბრეზენტის თოფრა თევზით გავავსე, წყალი ჩავუსხი და სოფლისაკენ გულარხეინად გამოვეშურე. ხვალინდელ საგიორგობო სუფრას არაგვის ცოცხალით რომ გავალაზათებ, უბნელებმა ჩემი ხელმადლიანობის ამბავი იქნებ მაშინ მაინც იწამონ! არა, მაინც რატომ არის ასე უჯიათი და ურწმუნო სოფელი? ხელმადლიანობა კი არა, მგონია, ისიც არ დამიჯერონ, გიორგობის წინა დღეს, თავს რა ამბავიც გადაგვხდა მე და ჩემს ბუმბერაზს! არ დაიჯერებენ და ნუ დაიჯერებენ! მელოდონ, სანამ მოწმედ მე იმათ კალმახმეფეს მივუყვანან!..

საქართველოს უმშვენიერესი ქალბატონი ჰყავს

● ნანა გერასიმოვა – დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. მუშაობს ზეთში, აკვარელში, პასტელში, ამჟამად მუშაობს ტიპოგრაფიული საღებავებით ქაღალდზე, მონაწილეობდა 30-მდე გამოფენაში. აქედან ხუთი პერსონალურია. სამი პერსონალური გამოფენა ჰქონდა აშშ-ში. გახლავთ დიზაინერთა და მხატვართა კავშირის წევრი. გაფორმებული აქვს 40 წიგნი ისეთი გამომცემლობებისათვის, როგორიცაა „მერანი“, „განათლება“, „ხელოვნება“... და სხვა.

მცირე ჟურნალისტურ ანკეტა-ჩანაწერს გადავხედე, გვერდით გადავდე, ვინაიდან მხოლოდ ეს ანკეტა არაფერს გეტყვით მხატვარ ნანა გერასიმოვაზე...

ოდნავ შორიდან დავიწყებ.

დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ, კინო სახლში ელდარ შენგელაიას ფილმის ჩვენებაზე უმშვენიერესი გოგონა შემოვიდა, იასამნისფერი და ღია ვარდისფერი სამოსით. ყოველ შემთხვევაში მე ასე დამამახსოვრდა ნანა, ამ ფერში. ჩვენ მაშინ სტუდენტები ვიყავით. ლამაზი ქალებით განებივრებულია თბილისი, ამდენად ნანა წლების მანძილზე ჩემთვის მხოლოდ ქალაქის უმშვენიერეს ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა. ჩვენ საერთო წრე გვქონდა და ერთმანეთს საერთო მეგობრებთან ვხვდებოდით ხოლმე.

ეს ის პერიოდია, როდესაც ჩემი თაობის გოგონები პიონერები იყვნენ მოდელირების ფაკულტეტზე, რომლებიც თავიანთ და თავიანთი მეგობრების ნამუშევრებს პოდიუმზე აჩვენებდნენ, ეს იყო სტუდენტობის საუკეთესო ხანა, როცა დიპლომების ჩვენება აკადემიაში დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე და როდესაც სპონსორებზე არ იყო დამოკიდებული მხატვრისა თუ მუსიკოსის ბედ-იღბალი. ერთ-ერთი ასეთი ჩვენების შემდეგ, (უფრო ზუსტად) ჩემი ამხანაგის მხატვარ-მოდელიორ მაკა ბახტაძის მოდელების ჩვენების შემდეგ, ნანასთან ავედით სახელოსნოში და აქ პირველად ვნახე ნანას ნამუშევრების თითქმის სრული გამოფენა. სახტად დავრჩი, ეს არ იყო ვარდისფერ სამოსში გამოწყობილი გოგონა – როგორც ჩანს 10-15 წელი დიდი დროა იმისათვის, რომ ცხოვრებამ თავის ფერები კარგად დაგანახოს. ყველას არა აქვს ნიჭი იმისა, რომ ეს ფერები შენამდე მოიტანოს, მცირეოდენი ტკივილი იქნება თუ სიხარული ფერში გადმოსცეს. გადმოღვაროს ნაღველი თავისი და ფერით შეალამაზოს ისე, როგორც ადამიანი ალამაზებს თავის ცხოვრებას – სიყვარულით, სევდით, ერთმანეთისადმი ლტოლვითა და მეგობრობით, სიძლიერით, სიმშვიდით, სიმშვიდითა და არა გაშმაგებით, სიმშვიდითა და არა გაალმასებით...

ჩემს წინ იყო სხვა მხატვარი, ძლიერი ტკივილითა და ინტელექტით. მე ვკითხე: – რა ტექნოლოგიით მუშაობ მეთქი. ეს აკვარელია, ეს ზეთი, აი ეს პირდაპირ ტიპოგრაფიული საღებავია ქაღალდზე... – ერთი შემიძლია ზუსტად ვთქვა, აკვარელში შექმნილი მისი ზღაპრული გმირები, ფერიები და პრინცები ფრიად განსხვავდებიან ზეთის საღებავებში შექმნილი გმირებისაგან, ეს ზუსტად ის განსხვავებაა, როდესაც მე პირველად ვნახე ნანა ვარდისფერ სამოსში. ახლა ამ მხატვარს დიდი საოცარი ფრინველი ჰყავს დახატული, ულამაზესი კუდით, რომლის ფერები ისე გადადის ერთმანეთში, როგორც ამ მხატვრის ცხოვრებაში უკვე განცდილი სიცოცხლე თავის მშვენიერებით.

გამოფენის გახსნაზე ჟურნალისტი მოვიდა და მკითხა – იცით? თქვენი პორტრეტი ვნახე – როგორია ნანა მუშაობის დროს? დავიბენი, არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა, და ისევ ნანამ გამომიყვანა სიცილით – მიდი – მიდი – უთხარი, როგორი მონდომებული იჯექი ხოლმე სახელოსნოში ყოველდღე – გამეცინა, მართლა ორჯერ ვიჯექი სულ, ძალიან გავაწვალე. დასრულებული რომ ვნახე, ნანას ვუთხარი: – არ გეშინია, კედლიდან რო დაგიძახოს, როგორ ხარო? – არა, მაგისი არ მეშინია და ერთხელ რომ ამოვიდე და აქ აღარ დამხვდეს, გაქცეული დამხვდეს, არ გამიკვირდებაო, ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, მართლა კი არ გამიწვალებია. მამის ავადმყოფობის გამო, ვერ ვახერხებდი ნორმალურად სახელოსნოში მისვლას, სწორედ ამ ავადმყოფობის დროს (მოგეხსენებათ პოეტის ოჯახში ემოციებს ლექსებით გამოხატავენ) ვინაიდან დედა და მამა ვერ მივიდნენ გამოფენის გახსნაზე, ლექს-პრომტები გაუგზავნეს ნანას.

ამას ვამბობ მე პოეტი –
ქალი არა, მითი ხარ,
მერე რა, რომ ვერ მოვედი,
სტრიქონებში მინთიხარ.

ჯანსულ ჩარკვიანი
2000. 5 აპრილი

ველი უფრო დიდებულ დროს,
ვიცი, ალბათ, ის მოვა,
როცა ყველა გაღიარებს –
ნანა გერასიმოვა.

ირმა ჩხეიძე
2000 წ. 5 აპრილი

P. S. *საქართველოს უმშვენიერესი ქალბატონები ჰყავს. საქართველოს უნიჭიერესი მხატვრები ჰყავს. და რა კარგია, თუ ეს მხატვარი შენი მეგობარია!*

თაკო ჩარკვიანი

ნანა გერასიმოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ ქაჯაია

გურამ ქაჯაიას პორტრეტი
მხატვარი გიმერ დარჩია



ენგურჰესის მშენებლები

ილია ჭავჭავაძე

ალიოშა ჯაფარიძე

ალექსანდრე ნიჟარაძე

მაკა ფაცურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკა ფაცურია

***

მოსკოვის თოვლმა შთანთქა სადაფის
სამაჯური.
აი, რა ხდება, როდესაც დადიხარ
გაპრანჭული

და ყინვით ნაცემი.
მხვდებიან კაცები,
ქურქში გახვეული,
ბეწვის ქუდებით,
რომლებზეც დახვეული
მელიის კუდები
ბრწყინავენ მზეზე. საბრალო ნარინჯის
მელიები და რაღაც ხინჯის
მსგავსი გულში.
აეროკოცნა
ერმოლაევის და საჰაერო
ლოცვა
ატლანტის ოკეანის თავზე.
ო, აღარ შესწევს
ზე ასვლა თვითმფრინავს,
ღრუბლებში მიფრინავს.
წინ მზის, უკან კი მთვარის ლანდია.
ეჰეი, გრენლანდია!..

***

„ვიცეკვოთ“! – ცივად ბრძანა მულატმა.
სახლის სახურავს მზე ადნებოდა.
მე გამიტაცა თეთრმა ულაყმა
და თან, დროდადრო, ყალყზე დგებოდა.
და ამერია სამყარო თვალწინ,
ბალახი, ცხენის შეშლილი თვალი,
ყვიროდა ვიღაც – „ლაგამი გასწი“!
და მე ვიგრძენი, რომ მე ვარ ქალი,
როგორც არავინ, ისე ძლიერი,
როდესაც „პალბა“ შეჩერდა ხვნეშით.
სიკვდილს გადავრჩი და ბედნიერი
სიცოცხლის ცეცხლში კვლავ გადავეშვი.

***

არისტოტელე ონასისი ოცნებობდა
სმოკინგზე,

მე კი ჩექმებზე.
განაწყენებული ვწევარ ლოგინზე,
როგორც ეკლებზე.
შუქი ჩამქრალია მთელს ქალაქში,
ფანჯრის ჭრილიდან შემოდის ყინვა.
რომანტიული რა არის სანთლის ლაქაში,
სადარბაზოდან გაისმის კატის გმინვა.
ვერ ვიღიმები უდარდელად და ლაღად
ჩემი სამშობლოს რიგითი მკვიდრი.
მე ანტალია მესახება ედემის ბაღად –
იქ ხომ იზრდება პამიდორი და კიტრი!

***

რა ხდება?
ღვთისმშობლის ტაძარი.
ჩამიქრეთ თვალებში ხანძარი –
მწვავს.
მე ვეძებ საკუთარ თავს
მონმარტრზე.
აქ იჯდა ლისტი,
ახლა ირევა ბევრი ტურისტი.
საუბარია არტზე
და როკენ-როლზე,
ვიღაცის არშემდგარ როლზე
და სილუეტი,
რომელსაც დავასხი რეტი
მშორდება.
შეგრძნება არ მეორდება –
ერთია არსი.
პარიზი – ფერადი მარსი,
რომელშიც ცხოვრობენ ფრანგები,
ზანგები
და ზოგჯერ რუსები,
დადიან მწვანე და წითელი ავტობუსები
და, როცა ღამდება,
არავის არსად არ აგვიანდება,
ფეიერვერკები ქრიან რაზმებად,
დრო მიიზლაზნება,
როგორც სენა, ცისფერი, ზანტი
და ჩემთან ერთად ბურგუნდიულს ცლის
ლეიტენანტი.

***

დათრგუნულს ტყვიების სეტყვით,
ვერავინ მეტყვით
რა საუკუნეა? სულიერს სძინავს.
თუ ბონაპარტე ჰყავს ჟოზეფინას,
მე ვნატრობ ვიყო თავის
უფალი. რად მინდა ქმარი?
ჩემი მეუღლე იქნება ქარი
პურის თავთავის
ფერი თვალებით
და ჩვენი პირმშო, კი ყვავილი
ყვითელი გულით.
მზის თაიგულით
მოჰქრის ღრუბელი და ხე წვალებით
ეყრდნობა მიწის
ზედაპირს, რომ დედამიწის
ბრუნვის დროს არ წაიქცეს
და იქცეს
უძრავ საოცრებად თავისი ფესვით.
თქვენ მაინც ესვრით
ამ ხეს,
ამ ბალახს, ეს
ყველაფერი უკვე გაწირეთ,
და, ვით პილატემ, თავი დასწიეთ,
სისხლით მოთხვრილი დაიბანეთ
ხელები, მაგრამ თქვენ განიბანეთ
ცოდვისაგან?
და სადღაც სხვაგან
მიუღწეველ მერიდიანზე
ადამიანი ოცნებობდა ადამიანზე.

***

ბატონო ერლომ, გამარჯობათ, როგორ
გიკითხოთ?
ო, არაფერი არ განვიკითხოთ
და თუმცა არსად არ არის ზეთი,
იქნებ დაგვიბრუნონ აფხაზეთი
ომის გარეშე
და ბილ ქლინტონის ხედვის არეში
როგორმე დავრჩეთ.
თქვენ სხვა გზას არჩევთ?
რას გვიპირებს „ლოთი“ ბატონი?
მხოლოდ სიყვარულს ქადაგებდა დიდი
პლატონი,
მაგრამ სიბრძნემაც დაკარგა აზრი ჩვენს
ქვეყანაში,
ძმა ძმას არ ინდობს და ცვლის დანაში.
მხოლოდ ამინდი გვახარებს ერთი.
ნანეიშვილია ღმერთი
ლიბერალთა.
აღარ მართავენ მიტინგებს ქალთა,
რადგანაც ყველა
პურის რიგშია და როცა ბნელა,
ვით ბლოკადით მოცულ
სანკტ-პეტერბურგში,
ქუჩებში ცეცხლი ანთია...

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა სტვილია

«ღალატი» კ. გამსახურდიას სახელობის თეატრში

● სოხუმის თეატრმა ამას წინათ მაყურებელს წარუდგინა სუმბათაშვილ-იუჟინის პიესა „ღალატის“ პრემიერა. თუ რატომ შეაჩერა არჩევანი ამ ნაწარმოებზე თეატრმა, თავისი ბიოგრაფიის ბოლო პერიოდიდან გამომდინარე, ნათელია: მასში დასმული საკითხი ყველაზე მწვავედ დღეს მაინც აფხაზეთიდან დევნილების მიერ აღიქმება; ძნელად წარმოსადგენი იყო, რა ადგილს დაიჭერდა ესოდენ მოძველებული პიესა იუჟინისა (ახალი, სერიოზული პიესა არ შექმნილა ანალოგიურ პრობლემებზე) დღევანდელ თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში. პიესა დადგა გოჩა კაპანაძემ. იგი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი რეჟისორია, რომელმაც თანამედროვე ქართულ თეატრალურ სამყაროში შემოიტანა ის სიცოცხლისუნარიანი მუხტი, აქტიური ენერგია და ახალგაზრდული სული, რომელიც ასე აკლდა მას ბოლო პერიოდში. გოჩას რეჟისორულ ხელწერაში იმთავითვე გამოიკვეთა ხელოვანი-ესთეტი: მიუკერძოებელი და ცინცხალი აზროვნებით, თამამი სიტყვით, გამომსახველობის ორიგინალური ფორმებით, მოდური, დინამიური სანახაობითი ეფექტების ტრადიციულ ხერხებთან მისადაგების ერთგვარად მაგიური უნარით. ყოველივე ამან მას ფრიად არაორდინალური, საინტერესო და პერსპექტიული რეჟისორის იმიჯი დაუმკვიდრა.

შეგახსენებთ, რომ „ღალატში“ საქართველოს ისტორიის ყველაზე ძნელბედი ჟამია აღწერილი. მოქმედება მიმდინარეობს მე-17, საუკუნის საქართველოში, როცა ქვეყანა სპარსეთისაგან იყო დაპყრობილი. დრამატული ნაწარმოები არ არის კონკრეტულ ისტორიულ ფაქტზე აგებული, მწერალს მხოლოდ დრო და სოციალურ-პოლიტიკური გარემო აქვს მითითებული. ამდენად, აქ საქართველოს და ქართველი ერის პრობლემის განზოგადებაა მოცემული გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე და ამ პირობებში აღმოცენებული ტიპიურობა არის წინ წამოწეული. ამის თაობაზე თვით სუმბათაშვილ-იუჟინი პიესის წინათქმაში წერდა: „არ მსურდა ჩემი შრომა რომელსამე სასტიკად გარკვეულს ისტორიულს მომენტით გამესაზღვრა, რადგან იგი მაშინ მოქმედ პირებსა და თვითონ გარემოებათაც დროების ბეჭედს დაასვამდა და თავისი გარკვეულობითაც შეზღუდავდა: არა ვმალავ რა ჩემი პიესის ზოგიერთ ნაკლს, მაინც ვფიქრობ, რომ შინაგან ისტორიულს სიმართლისათვის, რომელიც ჩემის აზრით ბევრად მნიშვნელოვანია, არა მეცნიერულ ნაწარმოებთათვის, ვიდრე გარეგანი ფსიქოლოგიური და ფაქტიური სინამდვილე, ამ სიმართლისათვის არ მიღალატნია, გზა არ ამიქცევია“. სწორედ ეს მომენტი გაიაზრა კარგად რეჟისორმა. მან შეინარჩუნა ამ ნაწარმოების დროსთან განზოგადებული ურთიერთიერთმიმართების ავტორისეული პოზიცია. სწორედ აქ, მთავარში, კარდინალურში ხვდებიან ერთმანეთს მწერალი და რეჟისორი. მწერლის მიერ ღალატის საკითხის მარადიულ თემათა ასპექტში მოაზრებამ სახელმწიფოს არსებობის გზაზე ლიტერატურული პირველწყაროსადმი გარკვეული თავისუფალი დამოკიდებულების გამოვლენისა და კორექტივების შეტანის საშუალება მისცა რეჟისორს. მან პიესიდან ამოიღო ზოგიერთი სცენა და სანაცვლოდ ახალი დეტალებით გაამდიდრა. პიესის მრავალი პასაჟი თავისებურადაა გააზრებული. სპექტაკლის არქიტექტონიკას საკმაოდ ორიგინალურად შეერწყა ჟ. ანუის „ანტიგონედან“ აღებული ერთ-ერთი სცენა, რომლის ჩამატებითაც გაძლიერდა მარადიული ზნეობრივი პრინციპების ჟღერადობა. იმპროვიზირებული ვარიანტებით შევსებამ სათქმელი უფრო ტევადი და მრავლისმომცველი გახადა. რეჟისორის არჩევანმა ძირითადი დასკვნები თანამედროვე ფრაზეოლოგიით გამომხატა, პრობლემა უფრო მახლობელი და თვალსაჩინო გახადა. ამრიგად, რეჟისორმა პიესის უაღრესად ახლებური ინტერპრეტაცია წარმოგვიდგინა, რომელმაც საკმაოდ წარმატებული რემიქსის სახე მიიღო.

სპექტაკლი იწყება მუსიკალური ჯგუფის „ერას“ პოპულარული „ამენოს“ ფონზე. ამ უაღრესად მოდურ მელოდიას, რომელიც აღმოსავლური მოტივებისა და დასავლური მუსიკალური ელემენტების თანამედროვე ნაზავია, ერთგვარად იდუმალი განწყობა შემოაქვს დარბაზში. მაყურებელს ცნობისმოყვარეობა იპყრობს, „რა ხდება შემდგომ“. ამ დროს დიქტოფონში მოისმის მუსლიმანური ლოცვები, სცენაზე ჩნდება შაოსანი ქალი სანთლით ხელში (მსახ. ლ. ელარდაშვილი), რომელიც წარმოსთქვამს არაავტორისეული, რეჟისორის მიერ შემოთავაზებულ ეპიგრაფს „კაცები, კაცები, მერე და სად არიან ეგ კაცები, სად, სად, ლაჩრები, ლაჩრები, ფუი ჩვენ...“ სცენაზე სიჩუმეა. მოისმის მუსლიმანური ლოცვა. „დიდ არს ალაჰ!“ – წარმოსთქვამს სცენაზე გამუსლიმანებული ქართველი – ოთარბეგი, (მსახიობი დიმა ჯაიანი). იგი ერთგულებას ეფიცება საქართველოს ვერაგ დამპყრობელს სოლეიმანს და მისი გულის მოსაგებად უტიფრად ჩამოთვლის ქვეყნისა და ახლობელ-ნათესავების მიმართ ჩადენილ სიავეებს. სოლეიმანი კი მაინც უკმაყოფილოა და ბრალდებებით ავსებს ოთარბეგს. „ეს წელი შევალიე თქვენი ქვეყნის შენებას, თქვენს გასაკეთებელსაც ჩვენ ვაკეთებთ, თქვენი გული კი მაინც ვერ მოვიგეთ, უმადურები ხართ ქართველები, უმადურები“... ოთარბეგი ქედმოდრეკილი დგას მკაცრი დამპყრობლის წინაშე. სოლეიმანი კრძალავს აღდგომის დღეს ზარების რეკვას და ბრძანებს, რომ ეკლესიის ზარები ზარბაზნებად გადაადნონ. ოთარბეგიც მზად არის მისი ეს მორიგი მკრეხელური ახირება უყოყმანოდ შეასრულოს.

სოლეიმანის როლს მ. ბრეკაშვილი ასრულებს. იგი მკვეთრი შტრიხებით აცოცხლებს მტრის მრისხანე სახეს. მთელი სპექტაკლის განმავლობაში აქტიორი სულ მიისწრაფის, რათა გადალახოს ამ პერსონაჟის სქემატური გამოსახვის მოდელი და ერთგვარი პასიური ფუნქცია. მისი შესრულების მანერიდან მაყურებელს ამახსოვრდება ექსპრესიულობა და ის ინტონაცია, რომელიც დამპყრობლის საზოგადოდ დამკვიდრებული სტერეოტიპის მიღმა ამხელს სოლეიმანის ფილოსოფიურ და განცხრობისმოყვარე ნატურას.

ზეინაბი სოლეიმანის ცოლია. მის სასასტიკეს არა აქვს საზღვარი. ზეინაბის ფსიქოზამდე მისული აგრესია შიშის ზარს სცემს ყველას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ქალის მიღმა, რომელიც ამჟამად მზადაა სოლეიმანის ყოველი კაპრიზი შეასრულოს, ღირსეული და ტრაგიკული წარსულია. ოდესღაც იგი ქართველთა დედოფალი თამარი იყო, მტრის ჯარის შემოსევისას ბოლომდე იცავდა ციხეს ოთარბეგთან ერთად. როდესაც მარცხი გარდაუვალი აღმოჩნდა, უეცრად, საიდუმლო გზით მასთან შემოაღწია გლეხმა ანანიამ. მან დედოფალს ხელიდან გამოგლიჯა ახალშობილი მეფისწული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც სოლეიმანი გახელებით ეძებდა, სანაცვლოდ თავისი შვილი შეაჩეჩა და გაუჩინარდა. ამასობაში მოღალატეების დახმარებით მტერმა შემოაღწია ციხეში, დედოფალი შეიპყრეს და სოლეიმანს მიჰგვარეს, რომლის ცხენმა ჩვილი გასრისა. სოლეიმანმა ქართველთა დედოფალი ცოლად შეირთო და ზეინაბი დაარქვა. ზეინაბი საოცრად ჭკვიანი და ელასტიური აღმოჩნდა. მან გაითავისა სოლეიმანის ცხოვრების წესი, მართვის სასტიკი ხერხები, რითაც მისი სრული ნდობა მოიპოვა და ქვეყნის ფაქტიური მმართველი გახდა.

ოცი წელია დედოფალი თამარი ცხოვრობს სოლეიმანთან. ახლა იგი მონების დედოფალია, მუდამ მათრახი უჭირავს, ხელქვეითებს პირადად სჯის, თავად მიჰყავს ჰარამხანის ხარჭები სოლეიმანთან, წარმატებით თამაშობს უგონოდ შეყვარებულ ცოლს და ერთგულ თანამებრძოლს. მაგრამ მას არ ავიწყდება საბოლოოდ თავისი დიდებული წარსული და უსაშველოდ იტანჯება შინაგანად. ოცი წელია ის ელოდება ერის გამოღვიძებას, ამიტომაც არ კლავს სოლეიმანს. „განა რას შეგვძენდა მისი სიკვდილი! არა, შურისძიების მოლოდინში არ ვიყავ მხოლოდ! მე ველოდ ამ დღეს, როცა რისხვა ერისა ზღვასავით დაგუბდებოდა, როცა ეგ რისხვა მოასკდებოდა მთის ადიდებულ წყალსავით, როცა თითოეული მონა იგრძნობდა და აღსდგებოდა მტარვალთა დასამხობად! და ჩემი შვილი წინ გამოუძღვებოდა სილაღეს მოწყურებულ მებრძოლთა!“

აღსანიშნავია, რომ ზეინაბის წინააღმდეგობებით სავსე ხასიათის განსახიერება ნებისმიერი მსახიობისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს. მსახიობი ლ. ხურითი გარკვეულწილად ახერხებს რეჟისორის ჩანაფიქრის მაყურებლამდე მიტანას. მისი თამაშის მანერა, დინამიზმი, პლასტიურობა ხელს უწყობს ზეინაბის გარეგნული ხასიათის გამოკვეთას მტრის კარზე, მაგრამ როდესაც იგი მარტო რჩება თავის განცდებთან, ტკივილთან ჩვენს წინაშე ზეინაბი სულ სხვა ადამიანია. აქ იგი იდუმალია და არა ჭირვეული, ღირსეულია და არა ამპარტავანი, თავდაჭერილია და არა ცივი, ტრაგიკულია და არა ისტერიული, გულწრფელია და არა ყალბი. ყოველივე ამის განსახიერება უზარმაზარ ენერგიას მოითხოვს მსახიობისაგან. საჭიროა ამ კონტრასტების უფრო მკვეთრად წარმოჩენა, რათა მეტი დამაჯერებლობა შეემატოს პატრიოტი დედოფლის სახეს.

სოლეიმანის კარზე ინტრიგების ქსელი იხლართება. მისი ხარჭა, ვერაგი რუქაია მოხერხებული ჯაშუშიც აღმოჩნდა. რომელმაც შეიტყო ქართველთა ზრახვები. სოლეიმანიც გრძნობს ღალატს...

იწყება არეულობა. სოლეიმანი ეჭვებით ივსება. „ჰაერში ღალატის სუნი ტრიალებს“, – წარმოთქვამს იგი მრისხანედ. დიახ, ღალატი დამოკლეს მახვილივით კიდია სასახლეში. ეს ავბედითი, შავი მოირა თან სდევს პერსონაჟებს. ღალატი იქცა მათი ცხოვრების წესად, ჩვეად, ყველა ღალატის მოლოდინში ცხოვრობს, ყველას არდანდობის მოლოდინი აშფოთებს. სცენაზეა განსხეულებული ნევროზი, ფსიქოზი, პარანოია. ყველა ყველას ღალატობს და მთელი სპექტაკლიც პერმანენტული ღალატის დემონსტრირებაა.

ამ საყოველთაო მონობის პირობებში ყველა უბედურია. ოთარბეგი, „ეს პრივილეგირებული მონა“ ყველაზე უფრო. ოდესღაც იგი სოლეიმანმა გააუბედურა, მაგრამ ამაყ თავადს მაინც არ ტოვებს ჩაწიხლული პიროვნული და ეროვნული თავმოყვარეობა. „ვის უნდა თქვენი თავისუფლება, რომ აჩუქო აღარავინ გამოგართმევს. ყოველ კაცს თავისი ბედი აქვს, მე ჩემი გზა მაქვს ბოლომდე გასავლელი“, – ამბობს ოთარბეგი. მის გულში დაგუბებული ბოღმა პირველი შესაძლებლობისთანავე გზას პოულობს, – გარდაიქმნება გრანდიოზულ ამბოხებად. მეფისწულის გამოჩენამ იგი კვლავ ბრძოლის ჟინით აღავსო, ამიტომაც უბრუნდება თავისი ერის წიაღს, და ინათლება ხელმეორედ.

ოთარბეგის როლს დიმა ჯაიანი ასახიერებს. მას როლი ბოლომდე აქვს გააზრებული და გათავისებული. ის სცენაზე ძალდაუტანებლად და გულწრფელად ხატავს ტრაგიზმითა და წინააღმდეგობებით აღსავსე მებრძოლი მამულიშვილის სახეს: მის დაცემას, მონობას, მოთმინებას, მოლოდინს, სულიერ აღორძინებას, ღირსებისათვის ბოლომდე ბრძოლას. რეჟისორმა შეძლო მსახიობის ახალი საშემსრულებლო შესაძლებლობების წარმოჩენა.

აღსანიშნავია ისახარის სახე, რომელსაც მსახიობი ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი ასახიერებს. იგი სახეა ბედკრული საქართველოსი. მსახიობი ენითგამოუთქმელი ტკივილით გულგასენილი ქალის სახეს უდიდესი ემოციური დატვირთვით ანსახიერებს. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მის მიერ წარმოთქმული იმპროვიზებული ტექსტი, ქვეყნის უბედობამ მისი შვილი შეიწირა (სინამდვილეშიც მსახიობის ერთადერთი ვაჟი და მეუღლე აფხაზეთის ომში დაიღუპა)

ძალზე შთამბეჭდავია ფარსისტანელი ქალის კირა მებუკისეული შესრულება. იგი მონუმეტურად ხატავს დამპყრობლის მიერ გაუბედურებული ქალის, დედის, მეუღლის სახეს.

აღსანიშნავია აგრეთვე ოთარბეგის ქალიშვილის, გაიანეს პორტრეტი. მსახიობი თეონა გურამიშვილი შესანიშნავად მოერგო ამ საოცრად ფაქიზი გოგონას როლს. სცენაზეა თვით სათნოება, ფრესკებიდან გადმოსული და განსხეულებული ანგელოზი.

პატიროტ გლეხს ანანიას ვიქტორ ნინიძე ასახიერებს. ამ როლში იგი ავლენს თავისი მსახიობური ოსტატობის საუკეთესო თვისებებს, რითაც უზარმაზარ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

რაც შეეხება სცენოგრაფიას, (მხატვ. თემურ ნინუა) პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ აქ მაყურებელი ვერ იხილავს სუმბათაშვილ-იუჟინისეულ რემარკებში აღწერილ მე-17 საუკუნის საქართველოს ყოფით ცხოვრების გამომხატველ დეკორაციებს. სამაგიეროდ მხატვარი გვთავაზობს მუსლიმანური და ქრისტიანული სალოცავების არქიტექტორულ შტრიხებს: თეთრი ქვისაგან გამოკვეთილი მეჩეთის კიბეებს და ქრისტიანული ეკლესიის უზარმაზარი ლოდებით ნაგები კედლის ფრაგმენტებს, ავანსცენაზე, დასავლეთით გრაალის თასის სიმბოლოა სუროშემოხვეული; მის უკან, გზის გაღმა წითელ, სისხლიან საყვავილეში შავი დიდი ფოთოლი ამოწვერილა, რომლითაც გამოსახულია ადამიანის ხელის მტევანი, მუსლიმანური რელიგიის ძირითადი სიმბოლო. ბადეზე გართხმული ფარშავანგის კუდით გამოხატულია ფუფუნებისა და ვერაგობის სიმბოლოები ერთიანობაში. სცენის სიღრმეში კი, უკანა კედელზე გამოსახული ღვთისმშობელი, მწუხარედ დასცქერის მისი წილხვედრი ქვეყნის სავალალო ყოფას.

სცენოგრაფია მხატვრული თვალსაზრისით საოცრად ესთეტიზირებულია. მის სანახაობრივ მხარეს აძლიერებს ქრისტიანულ და მუსლიმანურ სამყაროთა კონტრასტულობა, დიახ, კონტრასტი აინტერესებს რეჟისორს, კონტრასტი რომელიც არ გვაძლევს ათქვეფის საშუალებას, კონტრასტი, რომელიც განგვასხვავებს სხვათაგან.

სპექტაკლის ფინალური სცენა ტრაგიზმით აღსავსე, მაგრამ ამაღლებული და რომანტიკულია. ამბოხებამ ახალგაზრდა მეფე შეიწირა. სცენიდან ზეინაბი, აწ უკვე დედოფალი თამარი, ბოლოს გადის. იმ დროშით, რომელსაც მთელი ოცი წელი აქარგავდნენ ანგელოსს. მაყურებელს კი რჩება განცდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს ცხოვრებაში ღირებულებები, რომლებსაც ვერ ეღალატება, ვერ წაშლი, რისთვისაც ღირს სიცოცხლეც და სიკვდილიც.

სცენა სპექტაკლიდან

ელგუჯა ლებანიძე

ოკოლოვიჩი

● საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, საბუთები უნივერსიტეტში შევიტანე.

გამოცდებამდე ხუთიოდე დღეღა იყო დარჩენილი, სამხედრო კომისარიატიდან უწყება რომ მომიტანეს. გულგახეთქილი ვეახლე კომისარს. ვთხოვე, დღეს-ხვალ გამოცდებს ვაბარებ, თუ ბედმა გამიღიმა და ჩავირიცხე, ხომ კარგი, თუ არა და, შეკაზმული ცხენი არა მყავს, არსად გავიქცევი-მეთქი.

არ ვიცი, ჩემი გულახდილობა მოეწონა თუ აპრეხილი ქოჩორი, კომისარმა გამიღიმა და დამაიმედა:

– კი, ბატონო, მასე იყოს. წადი და ეცადე, გამოცდები კარგად ჩააბარო. თუ ჩაირიცხები, მაღარიჩზე დამპატიჟე, თუ არა და, წაყვანას მერეც მოვასწრებთო.

ვერ ჩავირიცხე. კომისარმა დაპირება შეასრულა – უწყება ხელახლა მომიტანეს. ჯარში წასვლამდე მთელი ოცი დღე იყო დარჩენილი და აღარ ვიცოდი, დრო რითი მომეკლა.

უშველოს ღმერთმა, ისევ კომისარმა არ მიხსნა? თავისი ფეხით მეახლა. სიტყვას ამტვრევდა, ასეო, ისეო, ხალხი დაგვაკლდა და უნდა გვიხსნა, უნდა გაგვიგო, ჩვენც ხომ ხალხი ვართო. იმისი ცოდვით გულ-მუცელი დამეწვა. ველოდი, როდის ამოთქვამდა, რა გაუჭირდა ასეთი, საქმე ჩემს ხსნაზე რომ დაუდგა-მეთქი. როგორც იქნა, ამოღერღა:

– ოც ოქტომბერს კი არა, ჯარში ხვალვე უნდა წახვიდეო.

მოკლედ, ჩავსხედით მე და დედაჩემი მატარებელში და გავწიეთ ქალაქისაკენ. კუპეში სხვა წვევამდელებიც იყვნენ. ცა ქუდად არ მიგვაჩნდა და დედამიწა – ქალამნად. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა იჯდა დამდუღრულივით. ქართველს არა ჰგავდა. იჯდა თავისთვის და ნაღვლიანად შემოგვცქეროდა. სუფრა გავშალეთ და ისიც მივიწვიეთ. ღვინომ კრიჭა გაუხსნა. ოკოლოვიჩი ვარ, ოჯახში უსიამოვნება შემხვდა და საქართველოში გამოვიქეცი. ჯიბეში იმასაც უწყება ედო და, ვგონებ, ისევ თავის სამშობლოში უპირებდნენ წაყვანას.

თბილისში საქონელივით შეგვყარეს სამოცტონიან ვაგონებში და დავიძარით. გავიარეთ ბაქო, მახაჩკალა, გუდერმესი, მოზდოკი... აქ ოდესღაც მამაჩემი გერმანელებს ებრძოდა. ოკოლოვიჩი გვერდიდან არ მოგვშორებია. რასაც ვიშოვიდით, ძმურად ვუყოფდით. მადლობით პირი აიქაფა.

მეოთხე თუ მეხუთე დღეს ვილნიუსში ამოვყავით თავი და ისევ სამხრეთისაკენ დავეშვით. როგორც იქნა, ჩავაღწიეთ კობრინში. მგზავრობით გასავათებულები და ჭუჭყისაგან შეჭმულები, პირდაპირ აბანოში მიგვაბრძანეს. იქიდან გამოსულები ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით – სამხედრო ფორმამ სულ სხვა ხალხად გვაქცია. ოკოლოვიჩმა, როგორც კი ხაკისფერი ტანსაცმელი მოირგო, მხრები ამაყად შეათამაშა, ცხვირი ასწია, ზემოდან დაგვხედა, თითქოს გუშინ და გუშინწინ სულაც ჩვენს კმაყოფაზე არ ყოფილიყო. მალე დაუძმობილდა უფროს ლეიტენანტ პიჩუგინს, რომელიც პირველი დღიდანვე ამრეზით შეგვხვდა და ქანცის გაწყვეტამდე აღმა-დაღმა დაგვარბენინებდა. არ ვიცი, ოკოლოვიჩმა ოფიცერს ჩვენზე ისეთი რა უთხრა, ქართველებს ღდინს გვაცლიდა. მის „ადიუტანტს„ სიამოვნებით მივუსწორ-მოვუსწორებდი სიფათს, მაგრამ ჩვენთან პირისპირ შეხვედრას მუდამ გაურბოდა.

– ადექით! – დილაუთენია დაიღრიალებდა მორიგე და მთელი ყაზარმა ამოძრავდებოდა. ნახევარ წუთში ტანსაცმელ-ფეხსაცმელიც უნდა ჩაგვეცვა და მწყობრშიც ჩავმდგარიყავით. ბევრი ვერ ახერხებდა ამას. – დაწექით! არ ცხრებოდა მორიგე. ეს „ადექით-დაწექით“ რატო ხუთჯერ მაინც არ მეორდებოდა.

და ამ დროს ყველას თვალწინ, ყაზარმის თავიდან ბოლომდე გაჭიმულ საფენზე, აუჩქარებლად დააბოტებდა ოკოლოვიჩი, თან დამცინავად იღიმებოდა. ეს ღიმილი ყველას გვაცოფებდა. ალბათ დადგებოდა დღე, როცა მოთმინების ფიალა აივსებოდა. აი, მაშინ კი ოკოლოვიჩი იქნებოდა ცოდო!

ერთხელ, სამზარეულოში, მე და ოკოლოვიჩი ვმორიგეობდით. ეს მორიგეობა პიჩუგინმა ამკიდა. წინა საღამოს, ვახშამზე, თითო კოვზი კარტოფილის პიურე ჩამოგვირიგეს. ბიჭებმა წამში გადასანსლეს და პროტესტის ნიშნად კოვზები ააჩხაკუნეს. ყურისწამღები ხმაური იდგა.

– გამოდით და მოეწყვეთ! – დაიძახა გაცოფებულმა პიჩუგინმა. იარაღი დააძრო, მაგიდებს შორის მიმოდიოდა და ჯარისკაცებს გარეთ ერეკებოდა. მე გასვლას არ ვჩქარობდი.

– შენ რა, დაყრუვდი? აბა, ჩქარა გადი გარეთ, მიყვირა პიჩუგინმა. ფეხი მაინც არ ამიჩქარებია. ვგრძნობდი, რომ ოფიცერი უსამართლოდ გვექცეოდა. ჩემმა სიდინჯემ სულ გადარია. „გიჩვენებ, როგორ უნდა წინააღმდეგობის გაწევა! ორი რიგგარეშე მორიგეობა!“ – ბღაოდა გადარეული პიჩუგინი და თვალებთან რევოლვერს მიტრიალებდა.

სამაგიეროს გადახდა გადავწყვიტე.

სამზარეულოში მშვენიერმა აზრმა გამინათა გონება. ყაზარმასთან პიჩუგინის „იავა“ იდგა. ჯარისკაცები დასაწოლად ემზადებოდნენ და, რა თქმა უნდა, ისიც იქ ბრძანდებოდა. სადაც იყო, პიჩუგინი „დაწექი-ადექის“ დაიძახებდა. მისი თაგვივით წვრილი და გამჭოლი თვალები ყველა კუთხე-კუნჭულს მისწვდებოდა, რათა მიზეზი ეპოვა და ისედაც ქანცგაწყვეტილი ჯარისკაცები გაეწამებინა. დროში ერთი ჯარისკაციც რომ არ ჩატეულიყო, მთელ ასეულს წამოაგდებდა. უნდა მესარგებლა და „იავაში“ ერთი მუჭა მარილი ჩამეყარა. პიჩუგინი ნაღდად კარგ დროს გაატარებდა. ფეხაკრეფით მივიპარე ყაზარმასთან. იქიდან უკვე ისმოდა პიჩუგინის ბღავილი, სკამების ხრიგინი.

ავზს ხუფი მოვხსენი და შიგ მარილი ჩავყარე. უკან გამოვიძურწე, არავის დავუნახივარ. თავი ქუდში მქონდა – ოინი ხახვივით შემრჩებოდა. ცოტა ხანში კაზარმასთან ამბავი ატყდება!

– სად იყავი? – მეკითხება ოკოლოვიჩი და თვალებით მჭამს. დახე, ესეც როგორა ჰგავს პიჩუგინს! ამასაც წვრილი, ზიზღით მომზირალი თვალები აქვს. ნაღდად ერთი ცომისაგან არიან მოზელილი.

– ტუალეტში ვიყავი. წამოდი, გიჩვენებ, – აღარაფერს მეუბნება. სახელოები დავიკაპიწე და დანა ავიღე – კარტოფილი უნდა გამეფცქვნა. ოკოლოვიჩი კედელს მიაწყდა. ეშმაკმა იცის, რა გაიფიქრა.

როგორც იქნა, ყაზარმა დაწყნარ-

და. დაღლილმა ბიჭებმა დაიძინეს. ახლა პიჩუგინი გარეთ გამობრძანდება, „იავას“ დაქოქავს და შინ წაეთრევა. სამზარეულოდან ყაზარმამდე ოციოდე ნაბიჯია, ამიტომ უბრალო ფაჩუნიც კარგად ისმის. ისმის, პიჩუგინი როგორ აწვალებს სატერფულს. მოტორი ხრიალებს, მაგრამ ამუშავებაზე უარს ამბობს. მთელი საათი იჯახირა, ქანცი გაუწყდა. მერე მოჰკიდა თავის „იავას“ ხელი და სამზარეულოსთან მოაგორა.

– ოკოლოვიჩ! – დაიძახა, – გამოდი გარეთ!

„ძაღლმა ძაღლს მოაკითხა“.

ოკოლოვიჩი უმალ წამოხტა და გარეთ გავარდა.

– გისმენთ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

– არ იქოქება. მოტოციკლეტისა გესმის რამე?

– მესმის, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! მეცა მყავდა ერთი ჯაბახანა.

ხან აქედან მოუარა, ხან იქიდან. ავზი შეამოწმა – ბენზინი დგას. სანთელი დენს იღებს, კარბურატორში საწვავი ნორმაზეა. რა ჯანდაბა უნდა იყოს?

მოკლედ, იმ ღამეს ოფიცერმა და ჯარისკაცმა მოტოციკლთან გაათენეს, მაგრამ მოტორის გაქირის მიზეზი ვერ დაადგინეს.

კარტოფილის ფცქვნა დავამთავრე და მეც გარეთ გამოვედი. პიჩუგინმა ბოროტი თვალები შემომანათა.

– შენ არაფერი იცი მოტოციკლეტისა?

– არა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, არაფერი ვიცი!

რომც მცოდნოდა, გავამხელდი?

ამასობაში ოკოლოვიჩმა საიდანღაც ძველი ვედრო მოარბენინა, ავზში შლანგი ჩაჰყო და ბენზინი ამოხაპა. ბენზინს ჯერაც გაუმდნარი მარილის მარცვლები გადმოჰყვა. ვირიშვილი, რაღაცას მიხვდა:

– ვიღაცას ავზში მარილი ჩაუყრია, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

ავზი მოხსნეს და ჩარჩენილი მარილიც წამოჰყარეს.

– მე იმისი დედა! – კბილები გააკრაჭუნა პიჩუგინმა. წინასწარ ათჯერ მაინც მქონდა შეგინებული, ვინც აუგად მახსენოს-მეთქი.

– შენი ოინებია! გუშინ საღამოს სად აითესე? – მომიბრუნდა ოკოლოვიჩი.

– შენ რა, ჭკუიდან გადახვედი? ხომ გითხარი, ტუალეტში ვიყავი-მეთქი. ქულებს იწერ?

პიჩუგინმა ჩვენს საუბარს ყური მოჰკრა, მაშინვე მოიჭრა.

– ეს შენ გააკეთე?

– არა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო. „ძაღლი იყოს შენი ამხანაგი!“

– თუ ეს მართლა შენი ოინებია, ჭკუას გასწავლი, ოხ, როგორ გასწავლი!

რა თქმა უნდა, ვერაფერი დამიმტკიცეს. მაგრამ პიჩუგინი რისი პიჩუგინი იქნებოდა, მიზეზი არ მოეძებნა. ურიგო მორიგეობით სული ამომართვა. რახან მისი ვალი, ასე თუ ისე, გადახდილი მქონდა, ახლა ჯერი ოკოლოვიჩზე მიდგა. დიდხანს ვუტრიალე, მაგრამ ვერა და ვერ დავიმარტოხელე. ერთ ღამეს შევამჩნიე, რომ წარამარა გარეთ გარბოდა. ეტყობა, კუჭის საქმე ვერა ჰქონდა კარგად. მორიგი „გასეირნებისას“ ფანჯრიდან შეუმჩნევლად გადავეშვი, მოკლე ბილიკით ტუალეტში შევასწარი და დავუდარაჯდი. ნათურა მხოლოდ კუთხეში ბუუტავდა, ამიტომ გარკვევით არაფერი ჩანდა. გამისწორდა თუ არა, ფეხი დავუდე. წაიბორძიკა და დასაკლავი მოზვერივით თავი წინ წახარა: იმავე წამში შეტყუპული მეშტები უროსავით კისერში დავკარი. დაიბღავლა და სიბინძურეში მოადინა ზღართანი. ვიცოდი, რომ ფეხზე დიდხანს ვერ წამოდგებოდა. აუჩქარებლად გამოვბრუნდი და ყაზარმაში ისევ ფანჯრიდან გადავძვერი. საწოლში არხეინად გავიშხლართე. ყური ცქვიტად მეჭირა. როდის-როდის ხმაური შემომესმა:

– არც შენამდე და არც შენს შემდეგ გარეთ არავინ გასულა, – ეუბნებოდა მორიგე.ოკოლოვიჩმა რაღაც წაიბურტყუნა და ორივენი ჩემი საწოლისაკენ წამოვიდნენ. დიდხანს და საგულდაგულოდ მათვალიერებდნენ, მე კი ვხვრინავდი.

– გირჩევნია, წახვიდე და დაიბანო, ერთიანად ყარხარ! გასარეცხი ხარ, შენი დედა... – უთხრა მორიგემ.

გატრიზავებული ოკოლოვიჩი პირსაბანისკენ წაჩანჩალდა.

მეგონა, ამის შემდეგ მაინც ისწავლიდა ჭკუას, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ! მოკლედ, მთელ ყაზარმას, რუსსაც და თათარსაც, ქართველსაც და სომეხსაც თავი მოაბეზრა. ვინმე „სამავოლკაში“ წავიდოდა ან „გადახუხავდა“, – მეორე დღეს პიჩუგინმა ყველაფერი იცოდა. გამოგვიყვანდა გარეთ და სირბილით ღღინს გვაცლიდა.

– რა გინდა, რას გადაგვეკიდე? – ვკითხე ერთხელ ოკოლოვიჩს.

– ყველანი სტალინის ნაბუშრები ხართ, იმასავით ძაღლის გაგდებულები...

– წამოდი, აგერ, მოფარებულში და, ოთხზე სიარულს ვინც არის დაჩვეული, უცებ გაგახსენებ.

– განა არ ვიცი, შენი ოინებია. პიჩუგინსაც შენ ჩაუყარე ავზში მარილი და ტუალეტშიც შენ დამაგდე. თუ კაცი ვარ, გადაგიხდი.

– კაცი რომ ყოფილიყავი, კაცურად მოიქცეოდი. შენ კი ნაგავი ხარ. როცა მოისურვებ, მიბრძანე და სიფათს მიგილამაზ-მოგილამაზებ.

მაგრამ ოლკოვიჩს კაცობისა მართლაც არაფერი ეცხო. იმას აშკარა მტრობა ხელს არ აძლევდა. ისევ ლიქნი და ენატანიობა ერჩივნა. მეც იმის იარაღის გამოყენება დავაპირე. ისეთი რამ უნდა მომეფიქრებინა, სამუდამოდ რომ დაამახსოვრდებოდა.

ერთ დილით, ჩემს მეზობელ რიაზანელ გენას ბალიშის ქვეშ ამოდებული ახალთახალი საათი ადგილზე აღარ დახვდა.

– საათი დავკარგე! – უთხრა მორიგეს. იმან შემოსწრებულ პიჩუგინს მოახსენა. პიჩუგინს ჩვენი წამებისათვის ახალი მიზეზი ეძლეოდა და ამ შანსზე უარს იტყოდა? საწოლებიდან წამოგვყარა და ჩაგვამწკრივა.

– ვინ აიღო რიგით ნერეზოვის საათი? სჯობს, ახლავე გამოტყდეს, თორემ მერე გვიან იქნება!

ყველა გაიტრუნა. პიჩუგინი ამაოდ ელოდა აღსარებას. წინ წამოვდექი და გამოვეჭიმე:

– მე ვიცი, ის საათი სადაც არის, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

– სად არის?

– სად და ოკოლოვიჩის ლეიბს ქვეშ. დილას ასწაპნა. მაგრამ ჰგონია, ვერ დავინახე...

პიჩუგინი ერთხანს თვალებით მბურღავდა, მერე თვითონვე მივიდა ენაჩავარდნილ ოკოლოვიჩთან და უბრძანა:

– გამიძეხი!

პიჩუგინმა თავისი ხელით გადმოაბრუნა ლეიბი და, მართლაც იქ არ იდო ნერეზოვის საათი?

– არაფერი ვიცი, პირველად ვხედავ ამ საათს, – აბლუკუნდა ოკოლოვიჩი.

– აი, თურმე სად იკარგებოდა ჩვენი ნივთები!

– მოგვაშორეთ, თორემ მივახრჩობთ! – დაიძახეს ჯარისკაცებმა.

იმის შემდეგ ოკოლოვიჩი თვალით აღარ გვინახავს. შვებით ამოვისუნთქეთ.

მარტო პიჩუგინი იყო დაბოღმილი.

ქიმიის გაკვეთილი, ორმოცი წლის სკოლა და მწვრთნელის ოპტიმიზმი

● არ მახსოვს, სიზარმაცის ბრალი იყო თუ უცოდინარობით გამოწვეული – ერთ დღეს ქიმიის გაკვეთილის ჩაგდება გადავწვიტეთ და, ეტყობა, არც მასწავლებელი იყო მაინცდამაინც ხასიათზე, ზარმაცებთან მთელი 45 წუთი ნერვები ეშალა და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უფროს თაობას დაუწყო ქება – თქვენ რას გავხართ, აი, წინა კლასები რა კარგები არიანო და ვინ აღარ ჩამოთვალა, ვინ აღარ დაგვისახელა მაგალითად, ვის აღარ მოეფერა დაუსწრებლად – გურამ ხიდაშელს, ამირან ბუაძეს, მერაბ მშვილდაძეს, თამაზ სეფერთელაძეს... მერე ვიღაცამ ჰკითხა, ირაკლი ჯაფარიძე როგორი ბიჭიაო – აბა, რა ვიცი, სულ ყინულზე დგას, – მომეჩვენა, რომ უხალისოდ თქვა მასწავლებელმა. აუჰ, ეს ყინული რაღა არის? ეტყობა, სულ წყალწაღებულია და იმიტომაც არ ესიამოვნა, ჩვენ რომ გავახსენეთ-მეთქი.

კარგა ხანს მაწვალებდა ფიქრი, გაკითხვაც რომ მეუხერხულა, ჩვენ კი არა, მასწავლებელსაც არ მორიდებია, ისე ახსენა ეს ჟარგონი „ყინული“ და, ეტყობა, მართლაც რაღაც საშინელებაა და ამხელა კაცმა როგორ არ ვიცი-მეთქი. ერთიც არის, ამ სკოლაში ახალი გადასული ვიყავი და უფროსკლასელებს ხეირიანად არ ვიცნობდი, მით უმეტეს, „ყინულზე მდგომი“ ვიღაც ავარა საიდან მეცოდინებოდა!

გავიდა ხანი და, აბა, ირაკლი ჯაფარიძე რას გამახსენდებოდა. და აი, „ლელოში“ დავიწყე მუშაობა. ერთხელაც, ვხედავ, გაზეთში წერილია ირაკლის ფოტოთი – მაშინვე ვიცანი და უცებ ის გაკვეთილი დამიდგა თვალწინ – კარგა გვარიანად გავმხიარულდი, როგორც იქნა, ხომ გავიგე, ეს „ყინულზე დგომა“ რას ნიშნავდა!

... ირაკლი ჯაფარიძე საქართველოს შვიდგზის (თანაც პირველი) ჩემპიონია ფიგურულ სრიალში; 1963 წელს საბჭოთა კავშირის იუნიორთა ჩემპიონი გახდა; შემდეგ, ტრავმის გამო, ნაადრევად ჩამოშორდა აქტიურ სპორტს და მწვრთნელის პროფესიას მოჰკიდა ხელი. 1974 წელს მან სსრ კავშირის ათ საუკეთესო მწვრთნელს შორის დაიმკვიდრა ადგილი; 1972--1984 წლებში ირაკლი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელია, ხოლო 1974-1984 წლებში – სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი; 1975 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება; 1984-1988 წლებში საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის სახეობების განყოფილების გამგედ მუშაობდა; 1988 წლიდან საზღვარგარეთ მოღვაწეობს: 1990 წლამდე ბულგარეთის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელია, 1990-1993 და 1996-1997 წლებში ხორვატიის ნაკრებს ედგა სათავეში, პარალელურად ქვეყნის ფიზკულტურის ინსტიტუტის ლექტორი იყო; 1993-1995 წლებში ირაკლი ავსტრიის ქალაქ ლინცის საკლუბო გუნდის („ასკო“) უფროსი მწვრთნელია; ბოლო წლებია თბილისის ერთადერთი საციგურაო სკოლის დირექტორია, იმ სკოლისა, სადაც თვითონ აიდგა ფეხი; ირაკლი ჯაფარიძემ რვა სსრ კავშირის ოსტატი აღზარდა, 1972-1985 წლებში მის აღსაზრდელებს მუდმივად იწვევდნენ სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში.

ეს ადრე, ახლა?

შარშან ვახტანგ მურვანიძემ მსოფლიოს იუნიორთა პირველობაზე 46 სპორტსმენში მეჩვიდმეტე ადგილი დაიკავა, რაც თითქოსდა არაფრისმთქმელი შედეგია, მაგრამ თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ვახტანგმა ისეთი საციგურაო ქვეყნის ჩემპიონს გაუსწრო, როგორიც კანადაა, ეს გამოსვლა ნამდვილ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ოქტომბერში ვახტანგმა ვენის საერთაშორისო ტურნირში (დიდებში) მეხუთე ადგილი დაიკავა. შარშანვე იგი პერსონალურად მიიწვიეს გრან-პრის ერთ-ერთ ეტაპზე, სადაც მსოფლიოს 12 საუკეთესო ფიგურისტთან ჭიდილში ქართველი ახალგაზრდა მეათე იყო. დეკემბრის დამდეგს კი ვახტანგმა ისრაელის ქალაქ მეტულაში ქვეყნის ღია გათამაშებაში მეხუთე ადგილი დაიკავა და ყველაზე ელეგანტურ ფიგურისტად აღიარეს.

უკვე ჰქონდა საერთაშორისო დებიუტი სპორტული ცეკვების ჩვენს წარმომადგენელს ჭაბუკ თორნიკე ტუკვაძეს. მან, რუს თანატოლ ტანია სენიავერთან ერთად, რუსეთის თასის III ეტაპის გათამაშებაში (დიდებში) 16 წყვილს შორის მეთორმეტე ადგილი დაიკავა, რაც ძალიან კარგი შედეგია. წლეულს, თებერვალში ამ წყვილმა ობესდორფში იასპარეზა მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატში და V ადგილი დაიკავა, რაც დებიუტისთვის ძალიან კარგი შედეგია.

თებერვალშივე, ევროპის ჩემპიონატზე, ოლონდ დიდებში ვახტანგ მურვანიძე - იყო. და სიახლე – პირველად საქართველოს სახელით ოფიციალურ ტურნირში იასპარეზეს სპორტული სრიალის წარმომადგენლებმა – უკრაინელმა ალექსანდრე ჩერნიხმა და რუსმა ევგენია ფინონენკომ, მათ ევროპის პირველობაზე - მეჩვიდმეტე ადგილი დაიკავეს. მსოფლიო ჩემპიონატში კი მეთექვსმეტე.. შარშან ეს დუეტი ზაგრების საერთაშორისო ტურნირშიც ჩვენი სახელით გამოვიდა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

საინტერესოა, ფინონენკომ და ჩერნიხმა ქართული დროშის ქვეშ რატომ ისურვეს გამოსვლა. ეჭვი არ გვეპარება, ეს ქართული საციგურაო სკოლის მაღალი აღიარების შედეგია, ეს სპორტსმენები თავიანთი ქვეყნების მთავარ ნაკრებ გუნდებში ვერ მოხვდნენ და სხვას კი არ მიადგნენ, ჩვენი სკოლა ირჩიეს.

– ეს ხომ თავისთავად კარგი ფაქტია, – ამბობს ირაკლი ჯაფარიძე, – ამ სახეობის პოპულარობაზე ვფიქრობთ. სპორტული სრიალი ჩვენში „ახალი ხილია.“ ამავე დროს, დიდ ყურადღებას გუთმობთ ახალგაზრდებს, შევქმენით ახალგაზრდული ნაკრები, სადაც 15 ბავშვია. ბოლო სამი წელიწადია ამ ნაკრებს შეკრე-

ბა ბაკურიანში ან დაბა ცემში უტარდება. აქ ბავშვები საერთო ფიზიკურ მომზადებაში მეცადინეობენ, მერე მათგან საუკეთესოებს ვავლენთ. შარშან ყველას ნათია ბაქრაძემ და ნინო აბაშიძემ აჯობეს და ორი თვის მანძილზე მოსკოვში ემზადებოდნენ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის. შარშანწინ, მაგალითად, მთელი ნაკრები გვყავდა ბულგარეთში შეკრებაზე წაყვანილი, მაგრამ ძალიან ძვირი სიამოვნება გამოდგა და შარშან ვეღარ შევძელით.

ძალიან კარგი თაობა მოდის და, რაც მთავარია, ერთი დღე არ ჩაგვიგდია, ერთი დღით არ გავჩერებულვართ, – განაგრძობს ირაკლი, – ღმერთმა დაიფაროს და უშუქობის გამო ყინული თუ დადნა, მუშაობას მაინც არ ვწყვეტთ – ვარჯიშები გვაქვს ქორეოგრაფიაში, აკრობატიკაში, მძლეოსნობაში და ეს შედეგებსაც დაეტყო.

– როგორც ვიცი, თქვენთან სწავლება უფასოა, როგორ ახერხებთ ამას?

– ჩვენთან საშუალო ხელფასი 70-80 ლარია, ციგურებს და ფეხსაცმელს უფასოდ ვარიგებთ, ერთადერთი „ლევი“ შემოსავალი მოყვარულთა სრიალია. მათთვის ერთი საათი ორი ლარი ღირს.

შარშან, აგვისტოში, საქართველოში პირველად ჩამოვიდა ფიგურული სრიალის საერთაშორისო ფედერაციის ორი წარმომადგენელი, რომლებიც ბავშვთა სპორტის განვითარების საკითხებით იყვნენ დაინტერესებული. ირაკლი ჯაფარიძე და მისი კოლეგები 40-გრადუსიან სიცხეში პირდაპირ ყინულზე დახვდნენ სტუმრებს, რომელთა გაოცებასაც საზღვარი არ ჰქონდა. თუმცა ყინულის ფართი მაინც დაუწუნეს სკოლას. 27X27-ზე მართლაც რომ პატარაა, ამას რახანია ვამტკიცებთ სკოლის ხელმძღვანელობაცა და სპორტული ჟურნალისტებიც, მაგრამ...

– სანამ დიდი ყინული არ გექნებათ, დიდ სპორტზე ლაპარაკი ზედმეტია. – ასეთი იყო სტუმართა აზრი.

– ყინული სულ ასეთი პატარა გვქონდა, მაგრამ ძველი თუ ახალი შედეგები, ვფიქრობ, თვალსაჩინოა. – უპასუხა ირაკლი ჯაფარიძემ.

– ახლა არა თქვათ, ვახტანგ მურვანიძე თავისი საპასუხისმგებლო სტარტების წინ აქ ემზადებოდაო!

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდათ, რა მისიით ჩამობრძანდით? ჰოდა, თუ ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის ზრუნავთ, უნდა გითხრათ, რომ ჩვენი სკოლა 11-12 წლამდელთა მომზადების პრობლემას პირნათლად ასრულებს!

ამ პასუხზე მაღალი რანგის ჩინოსნებმა ხელები ასწიეს!

მართლაც ასეა. – სკოლამ, ბოლო წლების მსგავსად, მშვენივრად დაასრულა სეზონი, თითქმის ივნისის ბოლომდე ჰქონდა ყინულის საფარი. რაც მთავარია, იმატა ბავშვთა რაოდენობამ, დღეისთვის სპორტულ ჯგუფებში ოთხას ბავშვზე მეტია, ძალიან ბევრია გაერთიანებული სამოყვარულო ჯგუფში, მოდიან სტუდენტები, ოჯახები- (სრული შემადგენლობით) და, რაც მთავარია, ხალხი მიხვდა, რომ ყინულზე სრიალი ჯანმრთელობაა! ბევრმა ექიმმა, თერაპევტმა აღიარა, რომ ყინულზე კვირაში თითო საათიც კი ძალიან შველის ბრონქიალურ ასთმას, ქრონიკულ გაციებას, ყოველნაირ ალერგიას...

– ის კი არა, ჩვენს პატარა ყინულზე უცხოელებიც კი სრიალებენ, – განაგრძობს ირაკლი ჯაფარიძე, – ამერიკელი, გერმანელი, თურქი, ფრანგი მოქალაქეები დადიან, ერთობიან, კაუდებიან!..

– ოპტიმიზმი, იცოცხლე, კარგი რამეა, მაგრამ პრობლემებზე რასთ იტყვი?

– პრობლემებს რა გამოლევს. მაგრამ ჩვენ ისიც გვეყოფა, ოპერა რომ დახურვის პირას მივიყვანეთ და რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრი სულაც დავხურეთ, ხომ კარგად მიცნობ? – არაფრისდიდებით არ გავჩერდებით, ქვეყანას შევძრავთ, ვიმოძრავებთ, მივდგებ-მოვდგებით და მაინც ვისრიალებთ!

ყველაფერში გვეხმარება მერია: დენის ხარჯებს გვიფარავს, ხელფასს დაუგვიანებლად გვაძლევს. და, რაც მთავარია, დიდ ყინულს გვპირდება – ცემენტისა და ბეტონის წარმოება გვაქვს, მინით გადახურვა შეგვიძლია, ათი პროექტი მაინც მიდევს წინ – სრულყოფილი დარბაზი უნდა იყოს, ტრიბუნებიანი, თუ ვაკეთებთ, გავაკეთოთ!..

– 1978 წელს თბილისში ჩამოსულები იყვნენ დანცერი, ფლემინგი, ვისკონტი, როდნინა, ზაიცევი... სპორტის სასახლეში ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვერ იპოვიდი. მას მერე რა აღარ გადაგვხვდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ჩვენი დიდი საციგურაო მაინც გაივსება, გრანპრის გავმართავთ, რისთვისაც ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაცია გარკვეულ თანხას გამოყოფს, მოვაწყობთ საერთაშორისო ტურნირებს, დავნერგავთ ფიგურული სრიალის ახალ, ულამაზეს სახეობებს – სინქრონულ სრიალს, შორტტრეკს, ბოუნინგს! ერთი სიტყვით, ყინულზე ბალეტის მოყვარულებს უთუოდ გავახარებთ.

ზღაპარი გგონია? შეგახვედრებ რუსთაველ ბავშვს, რომელსაც ერთი მეცადინეობაც არ გაუცდენია, მაშინ ირწმუნებ!

მთელი მსოფლიოა მოდებული ყინულებით – სუპერმარკეტებში, ბაზრობებზე, შუა ქალაქში, ეს კაფე, რესტორანი თუ ბისტრო, ასე რომ მომრავლდა საქართველოში, ყინულის მოედნების ტერიტორიებზეა და არაპირიქით! საბაზრო ეკონომიკას თავისი კანონები აქვს – ყველაზე მომგებიან მდგომარეობაში ჩვენ, ჩოგბურთელები და მოცურავეები ვართ, ჰოდა, ხელიდან არ უნდა გავუშვათ ეს შანსი! შემოსული ფული ხომ მხოლოდ ჩვენ არ დაგვრჩება, სოლიდური თანხა ბიუჯეტშიც შევა!



ვახტანგ მურვანიძე

გჯერა რომ ქართულ ფიგურულ ციგურაობას ორმოცი წელი შეუსრულდა? გჯერათ, რომ პირველმა ქართველმა ახალგაზრდამ ორმოცი წლის წინ მოირგო ციგურები?

ფაქტს ვერ გაექცევით! ქართული ფიგურული ციგურაობის ერთადერთი პატარა სკოლა მთელი ორმოცი წელიწადია დიდ საქმეს აკეთებს, ხოლო ირაკლი ჯაფარიძე ის კაცია, ვინც ამ სკოლის ტრადიციებით ხორცშესხმული თითქმის ნახევარ ევროპას გაეცნო, ბოლოს კი ისევ იქ დაბრუნდა, საიდანაც აფრინდა. იგი იმედს არასოდეს კარგავს – რა ხანია საქართველოს არა ჰქონია სპორტულ-გამაჯანსაღებელი კულტურული ცენტრი. დიახაც, ჯანმრთელობა, კულტურა და სპორტი, ერთად შერწყმული, როგორ მოგვნატრებია!

– არ გაგიკვირდეთ, ფანატიკოსი არ გეგონოთ, მაგრამ ასეთი ნიჭიერი ბავშვები, ჩვენები, ქართველები რომ არიან, სხვაგან არსად შემხვედრია! ნუთუ მათ მომავალს წინ რამე გადაეღობება – წარმოუდგენელია!

დავეთანხმოთ ირაკლი ჯაფარიძეს და კიდევ ერთხელ ვირწმუნოთ მისი.

დავით ჭელიძე



ალსასრული

ახალ ამჰლუაში მოველინა საზოგადოებას ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე. 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, სამი მონოგრაფიისა და რამოდენიმე სახელმძღვანელოს ავტორმა დასტამბა თავისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები „სტალინი“.

გთავაზობთ ნაწყვეტებს წიგნიდან, რომელშიც ავტორმა თავის სულსა და გულში, საკუთარი ცხოვრების და მრავალმხრივი საქმიანობის პრიზმაში გაატარა ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი მოვლენები და მათი ღრმად პიროვნული და ორიგინალური ხედვა მოგვაწოდა.

როგორც იტყვიან: — ეს ერთი და სხვა ათასი...

რედაქციისათვის ისიც გახდა ცნობილი, რომ „სტალინი“ — პირველი წიგნია ავტორის მიერ ჩაფიქრებული ტრილოგიისა.

ბოლო დროს მალე იღლებოდა. ამიტომ შეცვალა საქმიანობის რეჟიმი. ძირითადად დღისით მუშაობდა, სასადილო შესვენებაც შემოიღო, რომელიც ორ საათს გრძელდებოდა. სათვალეს არ ხმარობდა, მაგრამ კითხვა უკვე უჭირდა. უფრო თავშეკავებულად ჭამდა და სვამდა.

გარემოცვა ატყობდა, რომ ხასიათიც შეეცვალა: უფრო დამთმობი და ლმობიერი გახდა. ხშირად ხუმრობდა, თუმცა იუმორი საკმაოდ ჰქონდა. თეთრი თმა და ულვაში მის სახეს ბიბლიურს ხდიდა. ჩაცმულობითა და გარეგნობით მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა თანამებრძოლებისაგან. ყოველთვის სუფთად და გამოვნებით ეცვა. გენერალისიმუსის ფორმაც კარგად მოერგო მის ასაკს. როდესაც ნიმუშები მიუტანეს, არ მოეწონა, „სამოქალაქო ფრენჩს, რომელსაც ვხმარობ, განსხვავებული სამხედრო ნიშნები გაუკეთეთ!“ — თქვა. მართლაც ორიგინალური ფორმა გამოვიდა. წითელი ლამპასების წინააღმდეგიც იყო, მაგრამ თანამებრძოლებმა დაარწმუნეს, ლამპასები განსხვავებული სამხედრო ღირსების აღმნიშვნელიაო. დაეთანხმა, ასეთ საკითხებს წვრილმანად თვლიდა და მათზე თითქმის არასოდეს კამათობდა.

ბოლო დროს ხშირად ფიქრობდა სამშობლოზე. საქართველოს ცკ მდივანთან ყოველი მისი შეხვედრა უამრავი კითხვით მთავრდებოდა. აინტერესებდა ყველაფერი, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან დაწყებული რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობით დამთავრებული. შინაგანად გრძნობდა, რომ ვალში იყო თავისი ქვეყნის წინაშე, თუმცა მიკერძოებას არასოდეს აძღავნებდა.

ომის შემდეგ რამდენჯერმე დაისვენა საქართველოში. განსაკუთრებით მოსწონდა მიუსერას მყუდრო ყურე, სადაც მოსკოვის „ახლო აგარაკის“ ტიპის ორსართულიანი, მწვანე სახლი ააშენებინა. ზღვაზე დასვენებას არჩევდა, თუმცა იშვიათად უნახავთ იგი ტანთ გახდილი და ზღვაში მოცურავე. ისიც არავინ იცოდა, შეეძლო თუ არა ცურვა.

ერთხელ ცოლ-შვილთან ერთად ყირიმში ისვენებდა. კატერებით გავიდნენ ღია ზღვაში. ზღვა მშვიდი იყო. თანმხლებთაგან ზოგიერთი ზღვაში დგაფუნით გადაეშვა, თვითონ კატერში დარჩა და ღიმილით ადევნებდა თვალს მოცურავეებს. ტილოს შარვალსა და ფრენჩში იყო გამოწყობილი. როგორც ყოველთვის, ჩექმები ეცვა, ხოლო თავზე სამხედრო ყაიდაზე შეკერილი ქუდი ეხურა. იგი შეძახილებით ამხნევებდა მოცურავეებს.

— იოსებ ბესარიონის ძევ, ზღვა თბილია, სუფთა, იქნებ ჩამოხვიდეთ? — შეეხმიანა ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რომელიც ცურვით მოუახლოვდა კატერს.

— დაცვა არ მაძლევს უფლებას, — გაეხუმრა სტალინი.

— დაცვა კი არა, მამამ ცურვა არ იცის, — თქვა მოულოდნელად ვასიამ, რომელიც ტრუსიკის ამარა მამის გვერდით იჯდა.

სტალინს ჯერ გაეღიმა, მერე უცებ დასტაცა ხელი შვილს და აყვირებული ბავშვი ზღვაში მოისროლა შეძახილით: ამ პატარა ყაჩაღს ცოტა ხანს მიმიხედეთ და სწრაფად დაიწყო გახდა. უცბათ მოიცილა ფრენჩი და მაისური, გაუჭირდა ჩექმების გაძრობა. ნადია სიცილით შეეშველა.

— იოსებ, იქნებ, მართლა არ იცი ცურვა. არ დაღუპო ოჯახი, — ეხუმრებოდა იგი, თუმცა იცოდა, რომ კარგად ცურავდა.

არაფერი უთქვამს, მოკლე ტრუსის „კალთები“ აიკეცა და „ეეხ“-ოს ძახილით ზურგით გადაეშვა ზღვაში. მალე ზღვის ტალღებში გაუჩინარდა. დაცვა, რომელიც მეორე კატერში იმყოფებოდა, გაუხდელი გადაეშვა ზღვაში. ატყდა ფაცა-ფუცი, შეშფოთდა ნადიაც. სტალინმა კი ოციოდე მეტრის იქით ამოყო თავი, სწრაფი მოძრაობით თმებიდან წყალი ჩამოიბერტყა და კატერთან მოფუსფუსე ხალხს სიცილით გასძახა:

— თქვენ მანდ რამე დაკარგეთ?

რა იცოდნენ თანმხლებმა პირებმა, რამდენჯერ შესჭიდებია მოდიღებულ ლიახვს დინების მიმართულებით. ერთხელ გადასახლებაში სანაძლეოზე მდინარე ლენას საკმაოდ დიდი შენაკადი მხარულით შეუსვენებლივ გადაცურა.

ახლა მიუსერაში სანაპიროზე სეირნობისას გაახსენდა ომამდელი ამბავი. გაეღიმა, ზღვა ენერგია ჰქონდა მაშინ. ახლა კიბეებზე ასვლაც უჭირს. ირგვლივ მიმოიხედა. ბუჩქებსა და ხეებთან დაცვის მუშაკები შეამჩნია. ზღვიდან მონაბერი ნიავი საამოდ მიელამუნა ტანზე, საათს დახედა. საღილობის დრო დამდგარიყო. ნელა აუყვა აგარაკისაკენ მიმავალ ლამაზ ხის კიბეს. დროდადრო ისვენებდა. მის გამოჩენაზე დაცვის მუშაკები სმენაზე დგებოდნენ.

— იოსებ ბესარიონის ძევ, დარეკა მგელაძემ, თქვენთან შეხვედრას ითხოვს, — მოახსენა დაცვის უფროსმა.

— გადაეცით, რომ საღამოს ვახშმად ვეპატიჟები, — უპასუხა და აივანზე ავიდა.

დიდ სასადილო ოთახში თეთრწინსაფრიანი 19-20 წლის ახალგაზრდა გოგონა სუფრას აწყობდა.

— იულია, დღეს რა გვაქვს სადილად? — იკითხა შესვლისთანავე.

— უკრაინული ბორშჩი და ხბოს ჩახოხბილი, — მკვირცხლად უპასუხა იულიამ და ხელები ჩამოუშვა.

— კეთილი, ახლავე ჩამოვალ, — უთხრა გოგონას და მეორე სართულზე ამავალ ფართო კიბეებს აუყვა. 10-ოდე წუთში სასადილო ოთახში ჩამოვიდა. სამხედრო მუნდირის ნაცვლად წინგახსნილი შალის მოქსოვილი ჯემპრი ეცვა. ხელში ჩიბუხი ეჭირა, მაგიდას ღიმილით მიუჯდა, ჩიბუხი გვერდით დაიდო და ცარიელი დიდი თეფში ქალიშვილს გაუწოდა.

— აბა, ვნახოთ, როგორი დიასახლისი ხარ, — უთხრა გოგონას, რომელიც დაბნეული შეჰყურებდა მას და არ იცოდა, თეფში ჩამოერთმია თუ ისე დაესხა შეჭამადი, თუმცა ბელადის მომსახურების თაობაზე დეტალური ინსტრუქცია ჰქონდა მიღებული. საცოდავს ამჯერად ყველაფერი აერია. არც იყო გასაკვირი — ის ხომ პირველად ხედავდა სტალინს.

სტალინი წამოდგა, ახალგაზრდა ქალს ჩამჩა ჩამოართვა და შეჭამადი თვითონვე დაისხა, დაჯდომის შემდეგ ჭვავის პურის ნაჭერი აიღო და დინჯად შეუდგა ჭამას.

— ოო, ასეთი კარგი ბორშჩი ჯერ არ მიჭამია, ძალიან გემრიელია, — ღიმილით უთხრა მან გახევებულ გოგონას და მადიანად განაგრძო სადილობა.

„სადილის შემდეგ, — ჰყვება ახლა უკვე პენსიონერი, კგბ-ს მაიორი იულია მარკოვნა, — სტალინმა მადლობა გადამიხადა, ჩიბუხი აიღო — ცოტას დავისვენებო, — თქვა და მეორე სართულზე ავიდა. მე სუფრის ალაგებას შევუდექი. მაგიდაზე მისი ასანთის კოლოფი შევნიშნე. უნებლიეთ დავავლე ხელი და წინსაფრის ჯიბეში ჩავიდე; „ეს კოლოფი ხომ სტალინის ნაკონია, მე მას, როგორც რელიკვიას, ისე შევინახავ“, — გავიფიქრე და ჭურჭლის ალაგება დავუჭირე.

ჯერ ისევ სასადილო მაგიდასთან ვფუსფუსებდი, რომ კიბის თავთან სტალინი დავინახე.

— იულია, გეთაყვა, მანდ სადღაც ასანთი დამრჩა, იქნებ, მომაწოდო?

გავშეშდი. მე ხომ ასანთი ჯიბეში მედო. თავი ჩავღუნე, მგონი, შესამჩნევად გავწითლდი კიდეც, მაგიდაზე ხელები მოვაფათურე, უხერხულობისა და დაბნეულობისაგან კინაღამ სკამი გადავაბრუნე. „ასანთი, ასანთი“, — წავილუღღუღე უმწეოდ და ხელები ჩამოვუშვი.

— ალბათ, კაბინეტში დამრჩა და ვერ ვიპოვე. ასე იცის სიბერემ, ყველაფერი გავიწყდება, — თქვა სტალინმა და კაბინეტისაკენ შეტრიალდა.

მეორე დღეს ჩვეულებისამებრ გავაწყვე მაგიდა და სტალინის მოსვლას დაველოდე, რომელიც მიქოიანსა და მგელაძესთან ერთად პარკში სეირნობდა. დღის ოთხი საათი იწყებოდა, როდესაც ისინი სასადილო დარბაზში შემოვიდნენ:

— ამხანაგებო, გაიცანით იულია, შესანიშნავი გოგონა და ჩემი დიასახლისი, ძალიან გემრიელი კერძების მომზადება იცის. აბა, გთხოვთ, დაბრძანდეთ! სუფრა ამჯერად უფრო მრავალფეროვანი იყო, ღვინოც რამდენიმე სახეობისა ჰქონდათ, სადილობის დროს რაღაცეებს ჰყვებოდნენ და გულიანად იცინოდნენ. მე უხმაუროდ ვაკეთებდი საქმეს, ვიცოდი, რომ მათი საუბრისათვის ხელი არ უნდა შემეშალა.

სტალინი კიდევ რამდენიმე დღე დარჩა მიუსერაში და აი, დადგა მისი გამგზავრების დროც. დილიდანვე შავი ლიმუზინებით აივსო აგარაკი. მე გამაფრთხილეს, რომ სტალინი მსუბუქად ისაუზმებდა და შემდეგ გაემგზავრებოდა. იგი სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი, კიბეებზე სწრაფად დაეშვა. ხელში ლამაზი პარკი ეჭირა, რომელიც სკამზე დადო და საუზმეს შეუდგა, უხმაუროდ ჭამდა, დროდადრო ოთხად გაკეცილ გაზეთს გადახედავდა. საუზმე მალე დაამთავრა, წამოდგა, ხელსახოცით პირი მოიწმინდა და მომიბრუნდა:

— იულია, შენი დიდი მადლობელი ვარ, საუკე-

თესოდ მივლიდი. — შემდეგ გაიღიმა, სკამიდან პარკი აიღო და მომაწოდა:

— აქ უბრალო ნივთებია, მინდა, რომ ჩემგან სახსოვრად გქონდეს. შემდეგ ლოყაზე მომეფერა, გამიღიმა და ოთახიდან გავიდა.

ერთი სული მქონდა, სანამ ვნახავდი საჩუქრებს. როდესაც სტუმრები წავიდნენ და ჩემს გარდა აგარაკზე აღარავინ დარჩა, პარკი გავხსენი და საჩუქრები მაგიდაზე დავაწყვე.

იულია მარკოვნა წამოდგა, კარადა გამოაღო და სტალინის ნაქონი ჩიბუხი, საფერფლე, ასანთი და ვერცხლის კოვზი გამოიღო. — ეს სტალინის ნაქონი ნივთებია და, ალბათ, შთამომავლობას გადავცემ, როგორც დიდ რელიკვიას.

1990 წლამდე იულია მარკოვნა ლიძავაში, სამთავრობო აგარაკების მომსახურეთა დასახლებაში ცხოვრობდა. ახლა კი, ვინ იცის, სად არის.

***

ცივი და ქარბუქიანი იყო მარტის მოსკოვი. სტალინი „ახალ აგარაკზე" სოციალიზმის ეკონომიკური „პრობლემების" ახალ ვარიანტზე მუშაობდა, რომელშიც იცვლებოდა ძირითადი დებულებები, კერძოდ, სოციალიზმის ეკონომიკური კანონი, რომელიც გულისხმობდა მოსახლეობის „მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფას", გადადიოდა განაკვეთში — „კომუნიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი", ხოლო სოციალიზმის კანონის ეს მუხლი უფრო კონკრეტულ სახეს იღებდა.

ადრიანად დაიწყო მუშაობა. მაგიდა წიგნებით ჰქონდა სავსე. ატყობდა, რომ ძველებურად ვეღარ ალაგებდა აზრებს, აღარ გამოუდიოდა ლაკონური, დახვეწილი წინადადებები.* რამდენიმეჯერ გადახაზა დაწერილი ფურცლები. ფანჯარასთან მივიდა. მარტის ქარი დათარეშობდა ბაღში, შემბორუნდა, კედელზე გაკრული პლაკატს მიაჩერდა, რომელზეც იგი გამოსახული იყო სსრ კავშირის რუკის ფონზე. „გვალვასაც დავძლევთ", — ასე ერქვა პლაკატს. სურათს ჩაჰყურდა, საიდანაც ოცი წლის წინანდელი სტალინი მოსჩერებოდა, ენერგიული, იდეებით სავსე, შავთმიანი. გაეღიმა, „ბელადი არ უნდა დაჩაჩანაკდეს", — გაიფიქრა.

მე-19 ყრილობას თვითონვე სთხოვა გადადგომა. „დროა ახალგაზრდობამ ჩაიბაროს ესტაფეტა". ეს რომ განაცხადა, დამფრთხალ ვირთხებს დაემსგავსნენ პოლიტბიუროს წევრები. ახლაც თვალწინ უდგას მათი შეშინებული სახეები. დაჩოქილი ნიკიტა ხრუშჩოვი მის მუხლებსაც წაეპოტინა. „არ დაგვღუპო", — წაილუღლუღა მალენკოვმა. „დავიღუპებით", — ენის ბორძიკით თქვა მოლოტოვმაც. მიხვდა მაშინ, რომ ცუდ პოლიტიკურ მემკვიდრეებს ტოვებდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ დრო აღარ რჩებოდა საქმის გამოსასწორებლად.

დაცვის უფროსი იხმო: „დაუძახეთ პოლიტბიუროს ძირითად წევრებს!" ისევ მიეცა ფიქრებს. 74-ე წელიწადშია. აქედან 29 წელიწადი ეწევა თითქმის ნახევარი მსოფლიოს პოლიტიკურ ჭაპანს. გაიხსენა თავისი მოკლე მოხსენება მე-19 ყრილობაზე, როდესაც მსოფლიო მუშათა მოძრაობის ლიდერებს საპროგრამო სიტყვა უთხრა. ყრილობაზე მოწვეული სტუმრებიდან განსაკუთრებით მაო-ძე-დუნისა და ენვერ ხოჯას ნათქვამი ჩარჩა გონებაში. ეშმაკი ჩინელი არაორაზროვნად მიანიშნებდა იმაზე, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდნენ სოციალიზმის მონაპოვარს, რომ „ჩვენ, თქვენი მოწოფეები გავაგრძელებთ ჩვენი დიდი მასწავლებლის მიერ გაკვალულ გზას". ესე იგი მას დაჩაჩანაკება შეატყვეს და აიმედებენ, რომ თქვენი წასვლის შემდეგ გაუფრთხილდებით სოციალიზმსო. გაეღიმა. იცოდა, რომ მაო სწორს ამბობდა. იგი უკვე მობერდა, განვლილმა ცხოვრებამ თავისი კვალი დაამჩნია. გენეტიკურადაც არც ერთ მის წინაპარს 75 წლამდე არ უცოცხლია, მაომ თქვა ის, რასაც სხვები ხედავენ.

XXX

სადილზე სტალინი ჩვეულებისამებრ თავში იჯდა. სხვა ბოთლებთან ერთად წინ ბერიას მიერ გახსნილი ბოთლიც იდო. მაგიდაზე ბლომად იყო სხვა სასმელებიც, მათ შორის არაყი და კონიაკი. სადილი ჩვეულებრივად დაიწყო. სტალინმა თვითონ დაისხა შეჭამადი და სხვებსაც უჩრნა, მიირთვით, ქართულად გაკეთებული ცხარე საჭმელიაო.

სადილი უნიათოდ წარიმართა, ბელადი პატარა ჭიქით ბერიას გახსნილი ბოთლიდან ჭინძმარაულს სვამდა. იგი სმისას არავის ზღუდავდა. ვისაც რა უნდოდა და რა რაოდენობით, იმას სვამდა. საუბარი არ აეწყო. ვერც ხრუშჩოვის ხუმრობას აუბეს მხარი. ერთხანს საგარეო პოლიტიკაზე ისაუბრეს, მერე ჩინეთის საკითხებს შეეხნენ. სტალინი ძირითადად უსმენდა მოსაუბრეებს, ხანდახან თუ ჩაურთავდა სიტყვას. სახე თითქოს გაქვავებოდა, ფერიც უცნაური ჰქონდა, იქნებ გრძნობდა კიდეც, რომ მისი საათი მხოლოდ რამდენიმე წრეს შემოხვევდა, სულ რამდენიმეს. სტუმრები უხალისოდ წრუპავდნენ სასმელს, ზოგს სიმთვრალე უკვე ეტყობოდა. უცებ სტალინი წამოდგა, ჭიქა ქინძმარაულით აავსო და წარმოთქვა:

— დიდი მადლობა სტუმრობისათვის, ხვალ მძიმე სამუშაო დღე მოგველის. ამ სასმისით „ჩემს წასვლას და თქვენს დარჩენას გაუმარჯოს!" — დააყოლა ბოლოს.

მხოლოდ ბერიამ მიაქცია ყურადღება ამ უცნაურ ნათქვამს. მან იცოდა, რომ სტალინს უნდა ეთქვა: „თქვენს წასვლას და ჩემს დარჩენას გაუმარჯოს". ნამდვილად კი საპირისპირო თქვა. „შეცდომაა თუ ბედისწერა?!" — გაიფიქრა მან.

დღის ოთხი საათი იყო.

სტუმრები გამოემშვიდობნენ „პატრონს", რომელმაც ისინი კარამდე მიაცილა, მერე ფანჯარასთან დადგა და თვალი გაადევნა, თუ როგორ სხდებოდნენ მანქანებში მისი „ერთგული" თანამებრძოლები. უცებ ხრუშჩოვის გამოხედვა დაიჭირა, „მუჟიკური" ბოროტი გამოხედვა.

მეორე სართულზე ამავალ კიბეებს აუყვა. კიბის ბოლოს გაჭიმულ კომენდანტს უთხრა, დავისვენებო და სვლა განაგრძო. დაღლილობა იგრძნო. დივანზე წამოწვა და ფრენჩის ღილები შეიხსნა, ფიქრებს მიეცა.

„ჩემი თანამებრძოლები",— გაიფიქრა და თვალწინ წარმოუდგა მათი თვითკმაყოფილი, ჩასუქებული სახეები, ცხვრებივით თავჩაღუნულები რომ ისხდნენ პოლიტბიუროზე. დგება მისი წასვლის დრო, მაგრამ ვის გადააბაროს ქვეყნის საჭე, ვის ანდოს ნახევარი მსოფლიოს მართვა? მოლოტოვი? იგი ძველი ბოლშევიკია, მაგრამ სიმტკიცე აკლია, მგლებივით დაესევიან, ვერ გაუძლებს ამათ შემოტევას, ცოლის ზეგავლენას განიცდიდა ყოველთვის. ამ საქმისათვის ზედმეტად „ინტელიგენტურია". ჩაფიქრდა, მალენკოვი? ფაქტობრივად მას უკვე ჩააბარა პარტიის ცკ, მაგრამ იგი მშიშარაა, ლანდივით დასდევს ბერიას და მის ყოველ გამოხედვაზე თრთის. იქნებ ბერია? ო, ეს კი ნამდვილად რკინის მარწუხებში მოაქცევს ქვეყანას. მოგვიანებით იგი თვითონაც ჩაიგდებს სადავეებს ხელში, მაგრამ მისგან ბერიას დასახლება არ ივარგებს, ბოლოს და ბოლოს რუსეთის იმპერიას ქართველების სამემკვიდრეო მამულად ხომ არ გადააქცევს? გონებაში ხრუშჩოვიც ამოტივტივდა. არც კი ახსოვს, როგორ გაძვრა ეს მელოტი, გაუხათლებელი კაცი პოლიტბიუროში. იგი წერა-კითხვის უცოდინარია. მას არც დასავლეთი და არც სოციალიზმის ბანაკი არ მიიღებს. კაგანოვიჩიც გაახსენდა. დიდი ხანია მის გვერდითაა და საქმესაც კარგად აკეთებს, მაგრამ ებრაელია და ჯერ კიდევ არავინ იცის, ვისთანაა დაკავშირებული. ერთხელ ძლივს დაიხსნა გაუ-ს კლანჭებიდან, როდესაც სიონისტობას სწამებდნენ.

დიდხანს აწვალებდა ფიქრი. წამოდგა, მაგიდიდან ფურცელი აიღო, გადაწყვიტა პოლიტბიუროს სახელზე წერილის დაწერა გადადგომის შესახებ, მემკვიდრეც უნდა დაესახელებინა. ამათგან უნდა შეერჩია კანდიდატურა. სხვა გზა არ ჰქონდა. „იქნებ პარტიაში მალენკოვი, ხოლო მთავრობაში მოლოტოვი?". მაგიდას მიუჯდა, კალმისტარი აიღო, შეყოვნდა. ცივი სიცარიელე და წყვდიადი იგრძნო ირგვლივ. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე პირველად გაუჭირდა. გამოსავალს ვერ პოულობდა, ხელი არ ემორჩილებოდა, თითქოს ასოებიც გაურბოდნენ.

ვერავის დააბრალებს მათ მოყვანას, ვინც ირგვლივ ჰყავდა, ყველანი თვითონ შეარჩია. დრო არ ჰქონდა და ვერ შეამჩნია თავის დროზე მათი უვიცობა. ისინი ხომ მხოლოდ რობოტები იყვნენ, რომლებიც მისი წასვლის შემდეგ უკვარგის ჯართად გადაიქცეოდნენ.

წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. გრძნობდა დასასრულის დასაწყისს, ხვდებოდა, რომ ქვეყნის ბედის მრავალუცნობიანი ამოცანის ამოხსნისათვის დრო აღარ რჩებოდა. „ესენი დაანგრევენ ქვეყანას და არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ სოციალისტურ სისტემას."

მიხვდა, ერთი კაცის ქვეყანა რომ ააშენა, თავის გენიოსობაზე მორგებული ქვეყანა. მისი სიკვდილის შემდეგ მის სკამზე ჯდომა ძნელი იქნებოდა. ძალაუფლება იგივე დარჩება, შესაძლებლობები კი... აღარ დასრულა ფიქრი, ნათლად წარმოიდგინა, რაც მოხდებოდა. და პირველად თავის სიცოცხლეში ტანში ყრუ ანტელმა დაუარა.

რუსეთის სახელმწიფოს ღირსება არასოდეს ასულა ამ სიმაღლეზე. ქართველმა კაცმა დიდების შარავანდედით შემოსა „დიდი რუსი ხალხი", მაგრამ, როგორც ფრანგებმა იუკადრისეს კორსიკელი ბონაპარტეს მიერ შექმნილი სიდიადე, ისე რუსეთი ფეხქვეშ გაეთელავს მის მიერ შექმნილ ფასეულობებს, ქართველების შექმნილი დიდება მოსვენებას დაუკარგავს ბევრს. იცოდა, რომ დიდ ერში დიდი შუღლი ისევე ბოგინებს, როგორც პატარაში. არც შემცდარა...

სიკვდილის აჩრდილი ნელ-ნელა უახლოვდებოდა. თითქოს უჭირდა ამ ღმერთაკაცთან მიახლოვება. დედა გაახსენდა, კეთილი დედა, შვილს დანატრული რომ წავიდა ამა ქვეყნიდან, საქართველოც გაახსენდა, ერეკლეს საფლავთან დადებული ფიციც. ხელი ჩაქნინა.

პირი გაუშრა, შუბლთან მწვავე ტკივილი იგრძნო, თვალთ დაუბნელდა. ბორძიკით ჩაუყვა კიბეს. თავისი სიმაღლიდან ჩამოსვლა უჭირდა. არადა რა მოკლე გამოდგა ეს მანძილი — სულ რამდენიმე საფეხური. მაგიდას მიუახლოვდა, ხელი გახსნილი ბორჯომისაკენ წაიღო და...

მისმა დაცემამ სამყაარო შეაზანზარა. იწვა იატაკზე ნახევარი მსოფლიოს მბრძანებელი და სიკვდილს ხელების უცნაური მოძრაობით ებრძოდა. ადგომას შეეცადა, ხელ-ფეხი ვერ დაიმორჩილა, პირი დააღო, ძალა არ ეყო, ვინმესთვის დაეძახა, შვილებიც ჰყავდა, მაგრამ იქ არცერთი არ იყო. დაცვაც და მოსამსახურეებიც სადღაც გამქრალიყვნენ. 73 წლის კაცი ექიმის გარეშე იყო მიტოვებული. დაცემიდან 12 საათი ხალიჩაზე უგონოდ იწვა. სასწრაფო პაკეტის შეტანისას ნახა კომენდანტმა იატაკზე უგონოდ დავარდნილი ბელადი. ჯერ პატარა დივანზე დააწვინეს. არ ადეკი. შემდეგ დიდ დივანზე გადაიყვანეს, მალენკოვს დაურეკეს. შეშინებულმა ტელეფონში რაღაც გაუგებრად წაილუღლუღა და ყურმილი დაკიდა. შემდეგ ბერიას დაურეკეს. „არავის შეატყობინოთ!" — მიიღეს პასუხად. მხოლოდ მეორე დღის ოთხ საათზე მოვიდა ბერია, სასადილო ოთახში დივანზე დასვენებულ სტალინს ჩაშტერდა. „ვერ ხედავთ? სძინავს", თქვა და მკაცრად გაიფრთხილა ყველა, ბელადი არ გაეღვიძებინათ. სასწრაფოდ დატოვა ბერიამ აგარაკი. გაოგნებული კომენდანტი ადგილზე გაშეშდა. იგი ხედავდა, რომ სტალინი სიკვდილს ებრძოდა, ბერიამ კი „ძილი არ დაუფრთხოთო". ბერიას წასვლის შემდეგ ხრუშჩოვს დაურეკეს. იგი შვიდი საათისთვის მოვიდა, დახედა სტალინს და თქვა: „შესაფოთებელი არაფერია, ექიმებს მე გამოვიძახებ", კრიზისის დაწყებიდან მხოლოდ 29 საათის შემდეგ მოვიდა საექიმო ბრიგადა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ექიმებს მთელი პოლიტბიურო მოჰყვა, მოვიდა სვეტლანაც.

სტალინის ქალიშვილის შეკითხვაზე, „შეიძლებოდა თუ არა გადარჩენა", ერთ-ერთმა ექიმმა უპასუხა: „რასაკვირველია, თავის დროზე რომ გამოვეძახებინეთ". ექიმის უკან მდგარმა ბერიამ ხალათში წაავლო მას ხელი და თავისკენ მოსწია: „ყბედო", — კბილებში გამოცრა მან და საცოდავს ისე შეეხედა, რომ ამ უკანასკნელს ყბა აუკანკალდა.

29 წელიწადს მართავდა უზარმაზარ იმპერიას სტალინი. 1953 წლის მარტის ცივ დღეს 29 საათი მარტო ებრძოდა სიკვდილს. 349 თვე თვალებში შეჰყურებდა მთელი მსოფლიო, თავისი „ეფობის" 10776-ე დღეს განუტევა სული. მსოფლიოში არნახულ სიმაღლეებზე ასულს ლოგინშიც არ ეღირსა სიკვდილი. ყველასგან მიტოვებული, იატაკზე უხერხულად დავარდნილი ეს ბუმბერაზი თითქოს დრომაც გაწირაო. გენიალობამდე ამაღლებული უბრალოებით იცხოვრა და ჩვეულებრივი მოკვდავის სიკვდილითაც ვერ დაასრულა სიცოცხლე.

ვაგლახ, რომ წინასწარ არავინ იცის, ვის რას უმზადებს წუთისოფელი. ალბათ, არცაა საჭირო, რადგან, როგორც რუსთველს უბრძანებია: „არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა, ზენასა".

XXX

ოცდათექვსმეტი წელიწადი შენდებოდა ეს უცნაური სახელმწიფო: სამოქალაქო ომის ფერფლიდან ფენიქსისებრ აღმდგარი, მსოფლიოს უპირველესი ქვეყანა გახდა. კავიდან დაიწყო და წყალბადის ბომბით დაამთავრა.

1953 წლის პირველ მარტს შეზანზარდა პირველად იგი და რღვევა დაიწყო. სტალინის იატაკზე დავარდნის სიძლიერემ პირველი ბზარები გაუჩინა ფოლადივით შეკრულ კავშირს. ზუსტად 36 წლის შემდეგ კი მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა ქვეყანამ ნაკუწ-ნაკუწ დაიწყო დაშლა. ეს შეუქცევადი პროცესი სულ ერთ წელს გაგრძელდა.

იმპერიები იბადებიან, ვითარდებიან, კვდებიან. ეს ისტორიული აუცილებლობა და აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. 36 უდრის 36. ეს მარტივი მათემატიკური ტოლობა კი უზარმაზარი ქვეყნის შენებისა და ნგრევის განტოლებაა.

ძალების ხლართვა

შარლ ვილდრაკი

● არდეონის ტყეში მშვენიერი სასახლე დგას. თუმცა ომმა ეს სასახლე დაინდო, არ დაანგრია, მაგრამ შემზარავი მოგონება დაუტოვა.

ომის დაწყებისთანავე სასახლის პატრონები პარიზში წავიდნენ. დარაჯები და მებაღეები ომში გაიწვიეს. სასახლის პატრონებად დარჩნენ ძაღლების მომვლელი მოხუცი ანტუანი, რომელიც გლეხკაცს უფრო ჰგავს, ვიდრე მსახურს და თხუთმეტი წლის მეჯინიბე ქადე.

იმ დროისათვის ქადე უთუოდ ცოცხალი, აზრიანი და მხნე ბიჭი იყო და ამიტომაც მოხუც ანტუანს ძალიან უყვარდა. ქადე ოთხი წლის წინ გავიცანი ჯარისკაცის ფორმა ეცვა და ეს ამბავი სწორედ მან მიამბო.

ანტუანისა და ქადეს გარდა სასახლის კარ-მიდამოში ძაღლების ხროვა დარჩა. ქადეს ძაღლები ძალიან უყვარდა და თამებშებმული ხშირად წყვილ-წყვილად სასეირნოდ დაჰყავდა. აგრეთვე ძაღლებთან ერთად ნადირობაც უყვარდა ქადეს და ბუკის დაკვრაც კარგად ეხერხებოდა.

თავისი ბატონების პარიზში წასვლით ქადე მეტად კმაყოფილი გახლდათ, მათი დანახვა ძლიერ აშინებდა მას და თანაც ისინი ყოველთვის მძიმე სამუშაოს აკეთებინებდნენ. ადრე სასახლეში შესვლა აკრძალული ჰქონდა. ბატონების პარიზში წასვლის შემდეგ კი ქადე სასახლეში თავისუფლად დანავარდობდა. ფანჯრებს აღებდა, სარდაფში ჩადიოდა, სხვენზე ადიოდა, ბიბლიოთეკაში შედიოდა, კატალოგსაც ფურცლავდა ხოლმე. გაგებით კი არაფერი გაეგებოდა.

ზოგჯერ რბილ სავარძელში განცხრომით მოკალათებული, სიამოვნებით ათვალიერებდა კედელზე გაკრულ ძველებურ გობელინს, რომელზედაც გამოსახული იყო არდენის ტყეში ირმის წინ დაჩოქილი წმინდა იუბერი.

ხშირად მხარზე თოფგადაკიდებული ქადე პარკის ხეივანში დასეირნობდა. ხოლო როდესაც მისი მეგობარი ანტუანი სურსათის მარაგის შესავსებად სოფელში მიდიოდა, ქადე მინდორში კურდღლებს დაეძებდა, ან წიფლის ხეებზე გარეულ მტრედებსა და ციყვებს ყარაულობდა.

ერთ საღამოს არდენის ტყეში გზათმომავალი სამხედროები გაჩერდნენ და თხუთმეტზე მეტი სხვადასხვა ჩინის ოფიცერი ღამის გასათევად სასახლეში დაბინავდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ფრანგები იყვნენ თუ გერმანელები. მთავარი ის იყო, რომ ისინი ომში მებრძოლი ჯარისკაცები იყვნენ.

სასახლეში ისე მოეწყვნენ, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყვნენ. სარდაფში ჩაბრძანდნენ, ყველანაირი მარკის ღვინო ამოიტანეს და ქლიავის წვენიც არ დაიკლეს. ამას მოჰყვა მთელი ღამე ლოთობა და ღრეობა.

აღშფოთებული ანტუანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, მაგრამ სამხედროები მას არაფრად აგდებდნენ.

ქადე ანტუანის გულისწყრომას იზიარებდა, თუმცა ბავშვი იყო და სამხედროების საქციელი უფრო ართობდა. მალე ძილიც მოერია და დასაძინებლად წავიდა.

გათენებისას ტანგაუხდელმა მოქეიფეებმა საწოლებსა და სავარძლებში მოიკალათეს, დაწვნენ და დაიძინეს. მათგან მხოლოდ სამნი ფხიზლობდნენ. სამივენი ეზოში სუფთა ჰაერზე გავიდნენ და სასახლის გარშემო სეირნობისას, რკინის ღობეშემოვლებულ სადგომში დამწყვდეულ ძაღლებს მიადგნენ.

ძაღლები გაშმაგებით აყეფდნენ. ოფიცრები ჯერ შეშინდნენ, შემდეგ გაბრაზდნენ, კაკალს სქელი ტოტები შეატეხეს და ძაღლებს ღობიდან ცემა დაუწყეს. ერთმა ოფიცერმა იქვე წყლით სავსე კასრი დაინახა და ძაღლებს გადაასხა. ძაღლები უფრო გააფთრდნენ.

– ეს ხომ აუტანელია! – ჩაილაპარაკა სქელმა მაიორმა. – ეს პირუტყვები აქედან უნდა გავყაროთ. ახლავე ვუჩვენებ მაგათ, როგორ უნდა ყეფა და ღრიანცელი!

ჯოხმომარჯვებულმა მაიორმა სადგომის კარი გააღო. დამწყვდეული ძაღლები გამოცვივდნენ და ეზოში აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ამ სანახაობით გაბრაზებული ანტუანი მაიორს მივარდა და დაუყვირა:

– ვინ მოგცათ ამის უფლება?! გეტყობათ გამომთვრალხართ!

ანტუანმა პასუხს არ დაუცადა, სადგომის შესასვლელ კარებთან დადგა და სივრცეს გახედა. ძაღლები უკვე მინდორში დარბოდნენ. მოხუცმა ჯიბიდან ხისტარიანი სასტვენი ამოიღო და ჩასტვინა. ოფიცრები ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ ანტუანისაკენ. ოფიცრებს გაღიზიანებული ქადე მისდევდა. რამდენიმე ძაღლი ანტუანთან შეჯგუფდა და ოფიცრებს შეუღრინა. დანარჩენი კი ისევ მინდორში დარბოდა.

– მე თქვენ გიკრძალავთ სტვენას! – დაიღრიალა მაიორმა. – მომეცით სასტვენი, სწრაფად!

– არა, უპასუხა ანტუანმა, – ძაღლები სადგომში უნდა შევყარო და შევყრი კიდეც!

– არა, გესმით, რას ამბობს? არაო! შენ ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩვენ ომში ვიმყოფებით, ციხეში გინდა წაბრძანდე?

ანტუანი მათ ორიოდე ნაბიჯით მოსცილდა და ისევ ჩასტვინა.

– მოიცა, ჭკუას გასწავლი!.. – წაილაპარაკა სქელმა ოფიცერმა.

სასახლეში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ რევოლვერით ხელში ისევ ეზოში გამოვიდა. ერთ მის ამხანაგთაგანს სიცილი აუვარდა. მეორე კი ნელ-ნელა გვერდზე გადადგა.

– ან გაუშვებ ძაღლებს ან ყველას დავხოცავ! გესმის? – დაუღრიალა ანტუანს მაიორმა, შემდეგ კი ამხანაგებს მიმართა:

– ბატონებო, იარაღი გამოიტანეთ. კარგი სამიზნეებია. სროლაში გავივარჯიშოთ!..

ანტუანმა იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში სამხედრო უკან არ დაიხევდა, თავად, როგორც თავისი ბატონების ერთგული მსახური, თავს ვალდებულად თვლიდა, არავისათვის არაფერი არ დაეთმო, თუნდაც მთავარსარდალი ყოფილიყო.

მოხუცმა სასტვენს კბილები უფრო მაგრად ჩაუჭირა და ისე მძლავრად ჩასტვინა, რომ თვალებიც კი დახუჭა. უცებ ანტუანის ყურებთან ტყვიამ გაიზუზუნა. ერთმა ძაღლმა დაიყმუვლა და მიწაზე დაეცა. ანტუანმა მუშტები მოიმარჯვა, მაიორს მივარდა და დაუღრიალა:

– თქვენ მხეცი ხართ, საძაგელი მხეცი!

სიბრაზისაგან გაწითლებულმა მაიორმა მოხუცს რევოლვერის ლულა გულში წაჰკრა და, განზრახ თუ უცაბედად, სასხლეტს თითი დააჭირა. ბუჩქს მოფარებულმა ქადემ შეშლილივით შებღავლა. ანტუანმა ნაბიჯი გადადგა, პატარა მეგობრისაკენ მიტრიალდა, თვალები გაუსწორა და თითქოს შველას სთხოვდა, სუსტი ხმით დაუძახა:

– ქადე!..

როდესაც ქადემ მოხუცის სიმწრისაგან გაფართოებული თვალები დაინახა, შეეშინდა. უცებ მოტრიალდა და მთელი სისწრაფით ტყისკენ გაიქცა. უგზო-უკ-

ვლოდ მირბოდა, ხეებსა და ბუჩქებს ისე ეჯახებოდა, რომ ტოტები ემტვრეოდათ. ბოლოს ძალაგამოლეული მიწაზე დაეცა და აქვითინდა.

დილით სამხედროებმა სასახლე დატოვეს, მოხუცი ანტუანის ნეშტი კი ხისქვეშ მიწაში ჩაფლეს.

ქადე დიდხანს ეგდო ფოთლების გროვაში, მხოლოდ საღამოხანს წამოდგა და სასახლისაკენ გაეშურა. ცნობისმოყვარეობითა და შიშით შეძრწუნებული ქადე სასახლეს ფრთხილად უახლოვდებოდა. გარშემო შემზარავი სიჩუმე სუფევდა. უცებ შეკრთა, ფოთლების შრიალი შემოესმა. მაღალი ხის ტოტიდან ყვავი აფრინდა და ჩხავილით მდინარისაკენ გაფრინდა. ყვავის დანახვით ქადე დამშვიდდა და გზა გააგრძელა. თან აქეთ-იქით იყურებოდა. ჯარისკაცები და საბრალო ანტუანი ელანდებოდა. თხუთმეტი წლის უცოდველი ბიჭისათვის ასეთი უბედურება წარმოუდგენელი იყო, ამიტომ იმედი ჰქონდა, რომ ანტუანი ცოცხალი დახვდებოდა. გულში კი ფიქრობდა: მხოლოდ დაჭრეს, ჯარისკაცებიც წავიდნენ.

სასახლეში ჩუმად შეიპარა და ანტუანის ძებნა დაიწყო. ჯარისკაცები აღარსად ჩანდნენ. მოახლეების ოთახშიც არავინ იყო. საჯინიბოში მხოლოდ ანტუანის დაბმული ცხენი ხვიხვინებდა. ქადე ფლიგელისაკენ გაიქცა, ეგონა ანტუანი იქ დახვდებოდა. მაგრამ ანტუანის ცარიელი საწოლის მეტი იქ არაფერი იყო.

ბიჭი ანტუანს ეძებდა და ეძახდა, ყველგან ეძახდა. მოხუცის ხმა არსაიდან არ ისმოდა. „ალბათ, დაჭრილი სოფელში წაიყვანეს," გაიფიქრა ქადემ და სოფელში წასვლა დააპირა.

სასადილო დარბაზში გავლისას ჩამავალი მზის სხივებით განათებულ მაგიდაზე ნაქეიფარი ჯარისკაცების ნამუსრევი დაინახა: პურის ნატეხები, შემწვარი ხორცი, ხილით სავსე კალათა, დაცლილი თუ დაუცლელი ღვინის ბოთლები... დამშეული ქადე საჭმელს ეცა და ხარბად დაიწყო ჭამა.

პირველი ლუკმა ძლივს გადაყლაპა.

თვალწინ სოფლის ექიმი და ყარაულის ცოლი დაუდგა. თითქოს მათთან დასვენებული ანტუანი ბოდავდა. ბურგუნდის ღვინის ყლუპმა ქადე დააიმედა, რომ ჭრილობა სახიფათო არ იყო, ტყვიამ მხოლოდ მხარი დაუზიანა. რონსენმაც დაჭრა თავისი ცოლი, მაგრამ იგი დღესაც ცოცხალია, თავს კარგად გრძნობს.

საჭმელს მიეძალა ქადე. ღვინოც საკმარისად დალია, სავარძლის ზურგს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და ოცნებამ გაიტაცა. როგორც სათავგადასავლო რომანებშია ხოლმე, სასახლის მბრძანებლად წარმოიდგინა თავი. თითქოს იგი სახელოვანი მეზღვაური იყო და მისთვის უზარმაზარი გემი უნდა ჩაებარებინათ.

უცებ თვალები გაახილა. დილის საშინელება გაახსენდა და ფეხზე წამოხტა. სარკმლიდან ძაღლების სადგომს გადახედა, ძაღლები იქ აღარ იყვნენ.

გადაწყვიტა, ძაღლები მოეძებნა. სასახლიდან სწრაფად გავიდა, ფლიგელში შევიდა, თოფი ხელში აიღო, კედლიდან ბუკი ჩამოიღო და საღამოს ნამით დანესტიანებულ მინდორში გაიქცა.

გზაჯვარედინზე შეჩერდა. მიწაში ჩაფლულ დიდ ლოდს ცალი ფეხი დაადგა და ბუკს ჩაბერა... დიდხანს უკრავდა ბუკს და უხაროდა, რომ საკრავის ჩახრინწული ხმა მიყუჩებულ ტყესა და მინდორს აღვიძებდა.

უცებ ძაღლების ყეფა შემოესმა. ბუკს თავი მიანება და ყური დაუგდო: ძაღლების ყეფა თანდათან ახლოვდებოდა. მალე გზაზე ძაღლები გამოჩნდნენ.

ქადე მათ შესახვედრად გაიქცა. მაგრამ ამას რას ხედავს? ძაღლების წინ დიდი შავი ცხოველი მირბის. ქადე შუა გზაზე შეჩერდა, თოფი მოიმარჯვა, ცხოველს დაუმიზნა და ის-ის იყო, უნდა ესროლა, რომ მოზრდილი ირემი დაინახა.

ირემი პირდაპირ ქადესაკენ მირბოდა. უნებლიეთ ხელები გაშალა ქადემ და ირემს გზა გადაუღობა. გამწარებული ირემი შედგა და შიშისაგან გაფართოებული თვალები ქადეს თვალებს მიაშტერა.

ქადე უკან გადახტა.

– ღმერთო ჩემო! – წამოიყვირა. – ეს თვალები ხომ დილით უკვე ვნახე, ეს ხომ ანტუანის თვალებია?! მომაკვდავი ანტუანი ამ თვალებით მეხვეწებოდა, მიშველეო, მე კი ვერ ვუშველე, გავიქეცი.

– ირემი ისევ გაიქცა. გააფთრებული ძაღლები უკან გამოედევნენ.

დილის ამბავი გაახსენდა ქადეს და განწირული ხმით დაიყვირა:

ვაი სირცხვილო. თოფი და ბუკი მოძულებით მოიქნია და მთელი სისწრაფით სოფლისაკენ გაიქცა.

ფრანგულიდან თარგმნა

ლატავრა შანშიაშვილმა

დაუღალავი მკვლევარი

წამალთმცოდნეობის ცნობილი მკვლევარი და მოამაგე სოკრატ სალუქვაძე თითქმის ოთხი ათეული წელია უდიდესი ძალისხმევითა და ერთგულებით ემსახურება თავის კეთილშობილურ მისიას. 1960 წლიდან მოყოლებული, იგი ჯერ ფოთის მეორე აფთიაქის, შემდეგ თბილისის 27-ე აფთიაქისა და ბოლო ათი წლის განმავლობაში თბილისის № 1 ძირძველი აფთიაქის მმართველი და უცვლელი წინამძღოლია. იგი კარგად უთავსებს პრაქტიკულ საქმიანობას და მეცნიერულ კვლევა-ძიებას. გახლავთ დოცენტი. მის ლექციებს ისმენენ, როგორც სტუდენტები, ასევე დიპლომის შემდგომდროინდელი ექიმები — დახელოვნების ინსტიტუტში.

ახლის ძიება, მიკვლევა, აღმოჩენა და დანერგვა — აი, რა არის ამ დაუდგრომელი ბუნების, საოცრად ენერგიული და ჭეშმარიტებისათვის უკომპრომისოდ მებრძოლი ადამიანის ცხოვრების მიზანი. აღმოაჩინა მაღალაძეების აფთიაქი (XV ს.) შემდეგ ზაზა ფანასკერტელის შთამომავლის აფთიაქი (XVII ს.)

მრავალმხრივ ერუდირებული, კოლორიტული, მჭერმეტყველი, ქართული პოეზიისა და პროზის ტრფიალი, უზადო თამადა — ის შტრიხებია, რაც ავსებს და ალამაზებს ცნობილი წამალთმცოდნის, ბატონი სოკრატ სალუქვაძის პიროვნულ პორტრეტს. და, რაც მთავარია, ვითარც ღვთის მსახურს, თავისი მრევლის სიჯანსაღე და კარგად ყოფნა მიაჩნია უპირველეს მიზნად.

იგი ამჟამადაც ინტენსიურად მუშაობს წამალთმცოდნეობის და, საერთოდ, ქართული სამედიცინო ისტორიისათვის მრავალი, ჯერაც უცნობი მასალის მოპოვებისა და საზოგადოებისათვის მისი გაცნობის გზებსა და პრობლემებზე.

სწორედ ამ და ჩვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე სასაუბროდ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ბატონ სოკრატ სალუქვაძეს:

თბილისის უძველესი აფთიაქი.

● **— ბატონო სოკრატ, თუ შეიძლება მოკლედ გაგვაცანით იმ ძირძველი აფთიაქებისა და მათ შორის იმ აფთიაქის ისტორია, რომელშიც თქვენ დიდი ხანია მოღვაწეობთ?**

— საქართველოში წამალთმცოდნეობის ხელოვნება უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ძვ. წ. მე-14-13 საუკუნეებში ქართველებს კოლხეთის დაბლობზე სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი ჰეკატეს ბაღი გვქონდა.

ქრისტეშობის შემდეგ ჩვენ საკმაოდ მდიდარი მასალა მოგვეპოვება წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიის შესახებ. თუ უფლისციხის ნაგებობაში აფთიაქის ტიპის დაწესებულება იყო, მაშინ სახეზე გვაქვს 1500 წლის წინანდელი აფთიაქის ნანგრევების თახჩების ორი მწკრივი. ვარძიის აფთიაქიც არანაკლებ 800 წლისა უნდა იყოს.

თბილისის აფთიაქების ისტორია კი, თითქმის სამ საუკუნეს ითვლის. ცნობები ზოგი მათგანის დაფუძნების შესახებ, სამწუხაროდ, ჟამთასვლამ არ შემოგვინახა.

ცნობილი მკვლევარი კონსტანტინე ჭიჭინაძე გვაწვდის ცნობებს, რომ მეფე ვახტანგ VI-ს თბილისში დაუარსებია აფთიაქი, რომლის ზუსტი თარიღი 1724 წლის უკან უნდა ვეძიოთ, რუსეთში ემიგრაციაში წასვლამდე, მაგრამ სად მდებარეობდა ეს აფთიაქი და ვინ მუშაობდა იქ, სამწუხაროდ, არც ესაა ცნობილი. თეიმურაზ II-ის მეფობის დროს კათოლიკე მისიონერებს 1740 წელს გაუხსნიათ აფთიაქი და იგი 1755 წელს დახურულა. შემდეგ კი მეფე ერეკლე II სპარსეთიდან მოუწვევია ეროვნებით უნგრელი დონ რეინექსი, იგივე იაკობ რეინექსი და თავის სასახლესთან 1779 წელს გაუხსნია აფთიაქი და სამედიცინო განათლების მისაღები სკოლა, რომელსაც 1783 წლამდე უარსებია. XVII-XVIII საუკუნეები, ეს გახლავთ პერიოდი, როცა ჩატყდა ხიდი აღმოსავლური კარაბადინებით მკურნალობასთან და რუსეთ-საქართველოს შეერთების შემდეგ აღმოსავლური მედიცინიდან ქართველმა საზოგადოებამ გზა გაუხსნა ევროპულ მედიცინასა და წამალთმცოდნეობას. ამ დროს კარგად ვითარდება რუსულ-გერმანული სამედიცინო კავშირები, რამაც ნიადაგი მოამზადა ქართულ-გერმანული სამედიცინო ურთიერთობის განვითარებისათვის.

ჩვენ გვეხმარებოდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები. მათ შორის ესტონელები უფრო აქტიურები იყვნენ. მაგრამ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ჩამოდიან გერმანელი წამალთმცოდნეები. ეროვნული კადრების არყოლის გამო ისინი განაგებდნენ მოსახლეობის წამალთმომსახურების მონოპოლიას.

თავისუფალი სახით მოვაჭრე პირველი უძველესი აფთიაქი ჩვენს დედაქალაქში 1829 წლის 6 მაისს დღევანდელი გ. ტაბიძის (მაშინდელი განოვის) ქუჩაზე გახსნა გერმანელმა პროვიზორმა ფლორ შონბერგმა, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ ეს აფთიაქი კარლ შმიდტს მიყიდა და დღევანდელი ლერმონტოვის (მაშინდელი სერგიევის) ქუჩაზე № 6 სახლში გადაიტანა. ამ აფთიაქს კიდევ ერთხელ შეუცვლია მისამართი და გადაიტანეს სოლოლაკში რეზინოტრესტის ქ. № 4-ში. მისი ყველაზე დიდი მოამაგე გახლდათ ფარმაციის მაგისტრი ფერდინანდ კარლ ოტენი, რომელმაც საქართველოში მოღვაწეობა დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომის დროს ყარსის საველე სამხედრო აფთიაქში და თბილისის მოსახლეობის წამალთმომსახურების საქმეს ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა. მის ავტობი-

ევგენი ზემელი მეუღლესთან.

ყოფილი ზემელის აფთიაქი

ოგაფიულ მონაცემებს 1957 წელს მივაგენი, როცა თბილისის 28-ე აფთიაქში პრაქტიკაზე გახლდით. დიდი დახმარება გამიწიეს აფთიაქის მმართველმა ვახტანგ ძანძიბაძემ და მოადგილე დავით ქემერტელიძემ. ძირითად ისტორიულ წყაროებს მისი მოღვაწეობის შესახებ კი შედარებით გვიან მივაკვლიე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს წამალთმცოდნეობაში და სტუდენტთა სიის ამოკითხვისას შემხვდა ნატაშა ოტენი, ცნობილი პროვიზორის მოგვარე, რომელიც ფერდინანდ ოტენის უშუალო შთამომავალი აღმოჩნდა. მისივე თანხმობით ვეწვიე მათ ოჯახს დღევანდელი ლეონიძის ქ. № 8-ში, სადაც ეს უძველესი აფთიაქი დღემდე მდებარეობს. ოტენის შთამომავლებმა ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროები მომაწოდეს. მათ შორის ყველაზე ძვირფასია ოტენის სამაგისტრო დისერტაცია. დიპლომი/დედანი, რომელიც სარსალპარის ანუ ეკალღიჭის ქიმიურ და ფარმაკოგნოზიურ შესწავლას ეხებოდა. აღმოჩენილია მისი პირადი პორტრეტი ოჯახის წევრებთან ერთად და ასევე მისი პირადი ნივთები წარწერით. დადგინდა, რომ ეს აფთიაქი 1902 წლიდან გაიხსნა და ადგილი აღარ შეუცვლია.

როცა გასაბჭოება მოხდა, უპირველესი აფთიაქი სამკურნალო კომბინატის დაქვემდებარებაში დატოვეს. პაგინაციისას მხედველობაში აღარ იქნა მიღებული აფთიაქების ისტორიული თანმიმდევრობა და სინამდვილე. 1921 წლის 15 მაისის რევკომის № 33 დეკრეტის თანახმად ჩვენი აფთიაქი გახდა № 1.

უფრო რთული აღმოჩნდა თბილისის დღევანდელი № 1 აფთიაქის ისტორიის შესწავლა. როგორც ბიბლია გვმოძღვრავს „ეძიებდე და ჰპოვებდეო", საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალურ საისტორიო არქივში მიგნებულ იქნა „კავკასკიი კალენდრის" სხვადასხვა ეგზემპლარები, რომელთა ფურცლებზეც არის სარწმუნო საბუთები იმის შესახებ, რომ ერევნის მოედნისა და ველიამინოვის ქუჩის კუთხეში 1885 წელს გაიხსნა დედაქალაქის № 1 აფთიაქი, რომელსაც მიმდინარე წელს 115 წლისთავი შეუსრულდა და იგი დღემდე ერთსა და იმავე შენობაშია განთავსებული. ცენტრალური არქივის მასალებით დადგინდა აგრეთვე 1917 წლისათვის ამ აფთიაქის თანამშრომელთა ზუსტი სია. როგორც გაირკვა, 1902 წლიდან 1920 წლის ოქტომბრამდე ამ აფთიაქს ხელმძღვანელობდა ეროვნებით გერმანელი და რუსეთის ქვეშევრდომი ფარმაციის მაგისტრი ფრიდრიხ კარლ ჰაინი და მისი ბიძაშვილი ფერდინანდ ადოლფ ჰაინი. (მოპოვებულია მათი სურათებიც. ოჯახის წევრებმა ფერდინანდის სურათი იაროსლავიდან გამომიგზავნეს). შენობის მფლობელები კი იყვნენ ებრაელი ძმები: შალომბერ და ნეუხ ბროიდოები.

საინტერესოა აგრეთვე იმ აფთიაქის ისტორია, რომელიც მდებარეობდა ვერის ანუ ოლღის დაღმართზე. ზოგიერთი თბილისელი, როცა რუსთაველის ძეგლის მხარეს მიემართება, ამბობს „ზემელზე მივდივარო." აფთიაქარის ღვაწლი და ადამიანის ფიზიკურად და სულიერად გადარჩენაზე მზრუნველობის ფესვები იმდენად დიდია, რომ არაქართული წარმოშობის გერმანელი აფთიაქარის, ზემელის სახელი დღესაც დიდ პატივშია ჩვენთან.

ევგენი კარლ ზემელის შესახებ ჩვენს მიერ მიგნებულ და გამოქვეყნებულ ცნობებს საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა. იყო ასეთი ფაქტი, როცა გაზეთმა „თბილისმა" ზემელის აფთიაქის ინტერიერიდან ორი უცნობი პირის სურათი გამოაქვეყნა თხოვნით: „გთხოვთ დაგვეხმაროთ ზემელის პიროვნების ამოცნობაშიო". ჩვენ მწირი ცნობები გვქონდა იმ ამაგდარი აფთიაქარის შესახებ, რომელმაც 23 წელი იმოღვაწა საკუთარ აფთიაქში. მოგვიანებით ჩვენს მიერ მიგნებულ იქნა ე. წ. „უდასტავერენიე" 1898 წლის 30 მარტს ზემელის მიერ ვერის დაღმართზე აფთიაქის გახსნის თაობაზე. მივაგენით ზემელების საგვარეულოს გერბს, რომლის დედანი ქ. ნიურნბერგში ინახება და მოქმედებაშია 1204 წლიდან. აგრეთვე ზემელის პორტრეტს მეუღლე მარიასთან ერთად და ზემელის საქართველოში ჩამობრძანების თარიღს. მათი ნამდვილი გვარი ზემერლები ყოფილა.

არქივში მუშაობისას გავარკვიეთ დღევანდელი საარბრუკენის მოედანზე მდებარე № 4 აფთიაქის მმართველის ემილ ედვარდ მაკერის ვინაობა. ტერენტი გრანელის ქუჩაზე მდებარეობდა №2 ვილარეტის აფთიაქი. ასევე თბილისში მოქმედებდა ფრანს კარლ გლეზერის აფთიაქი, რიხარდ ედუარდ ბეზეს აფთიაქი და სხვა. მათი რაოდენობა 22-ზე მეტი იყო. მე-20 საუკუნის დასაწყისში ქ. თბილისში უკვე 29 აფთიაქი – წამლის სახლი მოქმედებდა და ასევე 35-მდე მზა წამლების სახლი ანუ აფთიაქები საასისტენტოების გარეშე. უკვე გერმანელი პროვიზორების გვერდით ქართველი წამალთმცოდნეების გვარები გამოჩნდნენ" სპირიდონ ხაბურზანია, ალექსანდრე ახვლედიანი, გიორგი ჯანელიძე, გიორგი მეფისაშვილი. სააფთიაქო მაღაზიების დირექტორები: პავლე არონიშიძე, ზაქარია ბარნაბიშვილი, ვარვარა ბურძგლა, მიხეილ კაიშაური, პავლე მირიანაშვილი, დავით მახათაძე, დავით სულაძე.

წამლის სასახლეების და სააფთიაქო მაღაზიების საერთო სავალუტო შემოსავალი 934200 მანეთს შეადგენდა.

– თუ არ ვცდები, თქვენ, ამ ისტორიული აფთიაქის მეთერთმეტე გამგე ბრძანდებით. რას გვეტყვით თქვენს წინამორბედებზე, ვინ იყვნენ ისინი?

ფრიდრიხ კარლ ჰეინი

– „კავკასიის კალენდრის“ საშუალებით დავადგინე, რომ № 1 აფთიაქი დაარსებულია ალექსანდრე გიორგის ძე აივაზოვის მიერ და არენდატორი იყო ვინმე აგმუროვი. ცნობები გამოვაქვეყნეთ სომხურ გაზეთებში იმ ვარაუდით, რომ გამომეხმაურებოდნენ აივაზოვის შთამომავლები და ფოტოზე პროვიზორთა ჯგუფში ამოიცნობდნენ აივაზოვს, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. № 1 აფთიაქის ისტორიისათვის არ გვაქვს აივაზოვის, ძმები ბროიდოების, პარმენ ცომაიასა და ალექსანდრე იოსელიანის სურათები. № 1 აფთიაქს ათი მმართველი ჰყავდა. მე-11 მე გახლავართ. ყოფილი მმართველების მიმართ დიდ მოკრძალებას ვიჩენ, ვცდილობ არაფერი შემეშალოს მათი შთამომავლების წინაშე. მმართველთა შვიდი ფოტო სახეზეა, სამი აღმოსაჩენია. რამდენიმე წლის წინათ დავაარსე ერთი პირის გაზეთი „წამალთმცოდნეობის გონებისკარი“ და გამოვაქვეყნე ე. წ. ესეები ვალერიან გვიაძის, ოთარ სანებლიძის და ოთარ ნებულიშვილის შესახებ. ჯერჯერობით ვერ გამოვაქვეყნეთ მასალა ვიქტორ ლოლაძის შესახებ. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გვინდა გამოვცეთ № 1 აფთიაქის მოკლე ისტორიული ცნობა, სადაც ამ აფთიაქის მესვეურები ჯეროვან ადგილს დაიკავებენ.

– ყველასათვის ნათელია, რა „დიდი ომი“ გადაგხდათ მაშინ, როცა მავანნი და მავანნი თქვენი ადგილსამყოფლის მითვისებას შეეცადნენ. როგორ დამთავრდა ეს დავა და მომავალშიც ხომ არ გემუქრებათ რაიმე საფრთხე?

– მიუხედავად უმძიმესი ეკონომიკური სიძნელეებისა, მე მჯერა, რომ № 1 აფთიაქი გადარჩება და მე არ აღმოვჩნდები ისეთ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული ხელმძღვანელი, რომ ისტორიულმა ძეგლმა ჩემი მმართველობის დროს შეწყვიტოს არსებობა. ჩვენ ყოველთვის გვყავდა ერის ნაღდი კაცები და ისინი დღესაც პერმანენტულად განაგრძობენ მოღვაწეობას. ხმა მივაწვდინე ჩვენს პრეზიდენტს, რომ მავანს და მავანს აფთიაქის გეოსტრატეგიული დანიშნულების გამო „პრიზვატიზაციაზე“ მუშაობს და ამ შენობაში ბანკის გახსნა სურს. ბატონ ედუარდისაგან მივიღე გამამხნევებელი პასუხი: „მე სანამ საქართველოს პრეზიდენტი ვარ, პირველი აფთიაქის შენობაში ბანკი არ გაიხსნება, დაჯექით სამუშაო კაბინეტში და ხალხს პატიოსნად მოემსახურეთ“-ო. ჩვენ გვჯერა პრეზიდენტის სიტყვის. აფთიაქი გადარჩება, იგი გაუძლებს საბაზრო ეკონომიკის მწვავე სანქციებს და ჩაბარდება ჩვენს შთამომავლობას. დიდი იმედი გვაქვს ქალაქის მერის ბატონ ვანო ზოდელავასი. ღმერთმა ყველანი დაგლოცოთ და ცდომილნი შვილნი ღმერთმა შეიწყნაროს.

– ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ თქვენი აფთიაქის კოლექცია ამ ბოლო წლებში ბალახეული მცენარეებისაგან დამზადებული ახალი ნატურალური პრეპარატებით შეივსო. რას გვეტყვით უფრო დაწვრილებით ამის შესახებ და თქვენი აფთიაქის მომარაგების ასორტიმენტზე.

– რაც შეეხება კითხვას, საფთიაქო „ნომენკლატურული“ გაფართოების შესახებ, ჩვენ აქაც ეროვნულ წამალთმცოდნეობას გავუხსენით მწვანე შუქი. მტკიცე კავშირი გვაქვს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტთან და ვსარგებლობთ პირადად აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის კონსულტაციებით. შეუფერხებლად მოგვაქვს იქ წარმოებული მედიკამენტები და მაშინ, როცა ბევრმა აფთიაქარმა საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე დახურა საასისტენტო ანუ ინდივიდუალურ-ექსტემპორალური წამლის ფორმების მოსამზადებელი განყოფილებები, ჩვენ საასისტენტო – აფთიაქის გული კბილებით შევინარჩუნეთ. მსოფლიოში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები გაცილებით ნაკლებტოქსიკურია სინთეზურ პრეპარატებთან შედარებით და სამკურნალო მცენარეებითა და ბალახებით მკურნალობა ბევრად ეფექტურია. ჩვენი მიზანია აფთიაქს გააჩნდეს რაც შეიძლება მეტი დასახელების სამკურნალო მცენარეები. ხელს ვუწყობთ ხალხური მედიცინის აღორძინებას და პროპაგანდას ვუწევთ ეფექტური სამკურნალო საშუალებების საფთიაქო პრაქტიკაში დანერგვას.

– როგორია თქვენი სამომავლო ჩანაფიქრი?

– ვაპირებთ გერმანულ-ქართული კულტურული და სამეცნიერო კავშირების აღდგენას. სახელდობრ, გვინდა ქართული წამალთმცოდნეობისა და მედიცინის დიდი მოამაგის პროფ. კურტ იოახიმ პოლიკარპ შპრენგელის ბიუსტის შექმნისათვის თხოვნით მივმართოთ ქართველ მოქანდაკეებს. დავაარსოთ თბილისში კ. შპრენგელის სახელობის ქუჩა, სადაც დაიდგმება ამ პირუთვნელი მეცნიერის ბიუსტი, რომელმაც მის მიერვე გამოცემულ მსოფლიო მედიცინის ისტორიაში უძველეს ცივილიზებულ ქვეყნებს შორის უძველეს კოლხურ მედიცინას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მიუჩინა (1792 წ. ქ. ჰალე). თბილისში გვაქვს მიხაი ზიჩის, მარი ბროსეს და სხვა უცხოელ მოამაგეთა ძეგლები და თუ მათ რიცხვს კ. შპრენგელის ძეგლიც მიემატება, ეს სრულიად კანონზომიერი იქნება.

ბერლინში მალე გამოქვეყნდება ჩემი ოთხი მეცნიერული ნაშრომი და პატრიოტული განწყობის ქართველი მოქანდაკეები უარს არ იტყვიან, რომ ქართული კულტურის დიდ მოამაგეს ძეგლი დავუდგათ მადლიერების ნიშნად. გარდა ამისა მინდა, გამოვცე წიგნი მედიცინისა და ეკლესიის კავშირზე. ასევე წიგნი სადგერ-ჩხარის სეფეჯვარის შესახებ, რომელიც საქართველოს კონსოლიდაციის სიმბოლო იყო. აგრეთვე ქრისტეს მხედრის, წმინდა გიორგი – სნეულთა მკურნალის შესახებ. გეგმაში მაქვს გამოვცე სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოები, წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიის საკითხები არაქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, არქეოლოგია და მედიცინა წარმართულ ხანაში და ქრისტეშობის შემდეგ.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონო სოკრატ!

ესაუბრა **ნინო დგებუაძე**

„აი ბი ემი“ არ ხუმრობს

კორპორაცია „აი ბი ემმა“ „ბლუ ჯინის“ კომპიუტერის პროექტის სამუშაო პროგრამა გამოაქვეყნა, რომელიც მძლავრ თანამედროვე კომპიუტერებთან შედარებით 560-ჯერ უფრო სწრაფად იმოქმედებს. ხუთი წლის მუშაობისა და ასი მილიონი დოლარის დახარჯვის შემდეგ, ფირმას განზრახული აქვს, შექმნას ახალი არქიტექტურის მქონე სისტემა, რომელიც დაახლოებით მილიონამდე პროცესორს გამოიყენებს. ახალ კომპიუტერს შეეძლება წამში ათასი ტრილიონი არითმეტიკული ოპერაციის შესრულება. კონსტრუქტორებს იმედი აქვთ, რომ „ბლუ ჯინის“ ახალი კომპიუტერი მალე დაიპყრობს მსოფლიოს.

ევერესტის ნამდვილი სიმაღლე

ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურმა გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ევერესტის სიმაღლის ახალი გაზომვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც სპეციალური თანამგზავრული აპარატურით იქნა შესრულებული. როგორც გაირკვა, პლანეტის უმაღლესი მწვერვალი ზღვის დონიდან 8850 მეტრ სიმაღლეზეა – ეს ორი მეტრით მეტია იმ რიცხვზე, რომელსაც აქამდე ვარაუდობდნენ.

„გუჩი“ ძლიერდება

იტალიურმა მოდელების სახლმა „გუჩიმ“ განაცხადა, რომ იგი ფირმა „სანოფი მიუტის“ შესყიდვას აპირებს, რომელიც ფრანგი მაგნატის ფრანსუა პინოს ჰოლანდიურ კომპანია „არტემის“ში“ შედის. გარიგების თანხა დაახლოებით მილიარდ დოლარს აღწევს. „გუჩი“ ფრანგული მოდელების სახლის „ივ სენ ლორანის“ სავაჭრო მარკაზეც მიიღებს უფლებას. „გუჩი“ აგრეთვე ისეთ ცნობილ სუნამოებზე მიიღებს ლიცენზიას, როგორიცაა „ვან კლიკი და არპელსი“, „ოსკარ დე ლა რენტა“, „ფენიო“ და „კრიმია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნური ხორცი ვეგეტერიანებისათვის

სამმა დანიელმა გამომგონებელმა საზოგადოებას სხვადასხვა სახის ხელოვნურად გამოყვანილი ხორცის სრულყოფილი ტექნოლოგია შესთავაზა.ისინი ცხოველებიდან უმტკივნეულოდ იღებენ კუნთოვანი უჯრედების მცირე რაოდენობას, რომელსაც შემდგომ მკვებავ არეში ამუშავებენ. ამ მეთოდით შეიძლება არა მარტო ძროხის, ცხვრის და ქათმის ხორცის გამოყვანა, არამედ კიბორჩხალისა და ხამანწკების ხორცისაც. ჟურნალმა „ნიუ სიანტისტმა", რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, აღნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია პირველ ყოვლისა დაინტერესებს ვეგეტერიანებს, რომლებიც უარს ამბობენ ხორცზე, ცხოველების დახოცვის პროტესტის ნიშნად.

კოცნაც სასარგებლოა

გარდა იმისა, რომ კოცნა თავისთავად ძალიან სასიამოვნო პროცესია, სამკურნალო ხერხიც არის. ის ქალები, რომლებსაც ქმრები ბევრს კოცნიან გაცილებით ადვილად მშობიარობენ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ტუჩების ერთმანეთთან შეხებისას სისხლში ხდება ენდორფინების დიდი რაოდენობით გადასროლა. ეს კი ის ჰორმონებია, რომელიც ამშვიდებს ნერვიულ სისტემას და შესანიშნავი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაც არის. ბოლოს კოცნა შველის გახდომას, ვინაიდან ამ დროს დიდი რაოდენობით კალორიები იხარჯება.

სარფიანი გარიგება

ორმა ამერიკულმა ფარმაცევტულმა კორპორაციამ, – „ემერიქან შოუ პროდუქტსმა" და „უორნერ ლამბერტმა" გაერთიანება გადაწყვიტეს, იმ მიზნით, რომ შექმნან მსოფლიოში უდიდესი ჰოლდინგური კომპანია, რომელიც გამოუშვებს მედიკამენტებსა და ჰიგიენურ საშუალებებს. სააგენტო ბლუმბერგის მონაცემებით, გარიგების თანხამ 72 მილიარდ დოლარს მიაღწია. ყოველწლიური 26 მილიარდი დოლარის მოცულობის ვაჭრობით, ახალმა კომპანია „ემერიქან ურნერი" გადაუსწრებს პირვანდელ ლიდერს, შვედურ-ბრიტანული კომპანია „ასტრა ბენეკას".

სურათები სიყვარულით

ლოს-ანჟელოსელი ქერა ლამაზმანი მხატვარი 25 წლის ანჟელა მარშალი თავის ნახატებს არა მარტო ფულზე, არამედ სექსზეც სიამოვნებით ცვლის. მისი სამხატვრო ტილოს გვერდზე, რომელზეც იგი პომადით სხვადასხვა აბსტრაქტულ ნახატებს ასრულებს, დევს მატრასი, რომელზეც იგი თავის მყიდველებს უმასპინძლდება. მითუმეტეს, რომ იგი ამ ყველაფერს, საქვეყნოდ, ხალხის თვალწინ აკეთებს. პატარა სურათში ანჟელა 50 დოლარსა და ორალურ დაკმაყოფილებას მოითხოვს. საშუალო სურათში 75 დოლარსა და ჩვეულებრივ სექსუალურ აქტს, ხოლო რაც შეეხება დიდ ნახატს, იგი მასში 150 დოლარს ითხოვს და ამასთანავე, რაღაც არაჩვეულებრივს, თვითონ მყიდველისაგან.

გათამამებული ბავშვი

ბავშვის აღზრდის თავისებურ მეთოდს მიმართავს – ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯონ ტრავოლტა. მან თავისი ვილის 25 მოსამსახურეს უბრძანა ხუთი წლის ჯეტისთვის არაფერი აეკრძალათ, რათა ამ შეეზღუდათ ბავშვის შემოქმედებითი აქტიურობა. ჯონმა თავის შვილს სამი ოთახი გაუკეთა. პირველი ველური დასავლეთის სტილშია გაფორმებული, მეორე თვითმფრინავის კაბინის სრული განსახიერებაა. მესამე ოთახი კი მომცრო სცენად არის გადაქცეული. აქ ბიჭუნას თავისი სპექტაკლების გამართვა შეუძლია. ვინც ნახა, ყველა ამტკიცებს, რომ სცენაზე პატარა ზუსტად ისევე მოძრაობს, როგორც სახელგანთქმული მამამისი.

მილიონი ჰილარისთვის

ამერიკული შოუ-ბიზნესი კეთილგანწყობით არის ქვეყნის პირველი ლედის მიმართ. ამ ფაქტის დასტურია ბროდვეის შოუ, რომელიც მოეწყო ჰილარის დაბადების დღის აღსანიშნავად ხელოვნების ცენტრის სცენაზე. ცერემონიას 1000- ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა. ცერემონიაში მონაწილეობის უფლებისათვის საჭირო იყო 250-დან 1000 დოლარამდე თანხის გამეტება. საერთო ჯამში მილიონი დოლარი შეგროვდა. ეს თანხა წავა აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლის წინასაარჩევნო კამპანიის ფონდში. ჰილარი კლინტონი არის კანდიდატი სენატში ნიუ-ორკის შტატიდან.

იდეალური სახსოვარი

მოაზროვნე ადამიანს ყოველთვის შეუძლია შექმნას რაიმე არატრივიალური. მაგალითად, როგორც ინგლისელი ენ ემისი მოიქცა. უდროოდ დაღუპული ქმრის ხსოვნის უკვდავყოფის შესაფერისი გამოსავლის ძიებაში ენმა გადაწყვიტა უკვდავების ყველაზე პოპულარული ხერხისათვის – ხელოვნებისათვის მიემართა. და ახალგაზრდა მხატვარს პიტერ ბენეტს, მიცვალებულის ფერფლით დახატვა შეუკვეთა. ბენეტმა ფერფლი ზეთოვან საღებავებს შეურია და მიცვალებულის იდეალური სახსოვარი შექმნა.

რა ღირს ვარსკვლავის ქირაობა

ავსტრიელი აგენტი ფრენკ მარტიუსი, რომელიც ვარსკვლავების ქირაობით არის დაკავებული, იუწყება, რომ უიტნი ჰიუსტონი 70-120 ათას დოლარს ითხოვს. მადონა თავის ხალხში გამოჩენას 100-150 ათასამდე აფასებს. შერის ხალხში თავისი თავის დამოწმება 125-150 ათასად შეუძლია. ჯენეტ ჯეკსონი, დემი მური და მიშელ პფაიფერი კი 200 ათას იღებენ. ბარბარა სტრეიზანდი კი ამტკიცებს, რომ მისი ყიდვა არაფრის დიდებით არ შეიძლება.

რა იზიდავს მამაკაცს

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა გამოაქვეყნეს მამაკაცთა გამოკითხვა, თუ რა იზიდავს მათ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებში. ოთხ ათასი გამოკითხულიდან 33 პროცენტი ამტკიცებს, რომ ქალის ნაზი ღიმილი ურჩევნიათ სხვა რაიმე ქალურ სილამაზეებს, 31 პროცენტს ყველაზე მეტად სახე და თმები მოსწონს და მხოლოდ 18 პროცენტი მამაკაცებისა აქცევს ყურადღებას ქალის მკერდს.

სტრესების მრავალფეროვნება

ვარსკვლავებსაც აქვთ სტრესები და ისინი ყველანი თავისებურად აღწევენ თავს ამ საკმაოდ არასასიამოვნო მდგომარეობას. მაგალითად, სანდრა ბალოკი სტრესის დროს თავის რანჩოზე მიდის და მინდორში სეირნობს, უსაქმურობს. მეგ რაიანი იოგას ვარჯიშებზე გადადის. სხვათაშორის იოგა ძალიან შველის გვინეთ პელიროუსაც , ჯეიმი და კერტისს და მადონას.

მელ გიმსონი წერტილოვან მასაჟს მიმართავს. მინი შენაია ტუენი რეცხვაში, იატაკების ხეხვაში და საჯინიბოს დასუფთავებაში გამოდის სტრესიდან.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ჩიკვაიძემ

კროსვორდი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 7. წითელი ან ნარინჯისფერი მინერალი, ქალცედონის ნაირსახეობა. 8. არგენტინელი ფეხბურთელი. 10. ვინმეზე გაწეული შრომა, მზრუნველობა. 11. გამოფენების ექსპონატების მოსათვსებელი დაფა. 12. თუთისებრთა ოჯახის ტროპიკული მცენარე. 15. კოშკისმაგვარი ფიგურა ჭადრაკში. 17. ნიუ-იორკის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა. 18. ძალიან მაგარი ქვა. 19. ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი. 20. ძველი ბერძნული ეპიკური პოემა. 24. თითოეული მოქმედი პირისათვის განკუთვნილი ტექსტის ერთობლიობა პიესაში და მისთ. 25. სამეფო კვერთხის – მეფის ძალაუფლების ერთ-ერთი ნიშანი. 26. საქართველოს მდინარე. 29. არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში. 30. მატყლის საპალტოვე ქსოვილი, რომელსაც კარგ პირზე ტალღოვანი ხაო აქვს. 31. ფრანგი კინორეჟისორი და კინოდრამატურგი, პოეტი, ჟურნალისტი და მსახიობი, დამდგმელი ფილმისა „უკანასკნელი მილიარდელი“. 33. პატარა ქირურგიული დანა. 34. ბავშვის (ბიჭის) მაღალი ხმა.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის შეფარდება ოქროთი. 2. სასულიერო ან საერო პირთა კრება პროტესტანტულ ეკლესიაში მნიშვნელოვანი საეკლესიო საქმეების გადასაწყვეტად. 3. ფოლადის, ხის ან რკინა-ბეტონის ვერტიკალური ბოძი. 4. ამერიკელი ფეხბურთელი ქალი. 5. სასაუზმე აშშ-ის დასავლეთში: სასაუზმე, სადაც მაგარ სასმელებს შეექცევიან. 6. გარემო. 9. შენობის წინა, მთავარი მხარე, რომელიც ქუჩაში გამოდის. 13. ხაზებით, შტრიხებით (უსაღებავოდ) ხატვის ხელოვნება. 14. ერთანძიანი სპორტული საზღვაო გემი. 16. თბილისის ერთ-ერთი რაიონი. 18. პატარა ბრტყელი, მრგვალი პური. 21. პაექრობა. 22. დიდი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ფართოდ და მრავალმხრივ არის ასახული საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესი. 23. ტვირთის გადაზიდვა შუალედურ პუნქტებში გადატვირთვის გარეშე. 27. იგივეა რაც ტრაფარეტი. 28. დროებით საცხოვრებელი სახელდახელო ნაგებობა. 31. ამერიკელი მოდელიორი. 32. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

შეადგინა ᲪᲘᲐᲚᲐ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲛᲐ

„ᲓᲠᲝᲨᲐ“ № 1-3-ᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. დეკლამაცია. 8. ამერიკა. 9. რაშკული. 11. არზა. 13. იერარქია. 14. მიგრაცია. 15. მუზა. 17. იმიტაცია. 32. ფარა. 34. ისამარი. 35. ონეგინი. 36. პრეისტორია.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ლესინგი. 2. გირშელი. 4. ლიანა. 5. ატრია. 6. ამანათი. 7. ალაბამა 10. დელიკატესი. 12. დისერტაცია. 15. მანტია. 16. აკაცია. 17. ტონი. 18. ცელე. 21. კუბი. 22. ბორა. 24. რომანსი. 26. ცისკარი. 29. ესკადრა 31. იმპერია. 32. ფრიზი 33. „აპოლო“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ- ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“ Მ. ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ Ქ. № 14

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲚᲐᲟᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მეგობარ ალაშვილი

Ф 204/4
F412
2000